



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის სისხლის
სამართლის მიმართულების მე-4 სემესტრის სტუდენტის

თორნიკე ბაიდოშვილის

სამაგისტროს ნაშრომი
თემაზე:

**თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაციის ცალკეული პრობლემატური
საკითხები ქართულ სისხლის სამართალში**

ხელმძღვანელი: მოწვეული ლექტორი, სამართლის დოქტორი

ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი

ტელ: 593 57 13 36

ელ. ფოსტა: tornike-baidoshvili@yandex.ru

თბილისი

2019 წელი

სარჩევი

შესავალი.....	4
თავი I. დანაშაულში თანამონაწილეობის ცნება და ბუნება	
1.1. დანაშაულში თანამონაწილეობის ცნება.....	6
1.2. დანაშაულში თანამონაწილეობის ბუნება.....	9
თავი II. თანამონაწილეთა სახეები	
1. ორგანიზატორი.....	17
2. წამქეზებელი.....	24
3. დამხმარე.....	34
4. ჯაჭვური თანამონაწილეობის საკითხი ქართულ სისხლის სამართალში.....	42
5. თანამონაწილეობის ფორმის დაუდგენლობა.....	44
თავი III. ამსრულებლისა და თანამონაწილის ერთმანეთისაგან გამიჯვნა	
1. დამხმარისა და თანამსრულებლის ერთმანეთისაგან გამიჯვნა.....	45
2. შუალობითი ამსრულებლობა.....	51
თავი IV. თანამონაწილის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება	
1. თანამონაწილის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება.....	53
თავი V. თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაციის სხვადასხვა პრობლემატური საკითხები	
1. თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაცია ობიექტური და სუბიექტური ნიშნით დამძიმებული ან პრივილეგიური შემადგენლობის არსებობისას.....	58
2. კვალიფიკაციის პრობლემა სპეციალური სუბიექტის მიერ ჩადენილ დანაშაულში თანამონაწილეობისას.....	64
3. ამსრულებლის ექსცესი.....	66
თავი VI. უმოქმედობით თანამონაწილეობა	
1. უმოქმედობით თანამონაწილეობა.....	68
დასკვნა.....	73
ბიბლიოგრაფია.....	75

გამოყენებული აბრევიატურა

1. სსკ-საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
2. იხ-იხილეთ
3. სს- სისხლის სამართალი
4. ა.შ- ასე შემდეგ
5. ე.ი- ესე იგი
6. გვ. - გვერდი
- 7.თბ.-თბილისი

შესავალი

სისხლის სამართალი სამართლის განსაკუთრებული დარგია, რადგან იგი აწესრიგებს სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქციის, კერძოდ კი რეპრესიული ფუნქციის გამოყენების წესსა და საფუძველს. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ „სისხლის სამართლის ამოცანა არის სოციალურად საშიში ქცევების წინააღმდეგ ბრძოლა და ამგვარად ადამიანთა მშვიდობიანი თანაცხოვრების დაცვა.“¹ აღნიშნული ამოცანის სრულყოფილად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია, რომ პირის მიერ ჩადენილი ქმედება სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად იქნეს შეფასებული და შესაბამისად, იგი სამართლიანად დაისჯოს, რისთვისაც აუცილებელია, რომ კანონმდებლის მიერ კანონში განოვლენილი ნება სწორად იქნეს გააზრებული. გამომდინარე აქედან, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სისხლის სამართლის დოგმატიკა, რომლის მთავარი ამოცანაც არის სისხლის სამართლის კანონის სწორად განმარტება. მოცემული სამაგისტრო ნაშრომის მიზანი არის სწორედ ის, რომ სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში არსებულ დანაშაულში თანამონაწილეობის პრობლემატიკა სწორად იქნეს გადაწყვეტილი. ხსენებული საკითხის აქტუალობა დაკავშირებულია ასევე იმასთან, რომ ნაშრომში მოყვანილი პრობლემატური საკითხების სწორი გადაწყვეტა ემსახურება სისხლის სამართლის ფუნდამენტური პრინციპების პრაქტიკაში რეალიზაციას. მოგვეხსენება, რომ სისხლის სამართალში, ისევე როგორც სამართლის სხვა დარგებში, არსებობს ფუნდამენტური მნიშვნელობის პრინციპები. ეს უკანასკნელი კი ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს პირველსაწყისს, სახელმძღვანელო იდეას, ქცევით ძირითად წესს, რითაც ხელმძღვანელობენ პრაქტიკულ თუ თეორიულ საქმიანობაში². ჩვენ ვიცით ასევე, რომ ქმედების სწორი სამართლებრივი შეფასება - მისი კვალიფიკაცია, განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელი საკითხია, რადგან სწორედ აღნიშნული პროცესის შედეგად შერჩეული სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ნორმით საბოლოო ჯამში განისაზღვრება პირის პასუხისმგებლობის სახე და ზომა. ეს უკანასკნელი კი დაკავშირებულია სხვადასხვა მატერიალურ თუ პროცესუალურ ხასიათის საკითხებთან, რომლებიც, საბოლოო ჯამში, განსაზღვრავენ პირის დასჯადობას მის მიერ განხორციელებული ქმედების გამო. გარდა ამისა მოცემულ სამაგისტრო ნაშრომში განსახილველი თემის აქტუალობას ასევე ადასტურებს ის, რომ ქმედების სწორი კვალიფიკაცია მჭიდრო კავშირშია კანონიერების პრინციპთან, რომელიც საკუთარი არსით ნიშნავს არა მარტო ქმედების ფორმალურ შესაბამისობას ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობასთან, არამედ თვით ამ ქმედების ზუსტ საკანონმდებლო აღწერას და მის სისხლისსამართლებრივ შეფასებას³. როგორც უკვე აღინიშნა ქმედების სწორი კვალიფიკაცია მჭიდროდაა დაკავშირებული სასჯელის ინდივიდუალიზაციის საკითხთან, რადგან ამ შემთხვევაში საქმე შეეხება ორი ან მეტი პირის მიერ

¹ მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ძირითადი საკითხები კითხვა-პასუხებით. გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2014. გვ 7

² იხ. იქვე გვ.14

³ იხ. იქვე გვ. 21

დანაშაულის განხორციელებას თანაბრალეულობის ვითარებაში. ამიტომაცაა აუცილებელი ზუსტად იქნეს დადგენილი ამ დანაშაულში თითოეული თანამონაწილის, აგრეთვე ამსრულებლის როლი, ამის შესაბამისად თითოეული მათგანის ბრალის ხარისხი. სწორედ აღნიშნული საკითხების სწორ გადაწყვეტას ემსახურება თანამონაწილის ქმედების სწორი კვალიფიკაცია, რომელიც ორგანულად არის დაკავშირებული სუბსუმციასთან, რა დროსაც სილოგისტური დასკვნის გამოყენებით სისხლის სამართლის კანონში მოცემულ ნიშნებს ქვეშ ვუყენებთ პირის მიერ განხორციელებულ ქმედებას და გამოგვაქვს საბოლოო დასკვნა, (conclusion) პირის მიერ კონკრეტული დანაშაულის ჩადენის ან არჩადენის შესახებ. სუბსუმციის დროს გამოტანილი დასკვნა კი არის ქმედების კვალიფიკაცია. მაშასადამე, კვალიფიკაცია შეგვიძლია გავსაზღვროთ, როგორც პირის მიერ ჩადენილი ქმედების სამართლებრივი შეფასება. აღნიშნულ შეფასებას განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია სხვადასხვა სისხლისსამართლებრივ პრინციპებთან მიმართებაში. უნდა ითქვას, რომ მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ყველას დამსახურებისამებრ მიეზღოს.⁴

მოცემული ნაშრომის მიზანს წარმოადგენს, ქვემოთ მოცემული საკითხების მომიხილვის შედეგად, ავტორისეული მოსაზრებების გათვალისწინებით, არგუმენტირებული მსჯელობით განხილულ იქნეს სხვადასხვა სამართლებრივი პრობლემის გადაჭრის გზები, რომლებიც დაკავშირებულია თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაციის საკითხებთან სხვადასხვა განსხვავებულ კონტექსტში.

წინამდებარე კვლევის განხორციელების პროცესში გამოყენებული იქნება ფორმალურ-დოგმატური, შედარებით-სამართლებრივი, სისტემური და იურიდიულ-განმარტებითი მეთოდები.

მოცემულ ნაშრომში განხილული იქნება ის პრობლემატური საკითხები, რომელთა სწორი გადაწყვეტაც ზემოთ აღნიშნული მიზნების რეალიზებას ემსახურება. ნაშრომის პირველ თავში წარმოდგენილი იქნება თანამონაწილეობის ცნების საკითხი და განხილული იქნება მისი უმნიშვნელოვანესი ელემენტები. აღნიშნულის შემდგომ იმავე თავში საუბარი იქნება თანამონაწილეობის სამართლებრივი ბუნების საკითხზე. კერძოდ ის, თუ რომელ პრინციპს ეყრდნობა ქართული სისხლის სამართალი: თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობისა, თუ აქცესორიზის პრინციპის. ამ უკანასკნელთან მიმართებაში ქართულ დოქტრინაში არ არსებობს ერთიანი შეხედულება, რომელიც დაკავშირებულია ლოგიკური და ლიმიტირებული აქცესორიზის საკითხებთან, მათ მსგავსებას და ძირითად განმასხვავებელ ნიშნებთან. თანამონაწილეობის ბუნების მიმოხილვის შემდგომ მე-2 თავში განვიხილავ თანამონაწილეთა თითოეულ სახეს, რომელშიც წარმოვადგენ თანამონაწილის თითოეული სახისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს, იმ ძირითად ნიშნებს, რომლებიც კანონმდებლის მიერ არის დადგენილი. ნაშრომის მოცემულ ნაწილში საუბარი იქნება ასევე თანამონაწილეთა

⁴ მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ძირითადი საკითხები კითხვა-პასუხებით, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ. 2014 გვ.31

ერთმანეთისაგან გამიჯვნის პრობლემატური შემთხვევების შესახებ. გარდა ამისა, თანამონაწილეთა ფორმების დახასიათების დროს მიმოვიხილავ ჯაჭვური თანამონაწილეობის საკითხსა და მისთვის დამახასიათებელ სხვადასხვა თავისებურებებს. ნაშრომის მე-3 თავში განვიხილავ თანამონაწილისა და თანამსრულებლის ერთმანეთისაგან გამიჯვნის პრობლემატიკასა და მისი გადაჭრის გზებს; ასევე შუალობითი ამსრულებლობისათვის დამახასიათებელ ძირითად პრობლემატურ თავისებურებებს. მე-4 თავში საუბარი იქნება, თანამონაწილის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების პირობებსა და მის მახასიათებლებზე. მე-5 თავში გავანალიზებ თანამონაწილეთა ქმედების შეფასების ცალკეულ პრობლემატურ საკითხებს, კერძოდ გარჩეული იქნება ობიექტური და სუბიექტური ნიშნით კვალიფიცირებული, ან პრივილეგიური შემადგენლობის გამიჯვნის მნიშვნელობა თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაციისას, ასევე ამავე თავში მომივიხილავ კვალიფიკაციის პრობლემას სპეციალური სუბიექტის მიერ ჩადენილ დანაშაულში თანამონაწილეობისას. მე-6 თავში განხილული იქნება უმოქმედობით თანამონაწილეობის ბუნება და მისი გამოვლინება ცალკეულ შემთხვევებში. საბოლოოდ, მოცემული ნაშრომი დასრულდება დასკვნით, რომელშიც შევაჯამებ ნაშრომში განხილულ ძირითად საკითხებს.

თავი I. დანაშაულში თანამონაწილეობის ცნება და ბუნება

1.1 დანაშაულში თანამონაწილეობის ცნება

ქართულ სისხლის სამართალში დანაშაულში თანამონაწილეობის ცნების დადგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მოცემული საკითხის სწორ გადაწყვეტაზე დიდწილად არის დამოკიდებული ობიექტურ რეალობაში მომხდარი მოვლენის სწორი სამართლებრივი შეფასება - მისი კვალიფიკაცია.

დანაშაულში თანამონაწილეობასთან მიმართებაში არსებობს ორგვარი თეორია: ერთამსრულებლობისა და დუალისტური თეორიები. ერთამსრულებლობის თეორია ერთმანეთისაგან არ განასხვავებს ამსრულებელს, ორგანიზატორს, წამქეზებელსა და დამხმარეს. აღნიშნული თეორია ეყრდნობა პირობათა ტოლფასოვნობის თეორიას, რომლის მიხედვითაც, ყველა პირობა, რომელიც მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან, თანაბარი მნიშვნელობის მატარებელია. აქედან გამომდინარე, ყველა ის პირი, რომლის ქმედებაც მიზეზობრივ კავშირშია, მათი როლისა და ფუნქციის მიუხედავად, ითვლება ამსრულებლად. შესაბამისად, აღნიშნული თეორია ამსრულებლის ცნებისაგან არ განასხვავებს, ორგანიზატორის, წამქეზებლისა და დამხმარის ფიგურებს.

რაც შეეხება დუალისტურ თეორიას, აღნიშნული ერთმანეთისაგან განასხვავებს ამსრულებელს, ორგანიზატორს, წამქეზებელსა და დამხმარეს. ზემოთ ჩამოთვლილ ფიგურათა ერთმანეთისაგან ძირითადი განმასხვავებელი კრიტერიუმია მათ მიერ ჩადენილი ქმედების სოციალური საშიშროება და მათი

ქმედების შინაარსი. გამომდინარე აქედან, ასეთ შემთხვევაში პირის მიერ ჩადენილი ქმედების არსი უნდა შეფასდეს იმ საშიშროებისა და ნორმატიული ჩარჩოების მიხედვით, რომელიც ახასიათებს კონკრეტულ ქმედებასა და ასევე თანამონაწილის თითოეული სახის საკანონმდებლო განმარტებას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში სსკ) თანახმად, დანაშაულში თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში. კანონი ასევე ერთმანეთისაგან განასხვავებს ამსრულებელს, ორგანიზატორს, წამქეზებელსა და დამხმარეს, გვთავაზობს მათ სამართლებრივ განმარტებას. აქედან გამომდინარე ჩანს, რომ ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა ემხრობა თანამონაწილეობის დუალისტურ სისტემას.

ზემოხსენებული საკანონმდებლო რეგულაციის არსიდან გამომდინარე ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ და ვიმსჯელოთ დანაშაულში თანამონაწილეობის ცნების რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტზე. პირველ რიგში, ჩვენ უნდა გავამახვილოთ ყურადღება იმაზე, რომ ასეთ შემთხვევაში ჩვენ სახეზე გვყავს ორი, ან ხშირ შემთხვევაში ორზე მეტი პირი, რომლებიც გაერთიანებული ძალებით ხელყოფენ ან ცდილობენ, რომ ზიანი მიაყენონ სისხლის სამართლებრივი წესით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მოგვეხსენება, რომ თანამონაწილეობით შესაძლებელია ჩადენილ იქნეს არა მარტო დამთავრებული, არამედ დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადი თუ არადასჯადი სტადიებიც, თუმცა აღნიშნულ საკითხზე ვრცლად ცოტა მოგვიანებით. ასევე უნდა ითქვას, რომ თანამონაწილეობა შესაძლებელია როგორც ფორმალურ ასევე მატერიალურ შემადგენლობებსა და საფრთხის შემქმნელ დელიქტებში.⁵ მნიშვნელოვანია, რომ ვიდრე განვიხილავდეთ დანაშაულში თანამონაწილეობის ცნების ძირითად ელემენტებს, აღინიშნოს - ქართულ სისხლის სამართალში ერთმანეთისაგან განასხვავებენ თანამონაწილეობის ორგვარ გაგებას: ვიწროსა და ფართოს. აღნიშნულ კატეგორიებს შორის არსებობს პრინციპული განსხვავება, რამეთუ „თანამონაწილეობა ფართო გაგებით უშუალო ამსრულებელსაც თანამონაწილედ თვლის და აქედან გამომდინარე თანამსრულებლობაც თანამონაწილეობაა“.⁶ თუმცა მოცემულ ნაშრომში ჩვენ მიმოვიხილავთ საკითხს, როდესაც სწორედაც, რომ თანამონაწილეობის ფართო გაგება დაგვეხმარება სამართლებრივი პრობლემის სწორად გადაწყვეტაში. ხოლო, რაც შეეხება ვიწროდ გაგებულ თანამონაწილეობას, რომელსაც ხშირად დანაშაულში თანამონაწილეობის რთულ ფორმას ე.ი. თანამონაწილეობას როლების განაწილებით უწოდებენ, აღნიშნულის თანახმად, თანამონაწილეობად განიხილებიან მხოლოდ ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე. აქედან გამომდინარე, ის ვინც სისხლის სსკ-ის კერძო ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას უშუალოდ, თავისი საკუთარი

⁵ თოდუა ნ., ლევკვიციანი მ., მამულაშვილი გ., მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., ნაჭყებია გ. ივანიძე მ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2016. გვ.300
⁶ მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2011. გვ. 210139.

გონებითა და ხელებით ახორციელებს, დანაშაულში თანამონაწილედ არ ითვლება.⁷ მოცემულ შემთხვევებში ამსრულებლის ცნების ქვეშ უნდა მოვიაროთ მისი სამივე სახე, კერძოდ: უშუალო, შუალობითი და თანამსრულებელი.

დანაშაულში თანამონაწილეობის ცნების ანალიზისათვის მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეები მოქმედებენ განზრახ, მათი ქმედება ხასიათდება განზრახვით. მართლაც, დანაშაულში თანამონაწილეობის სოციალური არსიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ადამიანმა შეუძლებელია გაუფრთხილებლობით განახორციელოს სისხლის სამართლებრივი წესით დასჯადი ისეთი ქმედება, რომელიც ორგანიზატორის, წამქეზებლისა თუ დამხმარისათვის იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას. აღნიშნულის გათვალისწინებით ბუნებრივია ასევე ისიც, რომ თანამონაწილეობით შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ განზრახი დანაშაული და გაუფრთხილებელ დანაშაულში თანამონაწილეობა ამ უკანაკსნელის ბუნებიდან და სოციალური თავისებურებიდან გამომდინარე შეუძლებელია; მართლაც, წარმოუდგენელია ორი ან მეტი პირი შეთანხმდეს იმაზე, რომ მათ თვითიმედოვნების ან დაუდევრობის ფორმით ერთობლივად დაარღვიონ წინდახედულობის ნორმა და ხელყონ სამართლებრივი სიკეთე. გაუფრთხილებელ დანაშაულში, როდესაც ორი ან მეტი პირი დაარღვევს წინდახედულობის ნორმას და მათ მიერ ჩადენილი ქმედება მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან ჩვენ სახეზე გვაქვს პარალელური ამსრულებლობა. „კანონმდებლობით არ არის გაწერილი პარალელური ამსრულებლობის საკითხი, როდესაც რამდენიმე პირი ერთიანი გეგმის გარეშე სჩადის განზრახ ქმედებას და იწვევს კანონის შესაბამის დანაშაულებრივ შედეგს.“⁸ პარალელური ამსრულებლობა შესაძლებელია სახეზე გვქონდეს განზრახ დანაშაულებშიც, აღნიშნულის მაგალითია ალტერნატიული მიზეზობრიობა, როდესაც პირები სჩადიან განზრახ ქმედებას, რომელიც მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან და აღნიშნულის განხორციელების მომენტში მათ არ იცოდნენ ერთმანეთის მოქმედების შესახებ. თანამონაწილეობა შესაძლებელია ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. ამსრულებელსა და თანამონაწილეს ყოველთვის ერთი და იმავე სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა სურთ. „ვიწრო გაგებით თანამონაწილეებს უნდა ჰქონდეთ: 1. განზრახვა, როგორც საკუთარი ქმედების, 2. ასევე განზრახვა ამსრულებლის მიერ განხორციელებული შემადგენლობით აღწერილი დანაშაულებრივი შედეგის მიმართ და 3. მართლწინააღმდეგობის შეგნება.“⁹

თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ობიექტურ საფუძველს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ თანამონაწილე და ამსრულებელი ჩადიან ერთსა და იმავე სს-ივ უმართლობას, მათ გადაწყვეტილი აქვთ, რომ ხელყონ ერთი და იგივე სამართლებრივი სიკეთე. აღნიშნულის მაგალითად ხშირად მოყვანილია შემდეგი

⁷ თოდუა ნ., ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., ნაჭყებია გ. ივანიძე მ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2016. გვ. 297.

⁸ Heinrich, AT II (2010) Rn 1186

⁹ მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2011. გვ. 210

შემთხვევა, როდესაც ორი პირი ერთობლივად შეთანხმებულად გადაწვავს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ ქონებას, ასეთ დროს თუ პირველ მათგანს ამოძრავებს საქართველოს დასუსტების მიზანი, ხოლო მეორეს კი შურისძიების მოტივი, გამორიცხულია დანაშაულში თანამონაწილეობა და აღნიშნულ პირთაგან პირველი დაისჯება საბოტაჟისათვის, ხოლო მეორე კი სხვისი ნივთის განადგურებისათვის. ამ დროს საბოტაჟის ამსრულებელი ხელყოფს საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლებს, სხვისი ქონების განადგურების დროს კი სახეზეა მხოლოდ სხვისი საკუთრების უფლების ხელყოფა.

თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის სხვა ობიექტურ საფუძველს წარმოადგენს ასევე მიზეზობრივი კავშირი თანამონაწილეთა ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ამ დროს თანამონაწილის მიზეზობრივი კავშირი, ამსრულებლისათვის დამახასიათებელი მიზეზობრივი კავშირისაგან განსხვავებით, გაშუალებულია ამსრულებლის ქმედებით.

დანაშაულში თანამონაწილეობასთან მიმართებაში არსებობს ორგვარი თეორია: ერთამსრულებლობისა და დუალისტური თეორიები. ერთამსრულებლობის თეორია ერთმანეთსაგან არ განასხვავებს ამსრულებელს, ორგანიზატორს, წამქეზებელსა და დამხმარეს. აღნიშნული თეორია ეყრდნობა პირობათა ტოლფასოვნობის თეორიას, რომლის მიხედვითაც, ყველა პირობა, რომელიც მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან, თანაბარი მნიშვნელობის მატარებელია. აქედან გამომდინარე, ყველა ის პირი, რომლის ქმედებაც მიზეზობრივ კავშირშია, მათი როლისა და ფუნქციის მიუხედავად, ითვლება ამსრულებლად. შესაბამისად, აღნიშნული თეორია ამსრულებლის ცნებისაგან არ განასხვავებს ორგანიზატორის, წამქეზებლისა და დამხმარის ფიგურებს.

რაც შეეხება დუალისტურ თეორიას, აღნიშნული ერთმანეთისაგან განასხვავებს ამსრულებელს, ორგანიზატორს, წამქეზებელსა და დამხმარეს. ზემოთ ჩამოთვლილ ფიგურათა ერთმანეთისაგან ძირითადი განმასხვავებელი კრიტერიუმია მათ მიერ ჩადენილი ქმედების სოციალური საშიშროება და მათი ქმედების შინაარსი. გამომდინარე აქედან, ასეთ შემთხვევაში პირის მიერ ჩადენილი ქმედების არსი უნდა შეფასდეს იმ საშიშროებისა და ნორმატიული ჩარჩოების მიხედვით, რომელიც ახასიათებს კონკრეტულ ქმედებასა და ასევე თანამონაწილის თითოეული სახის საკანონმდებლო განმარტებას.

1.2 დანაშაულში თანამონაწილეობის ბუნება

დანაშაულში თანამონაწილეობის ბუნების შესახებ არსებობს ორი უმთავრესი შეხედულება. ესენია: თანამონაწილეთა დამოკიდებული პასუხისმგებლობისა და აქცესორობის პრინციპები. თანამონაწილეთა დამოკიდებული პასუხისმგებლობის

პრინციპის თანახმად, „დანაშაულში თანამონაწილე პასუხს აგებს საკუთარი ქმედებისა და ბრალისათვის იმისდა მიუხედავად, თუ რა ქმედება ჩაიდინა ამსრულებელმა.“¹⁰ აღნიშნული პრინციპი გაბატონებული იყო საბჭოთა კავშირში, რომელის მომხრეთა არგუმენტაციითაც „თანამონაწილეობის აქცესორული ხასიათის აღიარება ეწინააღმდეგებოდა პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპს“¹¹. საბჭოეთში აქცესორობის ასეთი აღქმა ძირითადად გამოწვეული იყო იმ ფაქტორით, რომ აქცესრობა, იმ დროინდელი ზოგიერთი მეცნიერის შეხედულებით, განისაზღვრებოდა მეტისმეტად ვიწროდ „როგორც თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის სრულ დამოკიდებულებას ამსრულებლის პასუხისმგებლობაზე. თუმცა, თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის პრინციპი დღეს საბოლოოდ უარყოფილია და გაზიარებულია თანამონაწილეობის აქცესრობის პრინციპი, „ეს იმას ნიშნავს, რომ თანამონაწილის მოქმედების კვალიფიკაცია დამოკიდებულია ამსრულებლის ქმედების კვალიფიკაციაზე.“¹² აღნიშნული პრინციპის გამოვლინებას წარმოადგენს სხვადასხვა პრაქტიკული მნიშვნელობის მატარებელი საკითხები. მოცემულის მაგალითი შეიძლება იყოს დაუმთავრებელი დანაშაულის სტადია, რომლის დროსაც თანამონაწილე უნდა დაისაჯოს დანაშაულის დაუმთავრებელი სტადიისათვის, შესაბამისად მომზადების ან მცდელობაში თანამონაწილეობისათვის. აღნიშნულს ასევე იზიარებენ თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის პრინციპის მომხრეებიც „რაც იმას ადასტურებს, რომ თანამონაწილის დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის თეორია არსებითად სწორი არ არის.“ როგორც ზემოთ უკვე ითქვა, თანამონაწილეობა ვიწრო გაგებით, „რომელიც გულისხმობს თანამონაწილეთა შორის როლების დანაწილებას (ორგანიზატორი, წამქეხებელი, დამხმარე)¹³ შეუძლებელია განხორციელდეს ამსრულებლის ფიგურის გარეშე. შესაბამისად გასაზიარებელია მოსაზრება, რომლის თანახმადაც, თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საერთო საფუძველს დანაშაულში თანამონაწილე ყველა პირის მოქმედების ერთიანობა წარმოადგენს. ამ ერთიანობის ღერძი ამსრულებელია.“¹⁴

ამრიგად, უკვე აღინიშნა, რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, თანამონაწილეობას ქართულ სისხლის სამართალში ახასიათებს აქცესორული ბუნება, რომლის ცნებაზედაც ჩვენ უკვე ზემოთ ვისაუბრეთ. ქმედების კვალიფიკაციის თვალსაზრისით უნდა ვთქვათ, რომ აქცესრობის უმნიშვნელოვანეს გამოვლინებას წარმოადგენს, ის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლის მიხედვითაც, დანაშაულში თანამონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თანამონაწილე და ამსრულებელი განხორციელებენ ერთსა და იმავე უმართლობას. შესაბამისად, შეუძლებელია ამსრულებელმა ერთი

¹⁰ თოდუა ნ.,ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., ნაჭყებია გ. ივანიძე მ. სისხლის სამართალი,ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „მერიდიანი“თბ., 2016. გვ.307

¹¹ წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, მე-2 ტომი, თბ., 2007 გვ.72

¹² გამყრელიძე თ., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი III, თბ., 2013. გვ 273

¹³ იხ.იქვე

¹⁴ თოდუა ნ.,ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., ნაჭყებია გ. ივანიძე მ. სისხლის სამართალი,ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „მერიდიანი“თბ., 2016. გვ.308

უმართლობა განახორციელოს და თანამონაწილემ განახორციელოს მეორე უმართლობაში თანამონაწილეობა. ვიდრე უფრო დეტალურად დავახასიათებდეთ დანაშაულში თანამონაწილეობის აქცესორულ ხასიათს, მშიშვნელოვანია ვისაუბროთ მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებაზე, რომელიც დაკავშირებულია დანაშაულის ჩადენის ადგილსა და დროსთან. მოგვეხსენება, რომ ზემოთ ხსენებული ნიშნები წარმოადგენს დანაშაულის შემადგენლობის ფაკულტატურ ნიშნებს. კერძოდ, მნიშვნელოვანია თუ როდის უნდა მივიჩნიოთ თანამონაწილის, მაგალითად: დამხმარის, ქმედება ჩადენილად, როდესაც მან ფაქტობრივად გადასცა იარაღი ამსრულებელს თუ როდესაც ამსრულებელმა დანაშაული ჩაიდინა? აღნიშნულმა შესაძლებელია დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა შეიძინოს იმ შემთხვევაში, თუ თანამონაწილის ქმედებიდან ამსრულებლის მიერ დანაშაულის დასჯადი სტადიის განხორციელებამდე ძალაში შევიდა ახალი სისხლის სამართლის კანონი. მოცემულ შემთხვევაში, „დანაშაულში თანამონაწილეობის აქცესორული პრინციპიდან გამომდინარე, დანაშაული დამთავრებულია მაშინ, როდესაც ამსრულებელმა საერთო ჩანაფიქრი განახორციელა. ამიტომ, ამ შემთხვევაში დანაშაული ჩადენილად ითვლება ამსრულებლის მიერ საერთო ჩანაფიქრის განხორციელების დროს.“¹⁵ ამიტომაც, მოყვანილ მაგალითში თანამონაწილეზე უნდა გავრცელდეს სწორედ ის ახალი სისხლის სამართლის კანონი, რომელიც მოქმედებდა ამსრულებლის მიერ საკუთარი ქმედების ჩადენის დროს. დაახლოებით ანალოგიური პრინციპით წყდება დანაშაულის ჩადენის ადგილის საკითხი თანამონაწილის ქმედებასთან მიმართებაში; კერძოდ, ჩვენ შეიძლება შევხვდეთ შემთხვევას, როდესაც თანამონაწილის ქმედების განხორციელების ადგილი განსხვავდება ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენის ადგილისაგან. აღნიშნულ მაგალითშიც საკითხის გადაწყვეტისას უნდა მივმართოთ აქცესობის პრინციპს, რომლის თანახმადაც „უშუალო ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენის ადგილი არის თანამონაწილის ქმედების ადგილიც, მიუხედავად იმისა, რომ თანამონაწილე ფაქტობრივად მოქმედებს სხვა ადგილას“¹⁶ ანალოგიურად გადაწყდეს საკითხი იმ შემთხვევაშიც, როდესაც ჩვენ სახეზე გვაქვს უმოქმედობით ჩადენილი დანაშაული.

ახლა, უშუალოდ აქცესობის არსთან დაკავშირებით საუბრისას, უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის დოქტრინა ერთმანეთისაგან განასხვავებს აქცესორობის სამ სახეს, ესენია: ჰიპერაქცესორობის, ლიმიტირებული და ლოგიკური აქცესორობის თეორიები. აღნიშნულ თეორიებს შორის არსებობს პრინციპული განსხვავება. ვიდრე თითოეულ თეორიას დავახასიათებდეთ, უნდა ითქვას შემდეგი: „თანამონაწილის აქცესორული ბუნება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა და მათი დასჯადობის ოდენობა მთლიანად და აუცილებლად არის დამოკიდებული ამსრულებლის პასუხისმგებლობაზე და მისი

¹⁵ თოდუა ნ., ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., ნაჭყებია გ. ივანიძე მ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2016. გვ 91
¹⁶ იბ. იქვე. გვ 96

დასჯადობის ოდენობაზე.“¹⁷ ჰიპერაქცესორობის თეორიის თანახმად, „თანამონაწილეთა პასუხისმგებლობას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ქმედობა შეიძლება ბრალად შეერაცხოს მთავარ დამნაშავეს, ე.ი როდესაც მან მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად შეასრულა დანაშაულებრივი ქმედობა.“¹⁸

ჰიპერაქცესორობის თეორიიდან გამომდინარე, შეუძლებელია პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაცია განხორციელდეს თანამონაწილეთა მიმართ. (მაგალითად: შეუძლებელია პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაცია ორგანიზატორსა და დამხმარეს შორის, ან დამხმარესა და წამქეზებელს შორის) ასეთ შემთხვევაში თითოეულ მათგანს თანაბარი პასუხისმგებლობა ეკისრება, იმის გამო, რომ ყველას ქმედება შედეგთან მიზეზობრივი კავშირით არის დაკავშირებული. აღნიშნული თეორია უგულვებელყოფს პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი თანამონაწილის მიერ შეტანილი წვლილი დანაშაულის ჩადენაში თავისი შინაარსისა თუ საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის მიხედვით ერთმანეთისგან განსხვავდება. სწორედ ეს არის ჰიპერაქცესორობის თეორიის მთავარი ნაკლი, რომლის გამოც იგი უმრავლესი ქვეყნების მიერ არ არის გაზიარებული. ბუნებრივია, რომ ჰიპერაქცესორობის თეორია გაზიარებულია ისეთ ქვეყნებში, რომლებიც აღიარებან არა თანამონაწილეობის დუალისტურ, არამედ ერთამსრულებლობის თეორიას. ამ უკანასკნელის თანახმად, ყველა პირი ამსრულებელია მიუხედავად მისი როლისა დანაშაულის ჩადენაში. აღნიშნული თეორია გაზიარებულია მხოლოდ ნორვეგიის სს კანონმდებლობით. აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ჰიპერაქცესორობისათვის დამახასიათებელია ასევე შემდეგი თავისებურება - თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა არა მარტო იმიტომ არის მიბმული ამსრულებლის ქმედებაზე, რომ მისი არ არსებობის შემთხვევაში არც თანამონაწილეობა გვაქვს სახეზე, არამედ იმ მიზეზითაც, რომ ამსრულებლისათვის დამახასიათებელი პირადი თვისებები, რომლებისც ამძიმებენ ან ამსუბუქებენ მის პასუხისმგებლობას, ანალოგიური თვალსაზრისით ზეგავლენას ახდენენ აგრეთვე თანამონაწილეთა პასუხისმგებლობაზე. ბუნებრივია, რომ აღნიშნული მიზეზებისა და თავისებურებების გამო, ქართული კანონმდებლობის მიერ არ არის გაზიარებული ჰიპერაქცესორობის თეორია, რადგან იგი ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის ერთ-ერთ ისეთ ფუნდამენტურ პრინციპს, როგორცაა პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპი, რომლის მრავალი გამოვლინებითაც უხვად არის გაჯერებული დღეს მოქმედი საქართველოს სსკ. აღნიშნულის მაგალითად გამოდგება სსკ-ის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილი. მოცემული ნორმის თანახმად, „პერსონალური ნიშანი, რომელიც ერთ-ერთ თანამონაწილეს ან ამსრულებელს ახასიათებს, შეერაცხება მხოლოდ იმ პირს, რომლის მხარესაც იგი არსებობს და ოგი არ გადავა სხვა პირზე.“ ჰიპერაქცესორობის თეორიის ერთ-ერთი პრაქტიკული მნიშვნელობის მატარებელ თავისებურებად შეგვიძლია მოვიყვანოთ ის ფაქტი, რომ მოცემული „თეორიის მიხედვით, ამსრულებლის ბრალის

¹⁷ წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, მე-2 ტომი, თბ., 2007 გვ 75

¹⁸ წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, მე-2 ტომი, თბ., 2007 გვ 75

გამომრიცხველი გარემოება თანამონაწილის დასჯადობასაც გამოირიცხავს.“¹⁹ აღნიშნულ შემთხვევაში, ჰიპერაქცესორობის ბუნებიდან და არსიდან გამომდინარე, უნდა ვიგულისხმოთ ისეთი შემთხვევა, როდესაც თანამონაწილის პასუხისმგებლობა თავიდან ბოლომდე დამოკიდებულია და მთლიანად ემთხვევა/იდენტურია ამსრულებლის პასუხისმგებლობის და ამ უკანასკნელის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციისა, ამიტომაც, მოცემულ შემთხვევაში, ჰიპერაქცესორობის თეორია ამსრულებლის მხარეს ბრალის კომპონენტის არ არსებობის პირობებში მხოლოდ თანამონაწილეობას კი არ გამოირიცხავს, არამედ ასეთ შემთხვევაში ფაქტობრივი თანამონაწილის საერთოდ სს პასუხისმგებლობა არის გამოირიცხული, -რაც, რა თქმა უნდა, გაუმართლებელია და წინააღმდეგობაში მოდის როგორც, ზოგადად, სამართლიანობასთან, ასევე დღეს არსებულ ქართულ კანონმდებლობასთანაც. კანონის დღეს არსებული რედაქციის თანახმად, მოგვეხსენება, რომ სსკ-ის 22-ე მუხლიდან გამომდინარე, რომელიც გვაძლევს დანაშაულის ამსრულებლის ცნებას, ამ უკანასკნელს ყოფს 3 სახედ, ესენია: უშუალო, შუალობითი და თანაამსრულებლობა, ამიტომაც, იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ სახეზე გვყავს ის პირი, რომელიც ქმედების ობიექტურ შემადგენლობას საკუთარი ხელებით ახორციელებს და მას არ დაეკისრება პასუხისმგებლობა ასაკის, შაურაცხადობის, ან სხვა გარემოების გამო, ასეთ შემთხვევაში ჰიპერაქცესორობის თეორიის საწინააღმდეგოდ ფაქტობრივ თანამონაწილეს (წამქეხებელს) მართალია არ დაეკისრება სს პასუხისმგებლობა, როგორც თანამონაწილეს, მაგრამ მისი ქმედება შეფასდება, როგორც შუალობითი ამსრულებლობა და იგი არ გათავისუფლდება სს-ვი პასუხისმგებლობისაგან. სწორედ ეს არის ჰიპერაქცესორობის პრინციპული შეუსაბამობა დღეს მოქმედ კანონმდებლობასთან.

გარდა ჰიპერაქცესორობის თეორიისა, სამართლის დოგმატიკასა და პრაქტიკაში არსებობს კიდევ ორი ძირითადი თეორია, კერძოდ ლოგიკური და ლიმიტირებული აქცესორობის თეორიები, რომლებიც პრინციპულად განსხვავდებიან, როგორც ერთმანეთისაგან, ასევე ჰიპერაქცესორული მიდგომისაგან. ლიმიტირებული აქცესორობის თეორია, რომელიც გერმანიაშია ფართოდ გაზიარებული, გვეუბნება, რომ თანამონაწილის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველი საკუთარ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებასთან ერთად არის ამსრულებლის მიერ სისხლის სამართლებრივი უსამართლობის ჩადენა. მოგვეხსენება, რომ დღეს მოქმედი სსკ-ს მიერ შემოტანილია დანაშაულის სამსაფეხურებრივი აგებულება. აღნიშნული მოძღვრების თანახმად, ვიცით, რომ დანაშაული შედგება ქმედების შემადგენლობის, მართლსაწინააღმდეგობისა და ბრალისაგან. გამომდინარე აღნიშნულიდან ნათელია, რომ დანაშაულის რეალურად არსებობისთვის აუცილებელია ზემოთ ჩამოთვლილი სამივე კომპონენტის კუმულაციულად არსებობა. თუმცა, შესაძლოა პრაქტიკაში იყოს ისეთი შემთხვევები, როდესაც ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტებიდან ერთ-ერთი, ან ერთდროულად რამდენიმეც კი არ იყოს სახეზე. ასეთი შემთხვევების სწორ

¹⁹ ¹⁹ მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2011. გვ 205

გადაწყვეტაზე დამოკიდებული სხვადასხვა პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხების სამართლიანი და კანონის შესაბამისი შეფასება. მოგვეხსენება, რომ „არსებობს ორი სახის მართლწინააღმდეგობა: ფორმალური და არაფორმალური.“²⁰ ფორმალურ მართლწინააღმდეგობასთან გვაქვს ჩვენ საქმე, როდესაც პირის მიერ ჩადენილია/განცორციელებულია მხოლოდ სსკ-ით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების შემადგენლობა, ისე, რომ სახეზე არ გვაქვს მართლწინააღმდეგობის კომპონენტი, რადგანაც სავსებით შესაძლებელია არსებობდეს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება, მაგალითად: აუცილებელი მოგერიება, მართლზომიერი რისკი და ა.შ. ზემოთხსენებულ შემთხვევებში, სახეზე გვაქვს მხოლოდ სსკ-ით გათვალისწინებული ქმედება, რომელიც მართლზომიერადაა ჩადენილი, ლიმიტირებული აქცესორობის თეორია თანახმად, ასეთ შემთხვევებში პირს არ დაეკისრება სს-ვი პასუხისმგებლობა დანაშაულში თანამონაწილეობისთვის.

პრინციპულად განსხვავებულ შემთხვევასთან გვაქვს ჩვენ საქმე, როდესაც ამსრულებლის მიერ ჩადენილი ქმედება მართლწინააღმდეგობა. ასეთ ვითარებაში უკვე სახეზეა მატერიალური მართლწინააღმდეგობა. „მაშასადამე, დანაშაულის ორი ნიშნის-ქმედების შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის არსებობა ერთობლიობაში წარმოადგენს სისხლის სამართლებრივი უმართლობის განხორციელებას“²¹ ამ უკანასკნელის არსებობა დაკავშირებულია სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხების კანონისმიერ გადაწყვეტასთან. მაგალითად, გაბატონებული მოსაზრების თანახმად, მატერიალურად მართლწინააღმდეგობა ხელყოფის წინააღმდეგ შესაძლებელია აუცილებელი მოგერიების განხორციელება და ასევე ის, რომ ლიმიტირებული აქცესორობის თანახმად, თანამონაწილისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საკმარის საფუძვლად მიიჩნევა ამსრულებლის მიერ არა დანაშაულის (სსკ-ით გათვალისწინებული მართლწინააღმდეგობა და ბრალეული ქმედების ჩადენას), არამედ მხოლოდ სს-ვი უმართლობის (ქმედების შემადგენლობას დამატებული მართლწინააღმდეგობა, ბრალის გამოკლებით) განხორციელებას. აღნიშნული თეორიის თანახმად, „თუ პირი მოქმედებს საკუთარის თავის ან ახლობლის გადასარჩენად, ე.ი ვიწრო გაგებით საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში, ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია დაისაჯოს მისი წამქეზებელი, ან სხვა თანამონაწილე, თუ მათ, თავიანთ მხრივ, არ გააჩნიათ პატიების საფუძველი.“²² როგორც უკვე აღინიშნა, ლიმიტირებული აქცესორობის თეორია გაზიარებულია გერმანიაში. „იგი საჭიროა იმ პირის კვალიფიკაციისთვის, რომელიც შეცდომას უშვებს დანაშაულის ამსრულებლის ბრალუნარიანობაში.“²³ ასეთ შემთხვევაში, სუბექტური თეორიის თანახმად, ის ვინც ბრალუუნარო პირი დანაშაულის ჩასადენად წააქეზა დაისჯება

²⁰ ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2013, გვ.169

²¹ იხ.იქვე. გვ.164

²² იხ.იქვე. გვ. 333

²³ მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2011.გვ. 206

როგორც წამქეზებელი. ქართულ სისხლის სამართალში გაზიარებული მოსაზრების თანახმად, მოცემული მაგალითი უნდა გადაწყდეს ობიექტური თეორიის მეშვეობით და შესაბამისად, აღნიშნულ შემთხვევაში „წამქეზებლის“ ქმედება უნდა შეფასდეს, როგორც შუალობითი ამსრულებლობა; შესაბამისად, აღნიშნულ მაგალითში, თანამონაწილეობის დასასაბუთებლად საქართველოში ლიმიტირებული აქცესორობის თეორიის მოხმობის საჭიროება არ არსებობს. ასევე გერმანიაში, „ლიმიტირებული აქცესორობა გამოიყენება ბრალის გამომრიცხავი უკიდურესი აუცილებლობის დროს მოქმედი პირის დახმარებისა და წამქეზებლის დასასაჯელად“.²⁴ ასეთ შემთხვევაში, ქართულ სისხლის სამართალში არსებული მოსაზრების თანახმად, მოცემული ფაქტორი ბრალს კი არ გამორიცხავს, არამედ მხოლოდ ბრალის შემამსუბუქებელი გარემოებაა.²⁵ ამიტომაც, ასეთ შემთხვევაშიც, ჩვენ არ გვჭირდება ლიმიტირებული აქცესორობის თეორია, შესაბამისად ამ გარემოებათა გათვალისწინებით, ქართულ სისხლის სამართალში არ არსებობს ლიმიტირებული აქცესორობის თეორიის გამოყენების საჭიროება.

რაც შეეხება აქცესორობის შემდგომ სახეს, ეს არის ლოგიკური აქცესორობა. ამ უკანასკნელის მიხედვით, თანამონაწილის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დამოკიდებულია ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენაზე. ამდენად, ნათელია, რომ ლოგიკურ და ლიმიტირებული აქცესორობის თეორიებს შორის არსებობს პრინციპული განსხვავება, რაც მდგომარეობს შემდეგში: როგორც უკვე ვრცლად ვისაუბრეთ, ლიმიტირებული აქცესორობის დროს თანამონაწილის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის ამ უკანასკნელის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებასთან ერთად საკმარისია ამსრულებლის მიერ მხოლოდ სისხლის სამართლებრივი უმართლობის განხორციელება, ხოლო ლოგიკური აქცესორობა კი მოითხოვს თანამონაწილის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება დაკავშირებული იყოს ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენასთან; ამდენად, ამ შემთხვევაში ამსრულებლის მხარეს სავალდებულოა, რომ ქმედების შემადგენლობასთან და მართლწინააღმდეგობასთან ერთად არსებობდეს ასევე ბრალის ნიშანი. ქართული სისხლის სამართალი ცალსახად ემხრობა ლოგიკური აქცესორობის თეორიას, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობაში გააჩნია მყარი საკანონმდებლო საფუძველი. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად, დანაშაულში თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას არა სისხლის სამართლებრივ უმართლობაში, არამედ დანაშაულში. ზემოთ ხსენებული ჩანაწერი არის იმპერატიული ხასიათის, მკაფიო აზრის მატარებელი, რომელშიც ნათლად არის გამოხატული კანონმდებლის ნება. აღნიშნულთან ერთად საინტერესოა, თუ რატომ არ უნდა მოვიაზროთ განხილულ საკანონმდებლო ნორმაში ლიმიტირებული აქცესორობის ძირითადი

²⁴ მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2011. გვ 206

²⁵ მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. კაზუსის ამოხსნის მეთოდის სისხლის სამართალში. გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2010. გვ 149

მახასიათებელი, ამსრულებლის მიერ განზრახი სისხლისსამართლებრივი უმართლობა? აღნიშნულ კითხვაზე პასუხი დაკავშირებულია სისხლის სამართალში არსებულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპთან, კერძოდ, კანონიერების პრინციპთან, რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოვლინება დაკავშირებულია სისხლისსამართლებრივი კანონის ანალოგიის წესით გამოყენების აკრძალვასთან. თუმცა ანალოგიასთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს, რომ *nullum crimen sine lege*-სპრინციპი, მთლიანად არ კრძალავს ანალოგიის გამოყენების შესაძლებლობას სისხლის სამართალში; პირის სასარგებლოდ კანონის ანალოგიის გამოყენება არ ეწინააღმდეგება *nullum crimen sine lege*-ს პრინციპს, რისი უმნიშვნელოვანესი მაგალითებიც არის სისხლის სამართლის კოდექსის 32-ე და 38-ე მუხლების, კერძოდ, ბრალისა და მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი ზეკანონიერი გარემოებების არსებობა. ამის საპირისპიროდ კანონიერების პრინციპი ცალსახად კრძალავს სისხლის სამართლის კანონის ანალოგიის გამოყენების შესაძლებლობას პირის საზიანოდ. ამიტომაც, მოცემულ შემთხვევაში, თუ ჩვენ არ გავიზიარებთ ლოგიკური აქცესორობის თეორიას და სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლის ჩანაწერში „განზრახი დანაშაულის ჩადენაში“ განზრახ დანაშაულთან ერთდ მოვიაზრებთ განზრახ სისხლის სამართლებრივ უმართლობასაც, გამოდის, რომ ამით ჩვენ ვუპირისპირდებით კანონიერების პრინციპს და კანონის ანალოგიას ვიყენებთ პირის საწინააღმდეგოდ, რადგან ამ შემთხვევაში „ვაიოლებთ“ თანამონაწილის პასუხისმგებლობის შესაძლებლობას და არსებითად ვაუარესებთ პირის სამართლებრივ მდგომარეობას. სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებების გათვალისწინებით, ქართულ სისხლის სამართალში თანამონაწილის პასუხისმგებლობასთან მიმართებაში გადაჭრით უნდა ითქვას, რომ გაზიარებულია სწორედაც ლოგიკური აქცესორობის თეორია, რადგან სწორედ ეს თეორია იძლევა თანამონაწილის ქმედების სამართლიანი და სწორი, ასევე იურიდიული თვალსაზრისით გამართული შეფასების საშუალებას.

აქცესორობასთან მიმართებაში უნდა ითქვას, რომ დღეს არსებული საკანონმდებლო რეგულაციიდან გამომდინარე, შესაძლებელია ამსრულებლისა და თანამონაწილის ქმედება სხვადასხვა მუხლით იყოს შეფასებული, რაც თავის მხრივ არ ეწინააღმდეგება აქცესორობის პრინციპს. აღნიშნულის საკანონმდებლო საფუძველს ქმნის სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილები, რომლებზედაც ჩვენ დეტალურად საუბარი მოცემული ნაშრომის სხვა ნაწილებში გვექნება. ხსენებულ შემთხვევებში გადამწყვეტია არა ის ფაქტი, რომ ამსრულებლისა და თანამონაწილის ქმედებები სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლებითაა შეფასებული, არამედ ის გარემოება, რომ ამსრულებელსა და თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ერთი და იმავე სისხლისსამართლებრივი უმართლობისათვის, რომელიც თავის მხრივ, შესაძლებელია გადანაწილებული იყოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ერთზე მეტ მუხლსა თუ შემადგენლობაში. აღნიშნულის ნათელი მაგალითია მკვლელობის უმართლობა, რომელიც მისი სოციალური არსიდან და საზოგადოებრივი უშიშროებიდან გამომდინარე, გადანაწილებულია სისხლის

სამართლის კოდექსის 7 დამოუკიდებელ შემადგენლობაში. სწორედ ამიტომაც, ასეთ შემთხვევებში, აქცესორობის პრინციპთან მიმართებაში გადაწყვეტია ის, რომ ამსრულებელსა და თანამონაწილეს ერთი და იმავე სისხლის სამართლებრივ უმართლობაში დაეკისროთ პასუხისმგებლობა და არა ის, რომ მათი ქმედების კვალიფიკაცია აუცილებლად სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის იდენტურ მუხლზე/ნორმაზე იყოს მიბმული.

თავი II. თანამონაწილეთა სახეები

2.1 ორგანიზატორი

ზემოთ როგორც უკვე აღინიშნა, არსებობს თანამონაწილეობის ორგვარი გაგება - ვიწრო და ფართო. ფართო გაგებით თანამონაწილეობა ორგანიზატორთან წამქეზებელსა და დამხმარესთან ერთად, ასევე ამსრულებელსაც მოიაზრებს თანამონაწილედ. ვიწრო გაგების თანახმად კი, ამსრულებელი არ არის თანამონაწილე. სსკ-ის 24-ე მუხლის ჩანაწერიდან გამომდინარე, თანამონაწილეები არიან ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე. მოცემულ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, კანონმდებელმა იერარქიულობის მათი საზოგადოებრივი საშიშროებისდა გათვალისწინებით თანმიმდევრულად დააღაგა თანამონაწილეთა სახეები. აღნიშნულ იერარქიაში „საკატიო ადგილი“ უკავია ორგანიზატორს, რომელიც დანაშაულში მონაწილე პირებიდან ყველაზე უფრო საშიშ ფიგურას წარმოადგენს. იგი არა მარტო სხვა თანამონაწილეებთან შედარებით უფრო საშიშია, არამედ შეიძლება მან აღნიშნული თავალსაზრისით ამსრულებლის ფიგურასაც კი გადააჭარბოს. „ასეთი სუბიექტების იერარქიაში კი, თუ მას ორგანიზატორი ყავს, ყველაზე მაღლა ორგანიზატორი დგას. იგი ამავე დანაშაულის სხვა მონაწილეებთან შედარებით, როგორც წესი, ყველაზე მკაცრად ისჯება.“²⁶ სსკ-ს 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ორგანიზატორია ის, ვინც მოაწყობს დანაშაულის ჩადენა ან ხელმძღვანელობდა მის განხორციელებას, აგრეთვე ის, ვინც შექმნა ორგანიზებული ჯგუფი და ხელმძღვანელობდა მას, ნათელია, რომ ამ შემთხვევაში „ყურადღებაა გამახვილებული ორგანიზატორული საქმიანობის ობიექტურ მხარეზე“.²⁷ არსებული საკანონმდებლო ნორმიდან გამომდინარე, იმისთვის, რათა პირის ქმედება შეფასდეს, როგორც ორგანიზატორობა, არ არის აუცილებელი მან ყველა ალტერნატიული ქმედება განახორციელოს, - მაგალითად, მოაწყოს დანაშაულის ჩადენა, ასევე მის განხორციელებას ხელმძღვანელობდეს და აღნიშნულთან ერთად ორგანიზებული ჯგუფის შექმნითა და ხელმძღვანელობითაც დაკავდეს. არსებული რეგულაციის თანახმად, პირის ორგანიზატორად მიჩნევისათვის საკმარისია მან განახორციელოს ერთ-ერთი ალტერნატიული ქმედება-მოაწყოს დანაშაულის ჩადენა ან ხელმძღვანელობა გაუწიოს მას და ა.შ. დანაშაულის მოწყობა საკუთარი

²⁶ ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2013, გვ 331

²⁷ მჭედლიშვილი-ჭედრიძე ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2011. გვ 213

შინაარსობრივი ბუნებიდან გამომდინარე შესაძლებელია გამოიხატოს დანაშაულებრივი ქმედების გეგმის შემუშავებაში, აღნიშნული გეგმის სხვა თანამონაწილეებისა და ამსრულებლებისთვის გაცნობაში, დანაშაულის ჩადენ პირთა გამოძებნაში, დანაშაულის ჩასადენად შესაბამისი იარაღის გამოძებნაში, აღნიშნული იარაღის სათანადო პირებისათვის გადაცემაში, დანაშაულში სავარაუდო მონაწილეთა გადმოხიზებასა და მათთვის დავალებელის განაწილებაში. ხოლო, რაც შეეხება დანაშაულის ჩადენაში ხელმძღვანელობას, რაც ასევე ორგანიზატორის ფიგურითაა მოცული, მასში იგულისხმება უფრო მომეტებული ინტენსივობის ქმედებები, ვიდრე ამას გულისხმობს დანაშაულის მოწყობა, კერძოდ, აღნიშნულ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია მოვიაზროთ ისეთი შემთხვევა, როდესაც პირი/ორგანიზატორი უშუალოდ დანაშაულის მსვლელობისას ამსრულებლებსა და სხვა თანამონაწილეებს აძლევს ისეთი ხასიათის მითითებებს, რომელიც ემსახურება დანაშაულებრივი გეგმის რეალიზაციას. მაშასადამე, უნდა დავასკვნათ, რომ დანაშაულის ხელმძღვანელობა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც ამსრულებლები შეუდგებიან დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელებას. ასეთ ვითარებაში, ტიპურად გვაქვს ისეთი შემთხვევა, როდესაც ამსრულებლები უშუალოდ ახორციელებენ ქმედების ობიექტურ შემადგენლობას, ხოლო ორგანიზატორი კი მათზე დისტანციურად გასცემს შესაბამის შესასრულებლად სავალდებულო მითითებებს. ასეთ დროს, შესაძლოა საკმაოდ მცირე აღმოჩნდეს ზღვარი ორგანიზატორსა და ამსრულებელს შორის, ამიტომაც უმთავრესი გასამიჯნი კრიტერიუმი მდგომარეობს ქმედების ობიექტური შემადგენლობის უშუალოდ საკუთარი გონებითა და ხელებით შესრულებაში. ასეთ დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ მომენტს, თუ საიდან იწყება ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელება. მაგალითად, როდესაც ბინაში შეღწევით ქურდობას აქვს ადგილი და დაცულ საცავში თუ სადგომში ამსრულებელთან ერთად ორგანიზატორის ფუნქციის მატარებელი პირიც შევა, ეს უკანასკნელი უკვე ორგანიზატორი კი აღარ არის, არამედ იგი უკვე ამსრულებელია, რადგან ასეთ შემთხვევაში ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელება იწყება ბინაში უკანონოდ შესვლის მომენტიდან. მოცემულ მაგალითში ორგანიზატორი ამსრულებლად გადაიქცა იმისდა მიუხედავად იგი უშუალოდ დაეუფლება თუ არა რაიმე ნივთს. როგორც უკვე ითქვა, დანაშაულის ხელმძღვანელობის ტიპური შემთხვევაა, როდესაც ორგანიზატორი დისტანციურად აძლევს ამსრულებელს შესაბამის მითითებებს, თუმცა შესაძლებელია ორგანიზატორი დანაშაულის ჩადენის ადგილზედაც იმყოფებოდეს და იქიდან გასცემდეს მითითებებს, ასეთ შემთხვევაში გადამწყვეტია, სწორედ ის, რომ პირმა/ორგანიზატორმა უშუალოდ არ განხორციელოს ქმედების ობიექტური შემადგენლობა. ამ შემთხვევაში, საინტერესოა რა მოხდება, როდესაც ორგანიზატორი, დანაშაულის მოწყობასთან ერთად მის განხორციელებას საკუთარი ხელითაც თუ უზრუნველყოფს. მოცემულ ვითარებაში თავს იჩენს პრობლემატური საკითხი, როგორ დავაკვალიფიციროთ პირის ქმედება მხოლოდ მკვლელობის ორგანიზებით, მკვლელობის ამსრულებლობით, თუ საერთოდაც მისი ქმედება ორმაგ შეფასებას მოითხოვს, როგორც ამსრულებლისასაც და ასევე თანამონაწილისასაც? აღნიშნულ კითხვაზე

პასუხს იძლევა სსკ-ის 25-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმადაც, ორგანიზატორის წამქეზებლისა და დამხმარის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება სსკ-ის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით, ამ მუხლზე (ნაგულისხმევია სსკ-ის 25-ე, თანამონაწილის პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი მუხლი) მითითებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი იმავდროულად დანაშაულის თანამსრულებლები იყვნენ.“ როგორც ვხედავთ, კანონმდებელი აქ ამბობს, რომ ნებისმიერი თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაციისათვის საჭიროა, როგორც კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლის, ასევე სსკ-ის 25-ე (თანამონაწილის პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ზოგადი ნაწილის) მუხლის მითითებაც,²⁸ მაგრამ ისეთ ვითარებაში, როდესაც თანამონაწილე, ჩვენს შემთხვევაში, ორგანიზატორი ამსრულებლის ფუნქციებსაც ახორციელებს და ეს თანამონაწილე იმავდროულად თანამსრულებელიც იყო (ე.ი უშუალოდ მონაწილეობდა დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელებაში), მაშინ მისი ქმედების კვალიფიკაციისას არაა საჭირო სსკ-ის 25-ე მუხლზე მითითება, არამედ საკმარისია მითითება კერძო ნაწილის შესაბამის მუხლზე. ამ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, პირის ქმედება შეფასდება, როგორც მკვლელობის თანამსრულებლობა და ამ დროს აღარ არის საჭირო დამატებით თანამონაწილეობის მუხლზე მითითება. განხილულ შემთხვევაში, მართალია, ორგანიზატორი დანაშაულებრივი იერარქიის მწვერვალზე დგას, მაგრამ მასაც კი არ შეუძლია შთანთქოს ამსრულებელი, რადგან სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს დანაშაულის ცენტრალურ ფიგურას, მის ღერძს, სწორედ მას უპყრია ხელთ ქმედების განხორციელების სადავეები და მასზეა მაინც საბოლოო ჯამში დამოკიდებული დანაშაულის განხორციელება - არ განხორციელების საკითხი. ხოლო ის ფაქტი, რომ პირმა ასევე დანაშაულის ორგანიზებაც განახორციელა მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, როგორც დამამძიმებელი გარემოება სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრისას. ჩვენ რომ დავუბრუნდეთ ორგანიზატორის მიერ განხორციელებულ ალტერნატიულ ქმედებებს, უნდა დავახსიანოთ ის, თუ რა არის ორგანიზებული ჯგუფის შექმნა ან მისი ხელმძღვანელობა. ორგანიზებული ჯგუფის საკანონმდებლო განმარტებას ჩვენ გვთავაზობს სსკ-ის ზოგადი ნაწილი, კერძოდ კი 27-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა დროის არსებულ მონაკვეთში არსებულმა შეთანხმებულად მოქმედმა ჯგუფმა, რომლის წევრებიც წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად. გამომდინარე აქედან, უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზებული ჯგუფის შექმნა შესაძლებელია გამოიხატოს ისეთ ტიპიურ ქმედებებში, რომელთა განხორციელებას შედეგად მოსდევს ორგანიზებული ჯგუფის შექმნა, კონკრეტულად კი, როგორც წესი, ჩვენ ვხვდებით ორგანიზებული ჯგუფის წევრების შერჩევასა და გადმოხირებას, მათთვის დანაშაულის განსახორციელებლად ცეცხლსასროლი თუ სხვაგვარი იარაღის გამოძებნასა და გადაცემას, ასევე მნიშვნელოვანია ორგანიზებული ჯგუფის შექმნისა და

²⁸ თოდუა ნ., ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., ნაჭყებია გ. ივანიძე მ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2016. გვ 349

საქმიანობის მიზნების, აგრეთვე, მის წევრთა უფლება-მოვალეობათა განსაზღვრა და აღნიშნულის გაცნობა ხსენებული ჯგუფის ცალკეული წევრებისათვის. ორგანიზატორისათვის დამახასიათებელი ქმედებები შეიძლება გამოიხატოს ასევე ჯგუფის წევრთათვის დავალების მიცემასა და მის განხორციელებაზე კონტროლის გაწევაში, ორგანიზებულ ჯგუფში მის წევრთა მხრიდან დისციპლინის დარღვევაზე ზედამხედველობაში, ასევე ცალკეული „საქმისა“ და სამიზნის გამოძებნაში, მასზე თავდასხმის დაგეგმვაში, ასევე ამ უკანასკნელის განხორციელებაზე ზედამხედველობის გაწევისა და ა.შ. აღნიშნულ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ისეთი სიტუაცია, როდესაც პირს უკვე შექმნილი აქვს კონკრეტული ორგანიზებული ჯგუფი მაგალითად, დროის გარკვეულ პერიოდში არსებული სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფი, რომლის მიზანიც არის თაღლითური ქმედებების შედეგად მატერიალური გამორჩენის მიღება, მაგრამ ამ ვითარებაში, მართალია, ორგანიზატორმა შექმნა დანაშაულის ჩასადენად ორგანიზებული ჯგუფი, მაგრამ ჯერ კიდევ არ არსებობს ორგანიზატორის დასჯადობის საფუძველი, რადგან ამსრულებლებს შესაბამისი დანაშაულებრივი ქმედების დასჯადი სტადია არ განუხორციელებიათ. მაშასადამე ვხედავთ, რომ თავს იჩენს დანაშაულში თანამონაწილეობის აქცესორული ბუნება, რომლის თანახმადაც ორგანიზატორის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა პირდაპირ არის მიბმული ამსრულებლის მიერ დანაშაულის დასჯადი სტადიის განხორციელებაზე. განხილულ მაგალითში ჩვენ ვერ დავაკისრებთ ფაქტობრივ ორგანიზატორს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას დანაშაულის მომზადებისათვის, რადგან ამ უკანასკნელისათვის პასუხისმგებლობა რომ დაეკისროს პირს აუცილებელია მან დაგეგმოს, მოამზადოს და ორგანიზებული ჯგუფი შექმნას კონკრეტული ინდივიდისათვის კონკრეტული ზიანის მისაყენებლად, რადგანაც როგორც ჩვენ დოქტრინა გვეუბნება „დანაშაულის მომზადებაში კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნა იგულისხმება.“²⁹ თუ პირმა პერსონალური კომპიუტერი შეიძინა იქნებ მომავალში ვინმეს კომპიუტერულ სისტემაში უკანონოდ შეღწევა მოვახერხოვო, მას ჩვენ სსკ-ის 284-ე მუხლის მომზადებისათვის ვერ დავსჯით. საბოლოო ჯამში უნდა ითქვას, რომ ორგანიზებული ჯგუფის შექმნისათვის პირს, როგორც ორგანიზატორს იმ შემთხვევაში დაეკისრება პასუხისმგებლობა, როგორც ორგანიზატორს თუ ხსენებული ჯგუფის წევრებმა განახორციელეს რომელიმე დანაშაულის დასჯადი სტადია. ორგანიზებული ჯგუფის შექმნის ან ხელმძღვანელობის ზემოთ განხილული შემთხვევებისაგან განსხვავებით, ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ სსკ-ის კერძო ნაწილის ზოგიერთ შემადგენლობას, რომელიც ხსენებულ საკითხს განსხვავებულად არეგულირებს. მხედველობაში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როდესაც კანონმდებლის მიერ ცალკეული ისეთი ქმედება, რომელიც მოცულია ორგანიზატორის ფიგურით (მაგალითად, დანაშაულის მოწყობა, ორგანიზებული ჯგუფის შექმნა, მისი ხელმძღვანელობა და ა.შ.) უკვე დამთავრებულ დანაშაულად არის გამოცხადებული

²⁹ თოდუა ნ., ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., ნაჭყებია გ. ივანიძე მ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2016. გვ 276

იმისდა მიუხედავად შესაბამისი ჯგუფის წევრებმა განახორციელეს თუ არა რაიმე დასჯადი ქმედება, მაგალითად, ბანდიტური ჯგუფის წევრებმა განახორციელეს თუ არა რაიმე დანაშაული. როგორც უკვე ითქვა, აღნიშნულის მაგალითია ბანდიტიზმი, ასევე მოცემული საკითხის მაგალითია სსკ-ის 327-ე მუხლი ტერორისტული ორგანიზაციის შექმნა ან ხელმძღვანელობა და ა.შ. მოცემულ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს იურიდიულ ფიქციასთან, როდესაც საკითხის ფაქტობრივი და იურიდიული მხარე ერთმანეთს არ ემთხვევა. ხსენებულის მაგალითად გამოდგება, თუნდაც ბანდიტიზმის შემთხვევა, რადგანაც სსკ-ის 224-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კრიმინალიზებულია მყარი შეიარაღებული ჯგუფის შექმნა ან ხელმძღვანელობა, როგორც ვხედავთ სახეზეა ისეთი ქმედებები, რომელიც მოცულია მთლიანად ორგანიზატორის ფიგურით, თუმცა იმის გამო, რომ ხსენებულ ქმედებებს კანონმდებელი უკვე დამთავრებულ დანაშაულად აცხადებს ფაქტობრივი თანამონაწილეობა ჩვენ უნდა შევფასოთ, როგორც იურიდიული ამსრულებლობა, ამიტომაც ამ შემთხვევაში ბანდის შემქმნელსა და ხელმძღვანელს პასუხისმგებლობა დაეკისრებათ არა როგორც თანამონაწილეებს (ორგანიზატორებს) არამედ, როგორც ამსრულებლებს, სწორედ ამაში გამოიხატება ზემოთ აღნიშნული იურიდიული ფიქცია. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მოცემული დასკვნა ეფუძნება კანონის დღეს არსებულ რედაქციას, მაგრამ გასაზიარებელია დოქტრინაში არსებული რეკომენდაცია მასზედ, რომ „რადგან ორგანიზატორის საქმიანობა მეტად დიდი სოციალური საშიშროების შემცველია, სსკ-ის 24-ე მუხლის მე-3 ნაწილზე მითითება არამხოლოდ მაშინაა საჭირო, როდესაც იგი ქმედების შემადგენლობას უშუალოდ არ ასრულებს, არამედ მაშინაც, როდესაც იგი დამატებით ამსრულებლის როლშიც გამოდის“.³⁰ ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ამსრულებელი თანამონაწილედ ვერ გადაიქცევა, თუმცა ორგანიზატორის ფაქტობრივად შესრულებული როლის კვალიფიკაციაში ასახვა სასამართლოს დაეხმარება ობიექტურად შეაფასოს პირის მიერ განხორციელებული ბოროტების არსი და იგი ადეკვატურად დასაჯოს.

ორგანიზატორის ფიგურასთან დაკავშირებით ჩვენ უნდა ვიმსჯელოთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხთან მიმართებაში, რომელიც ეხება სხვადასხვა სპეციფიურ შემთხვევებს კერძოდ, როდესაც ორგანიზატორი თავისი უშუალო ფუნქციების გარდა ასრულებს სხვა თანამონაწილისათვის დამახასიათებელ ქმედებებსაც. ჩვენ შესაძლებელია შევხვდეთ ისეთ ვითარებას, რომლის დროსაც ორგანიზატორმა შეითავსოს წამქეზებლის ფუნქციები და დანაშაულის ჩასადენად სხვადასხვა ხერხის გამოყენებით დაიყოლიოს ამსრულებელი ან სხვა თანამონაწილე. ასეთ შემთხვევაში ორგანიზატორის ფიგურა ვერ შთაინთქმება, უფრო ნაკლები საზოგადოებრივი საშიშროების მატარებელი ფიგურით - წამქეზებლით, „რადგან წამქეზებლობაც ორგანიზატორული ფუნქციის შემადგენელი ნაწილია.“³¹ ამდენად, აღნიშნულ შემთხვევაში პირის ქმედების კვალიფიკაცია მოხდება, როგორც მხოლოდ

³⁰ მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2011. გვ 218.

³¹ თოდუა ნ., ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., ნაჭყებია გ. ივანიძე მ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2016. გვ 320

ორგანიზატორისა და არა როგორც ორგანიზატორისაც და წამქეზებლისაც. ანალოგიურად გადაწყდება საკითხი იმ შემთხვევაშიც, როდესაც ორგანიზატორი შეითავსებს ასევე დამხმარის ფუნქციებსაც, რაღა თქმა უნდა, არ აქვს მნიშვნელობა თუ კონკრეტულად რა სახის დახმარებას ექნება ადგილი - ფიზიკურს, ფსიქიკურს თუ ინტელექტუალურს. „ამდენად ორგანიზატორობა თავის თავში მოიცავს წამქეზებლობასა და დახმარებას, მაგრამ არ მოიცავს ამსრულებლობას“. ³²

რაც შეეხება შემდგომ საკითხს, ეს დაკავშირებულია დანაშაულის უშედეგო ორგანიზებასთან, შესაბამისად ისეთ ვითარებასთან, როდესაც ორგანიზატორმა განახორციელა მისი ფიგურისათვის დამახასიათებელი ქმედებები, იმისათვის, რათა რომელიმე კონკრეტული დანაშაული განხორციელებულიყო, თუმცა მისადმი დამოუკიდებელ მიზეზთა გამო მან ვერ მოახერხა შესაბამისი ჩანაფიქრის რეალიზება. აღნიშნული შესაძლებელია მოხდეს სამ შემთხვევაში: 1) როდესაც ამსრულებელი ორგანიზატორისადმი დამოუკიდებელი მიზეზებისდა გამო ვერ მოახერხებს დანაშაულებრივი ჩანაფიქრის რეალიზებას. მაგალითად, ამსრულებელი პოლიციამ ამხილა ვიდრე იგი დანაშაულს დაამთავრებდა. 2) შესაძლებელია ისეთი შემთხვევა, როდესაც ორგანიზატორმა თავისდა დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ვერ შეძლო მისი ფიგურისათვის დამახასიათებელი ქმედების განხორციელება, რომელიც კონკრეტული დანაშაულის ორგანიზებისაკენ იყო მიმართული. მაგალითად გამოდგება ისეთი შემთხვევა, როდესაც ორგანიზატორი ცდილობდა რაიმე კონკრეტული ცეცხლსასროლი იარაღის შეძენას, რათა იგი ამსრულებლისათვის გადაეცა, რომელიც თავის მხრივ ამ იარაღის გამოყენებით ჩაიდენდა შესაბამის დანაშაულს, მაგრამ ორგანიზატორი იარაღის შეძენისას პოლიციამ ამხილა; ხოლო უკანასკნელია 3) ისეთი შემთხვევა, როდესაც ორგანიზატორმა ყველაფერი გააკეთა რაც მასზე იყო დამოკიდებული, თუმცა, აღნიშნულისდა მიუხედავად, ამსრულებელმა მაინც არ განახორციელა შესაბამისი დანაშაულებრივი ქმედება. მოცემულ პრობლემატურ შემთხვევათა სწორ გადაწყვეტაზე პირდაპირაა დამოკიდებული ორგანიზატორის ქმედების სათანადო კვალიფიკაცია. 1-ლ შემთხვევაში არ არის სადავო, რომ ამსრულებლის მიერ დანაშაულის ბოლომდე ვერ მიყვანის გამო ორგანიზატორს აქცესორობის პრინციპიდან გამომდინარე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება დაუმთავრებელ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, იმ შესაბამისი სტადიის მიხედვით, რომელსაც განახორციელებს ამსრულებელი. მე-3 შემთხვევას, რაც შეეხება ასეთ ვითარებას კანონმდებელი სპეციალურად არ აწესრიგებს, რითაც ერთი შეხედვით ჩიხში ვექცევით, თუმცა ჩვენ უნდა გამოვიყენოთ კანონის ლოგიკური განმარტება და უფრო დიდი თანამონაწილის ფიგურა - ორგანიზატორი უნდა მივუსადაგოთ შედარებით უფრო ნაკლებად საშიში თანამონაწილის სახის - წამქეზებლისათვის დაწესებულ საკანონმდებლო რეგულაციას, კერძოდ სსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილს, რომლის თანახმადაც, დანაშაულის მომზადებისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმასაც, ვინც მისგან დამოუკიდებელ

³² თოდუა ნ., ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., ნაჭყებია გ. ივანიძე მ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2016. გვ 320

გარემოებათა გამო ვერ შეძლო შესაბამისი პირის დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად. ამ შემთხვევაში ვხედავთ, რომ კანონმდებელი დანაშაულად, კერძოდ, დანაშაულის მომზადების სტადიად აფასებს უშედეგო წაქეზებას. თუ ჩვენ აღნიშნულ ჩანაწერს გამოვიყენებთ უშედეგო ორგანიზებასთან მიმართებაში ამით წინააღმდეგობაში არ მოვალთ *nullum crimen sine lege*-ს პრინციპთან, რადგან ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ „მით უფრო“ არგუმენტი, რომლის თანახმადაც თუ კანონმდებელი დასჯადად აცხადებს უფრო ნაკლებად საშიშ ქმედებას - უშედეგო წაქეზებას, ეს ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული ჩანაწერით კანონმდებელი ასევე დასჯადად აცხადებს უშედეგო წაქეზებაზე უფრო მეტი საზოგადოებრივი საშიშროების მატარებელ ქმედებასაც - უშედეგო ორგანიზებასაც. ამიტომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს კანონმდებლის გეგმიურ ხარვეზს, რაც არ გამორიცხავს უშედეგო ორგანიზების დასჯადობას. მაშასადამე მე-3 შემთხვევაში პირს სსკ-ის პასუხისმგებლობა დაეკისრება მკვლელობის მომზადებისათვის. რაც შეეხება მე-2 შემთხვევას, ასეთ ვითარებაში ჩვენ გვაქვს სახეზე ქმედება, რომლის დროსაც პირმა თავად ვერ შეძლო ორგანიზებისაკენ მიმართული ქმედების განხორციელება, მოყვანილ მაგალითში ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა. აღნიშნულის სწორად გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია ითქვას თუ რისთვის დაისჯებოდა პირი თუ იგი შეძლებდა ამ კონკრეტული ეპიზოდის „წარმატებით“ დაძლევას და იარაღს შეიძენდა. ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან გამომდინარე, ჩვენ სახეზე გვექნებოდა დანაშაულის მომზადების სტადია, რადგან პირი ახორციელებს ორგანიზატორისათვის დამახასიათებელ ქმედებებს, თუმცა არსებულ ეტაპზე დაცულ სამართლებრივ სიკეთეს ჯერ კიდევ არ ემუქრება კონკრეტული საფრთხე, ამ ეტაპზე ფაქტობრივად იქმნება პირობები დანაშაულის განსახორციელებლად და წარმოიქმნება აბსტრაქტული საფრთხე. მაგრამ განსახილველ შემთხვევაში პირს ხელი შეუშალეს და მან მსხვერპლის სიცოცხლისადმი აბსტრაქტული საფრთხის შექმნაც ვერ მოახერხა, შესაბამისად სახეზეა არა დანაშაულის მომზადება, არამედ ხელშეშლილი მომზადება. ამ უკანასკნელთან მიმართებაში კი უნდა აღინიშნოს, რომ იგი დასჯადად არ ითვლება.³³ ამიტომაც, ამ შემთხვევაში, პირი არც დანაშაულის ორგანიზებისათვის და არც დანაშაულის მომზადებისათვის არ დაისჯება. ორგანიზატორის ფიგურასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ასევე ის, რომ, როგორც უკვე ითქვა, არ არის აუცილებელი ორგანიზატორმა განახორციელოს ყველა ის ქმედება, რაც მისი ფიგურისთვის არის დამახასიათებელი, თუმცა თუ იგი ერთ რომელიმე კონკრეტულ დანაშაულთან დაკავშირებით რამდენიმე ქმედებას განახორციელებს მაგალითად: პირმა ქურდობის ჩასადენად შექმნა ორგანიზებული ჯგუფი, მოაწყო შესაბამისი დანაშაულის ჩადენა, დაგეგმა იგი და ასევე მისი განხორციელების პროცესს ხელმძღვანელობდა; ეს ფაქტორი არ ნიშნავს იმას, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ სახეზე გვაქვს დანაშაულთა ერთობლიობა იმდენი ეპიზოდით, რამდენი ქმედებაც განახორციელა პირმა. აღნიშნული შეხედულება გამომდინარეობს იქიდან, რომ ზემოხსენებული ქმედებები ერთმანეთის ლოგიკური

³³ თოდუა ნ., ლეკვიშვილი მ., მაჟულაშვილი გ., მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., ნაჭყებია გ. ივანიძე მ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2016. გვ 275

გაგრძელებაა და ამასთანავე სახეზეა სისხლის სამართლებრივი დაცვის ერთი ობიექტი. ამდენად, ამ შემთხვევაში, ორგანიზატორის თითოეული ქმედება მოცულია მისი შემდგომი ქმედებით და არ არსებობს მისი ქმედების დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაციის საფუძველი.

2.2 წამქეზებელი

სსკ-ის მიხედვით, დანაშაულის წაქეზება გულისხმობს სხვა პირის განზრახ დაყოლიებას განზრახი დანაშაულის ჩასადენად. „დანაშაულის ჩადენაზე დაყოლიება ნიშნავს სავარაუდო ამსრულებელში დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების გამოწვევას.“³⁴ მოცემულ საკითხთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულის ჩადენაში დაყოლიებისას იგულისხმება პირის დაყოლიება განზრახი დანაშაულის ჩადენაში. ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა ამოვიდეთ თანამონაწილეობის ზოგადი ცნებიდან. დანაშაულში დაყოლიებისათვის პასუხისმგებლობისათვის სამართლებრივი მნიშვნელობა არ ენიჭება წაქეზებულის პიროვნებას, მაგ. შეიძლება გამოუსწორებელი რეციდივისტი ბევრად მარტივად დაიყოლიო, ვიდრე ჩვეულებრივი სტატისტიკური მოქალაქე, მაგრამ ამ შემთხვევაში აღნიშნული ფაქტორი ირელევანტურია და წამქეზებელს სს-ვი პასუხისმგებლობა დაეკისრება წაქეზებისათვის, თუკი წაქეზებული მიიღებს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას. ასეთ დროს წამქეზებლობას ექნება ადგილი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი ზემოქმედების შედეგად, როგორც ამსრულებელი, ასევე სხვა თანამონაწილე მიიღებს დანაშაულის ჩადენის შესახებ გადაწყვეტილებას. დანაშაულში წაქეზება მრავალი ერთმანეთისაგან განსხვავებული ქმედებით არის შესაძლებელი რომ გამოიხატოს. აღნიშნულ შემთხვევაში წამქეზებლის პასუხისმგებლობის საკითხში გადამწყვეტი ფაქტორი არის ის, რომ მან ერთი მხრივ, მართლაც შეძლოს და ამსრულებელს ან სხვა თანამონაწილეს მიაღებინოს გადაწყვეტილება დანაშაულის ჩასადენად და ამასთანავე, წამქეზებელი საკუთარ ქმედებას სპეციალურად მიზანმიმართულად უნდა სჩადიოდეს სწორედ იმისათვის, რომ მან წაქეზებულში დანაშაულის ჩადენის განზრახვა წარმოშვას. ისევე როგორც სხვა თანამონაწილეებთან მიმართებაში, ასევე წამქეზებლისათვისაც დამახასიათებელია რომ „მის მიერ განხორციელებული ქმედება დანაშაულის ჩადენასთან მიზეზობრივად უნდა იყოს დაკავშირებული“.³⁵ ობიექტურ რეალობაში წაქეზება სხვადასხვა განსხვავებული ხერხით შეიძლება რომ გამოიხატოს. ეს შეიძლება იყოს მეგობრული თხოვნა, შეკვეთა, მოსყიდვა, შანტაჟი, მუქარა, დარწმუნება, სამომავლოდ საჩუქრის შეპირება, და სხვა. მოცემულ შემთხვევაში მიზანშეწონილია ჩამოთვლილი ქმედებებიდან რამდენიმეზე გავამახვილოთ ყურადღება. მოსყიდვით დანაშაულის ჩადენაში დაყოლიებას ადგილი აქვს მაშინ,

³⁴თოდუა ნ.,ლეკვიშვილი მ., მამულაშვილი გ., მჭედლოშვილი-ჰედრიხი ქ., ნაჭყებია გ. ივანიძე მ. სისხლის სამართალი,ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „მერიდიანი“თბ., 2016. გვ 321.

³⁵მჭედლოშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები,გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2011. გვ 219

როდესაც წაქეზებულ პირში დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების წარმოშობის მასტიმულირებელი გარემოება ის ქონებრივი სარგებელია, რომელსაც წამქეზებელი მას ჰპირდება შესაბამისი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის გამო. აღნიშნულ შემთხვევაში, ვხედავთ, რომ მომეტებულია ამსრულებლისა და თანამომარაგის გასაკიცხაობის საფუძველი, ამიტომაც ანგარება სსკ-ის მთელ რიგ მუხლებში გატანილი არის დამამძიმებელ გარემოებად. პრაქტიკაში შეიძლება შეგვხვდეს ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს „თხოვნა“ და „ბრძანება“, ამ დროს, მართალია, ორივე მიმართულია ამსრულებელში დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების აღმოცენებისაკენ, მაგრამ თხოვნისაგან განსხვავებით, ბრძანება ბევრად უფრო მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროების მატარებელი ქმედებაა და სწორედ აღნიშნული ფაქტორის გამო ჩვენ სსკ-ის მთელ რიგ მუხლებში ვხვდებით ისეთ დამამძიმებელ გარემოებას, როგორცაა შეკვეთა. დასახელებულ შემთხვევებში პირის დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად ხდება არა იმის გამო, რომ ადგილი აქვს „უბრალო შეგონებას“ ან მეგობრულ თხოვნას, არამედ ამ დროს გავლენიანი პირი უბრძანებს და ხშირ შემთხვევაში წაქეზებულს სხვა არჩევანსაც არც კი უტოვებს, გარდა იმისა, რომ მან დანაშაულებრივი ქმედება განახორციელოს. სწორედ აღნიშნული ფაქტორი განაპირობებს სსკ-ის კერძო ნაწილის მთელ რიგ მუხლებში ისეთი დამამძიმებელი გარემოების შემოღებას როგორცაა - შეკვეთა. მამასადამე, ჩვენ უნდა გავმიჯნოთ „თხოვნა“ და „ბრძანება ანუ დავალება“, როგორც შეკვეთის ფორმები. ეს უკანასკნელი შესაძლებელია გამოიხატოს იმაში, რომ ამსრულებელმა „შეიძლება ჩაიძინოს მკვლელობა მისთვის გავლენიანი პირის (მაგალითად, ჯარისკაცმა ოფიცრის ან გენერლის, პოლიციელმა პოლიციის საამართველოს უფროსის) დაკვეთით, ასევე შესაძლებელია კრიმინალურმა ავტორიტეტმა უბრძანოს ორგანიზებული ჯგუფის წევრს, სიცოცხლე მოუსპოს არასასურველ პირს.“³⁶ განხილულ შემთხვევაში ჩვენ გვექნება საქმე შეკვეთასთან და არა „უბრალო წაქეზებასთან“. „ხოლო თუ ადგილი აქვს თხოვნას მკვლელობის ჩადენაზე, იგი შეკვეთად ვერ დაკვალიფიცირდება; მაგალითად, პოლიციის საამართველოს უფროსი და რიგითი პოლიციელი მეგობრები არიან. პოლიციის უფროსმა მას სთხოვა მოეკლა მისთვის არასასურველი პირი, რაც პოლიციელმა შეასრულა.“³⁷ აღნიშნულ მაგალითში პოლიციელში დანაშაულის ჩადენის განზრახვის აღმოცენების განმაპირობებელია არა წამქეზებლის სამსახურებრივი მდგომარეობა ან გავლენა, არამედ ზემოთ ხსენებულ პირთა შორის არსებული მეგობრული ურთიერთობა, რის გამოც ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს სახეზე დაყოლიება თხოვნით და არა დაყოლიება შეკვეთით. წაქეზებასთან მიმართებაში უნდა ითქვას, რომ „წამქეზებლობას ყოველთვის ახასიათებს კონკრეტულობა რამდენიმე მიმართულებით.“³⁸ პირველი, ეს არის, რომ ჩვენ სახეზე უნდა გვქონდეს კონკრეტული დანაშაულის წაქეზება მაგ: ქურდობა, მარცვა, მკვლელობა და ა.შ. ამ შემთხვევაში გადამწყვეტია არა ის, რომ ამსრულებელი წაქეზებულ იქნეს ზოგადად

³⁶ თოდუა ნ., ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., ნაჭყებია გ. ივანიძე მ.

სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2016. გვ 72

³⁷ იბ. იქვე

³⁸ იბ. იქვე. გვ 322

ქურდობის ჩადენისათვის, არამედ, ჩვენ სახეზე უნდა გვქონდეს კონკრეტული მოძრავი ნივთი, მისი მესაკუთრე და სწორედ აღნიშნული ნივთის ფარულად დასაუფებლად უნდა ხორციელდებოდეს ამსრულებლის წაქეზება. აღნიშნულ შემთხვევებში, როდესაც ბოროტმოქმედებს არ ყავთ „მიზანში ამოღებული“, კონკრეტული პირის განსაზღვრული სამართლებრივი სიკეთე, რომლის დაზიანებაც მათ შეთანხმებული დანაშაულით სურთ, მაშინ ზემოხსენებულ პირთა, კერძოდ წამქეზებლის და სხვა თანამონაწილეების მიერ გამოვლენილი ბოროტი ნება სს-ვად რელევანტურ საფრთხეს ვერ ქმნის და იგი არ უნდა იქნეს დასჯად ქმედებად მიჩნეული. ამ შემთხვევაში ჩვენ სახეზე არ გვაქვს დანაშაულის მომზადების სტადიაც კი, რადგან ვიცით, რომ დანაშაულის მომზადებაში კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნა იგულისხმება. თუ პირმა იარაღი შეიძინა იქნებ ვინმე დავაყაჩაღვო, მას ყაჩაღობის მომზადებისათვის ვერ დავსჯით. იგი შეიძლება მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენისათვის დაისაჯოს.“³⁹ ამიტომაც თუ ერთი პირი გაჭირვებაში მყოფ მეგობარს ურჩევს, შეეშვას კანონმორჩილ ცხოვრებას და კრიმინალის ჩადენას მიჰყოს ხელი, ჩვენ სახეზე არ გვაქვს წამქეზებლის სს-ვი პასუხისმგებლობის საფუძველი მაშინაც კი, თუ მეგობარი დათანხმდა და არც საპირისპირო შემთხვევაში, რადგანაც ზოგადად კრიმინალური ცხოვრებისაკენ მოწოდება არ არის კონკრეტული დანაშაულისაკენ დაყოლიება. რაც შეეხება კონკრეტულობის მე-2 გამოვლინებას დანაშაულის წამქეზებლობასთან მიმართებაში, ეს გულისხმობს იმას, რომ „დანაშაულის ჩასადენად წინადადება მიმართული უნდა იყოს კონკრეტული პირის ან პირთა წრის მიმართ, როგორც სავარაუდო ამსრულებლებზე.“⁴⁰ ამდენად, ჩვენ არ გვექნება დანაშაულის წაქეზება იმ შემთხვევაში, როდესაც წამქეზებელი პირთა განუსაზღვრელ წრეს მოუწოდებს რაიმე სახის დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებისაკენ. აღნიშნულ შემთხვევებში ობიექტურ ფაქტორს უნდა მიექცეს ყურადღება, კერძოდ კი იმას, რომ როდესაც პირი ადამიანთა განუსაზღვრელ წრეს მიმართავს დანაშაულის ჩასადენად, იგი მოკლებულია ისეთი ზემოქმედების საშუალებას, რომ სხვები რეალურად დაიყოლიოს დანაშაულის ჩასადენად. ასეთ დროს, უმეტეს შემთხვევებში, ძნელდება ისეთი ხასიათის ზემოქმედების განხორციელება, რომელიც რეალურად საშიშროების შემცველია, რადგან, როგორც წესი, ერთი პირი მოკლებულია შესაძლებლობას ერთდროულად მრავალი ადამიანი გადმოიბიროს მათთან ინდივიდუალური მუშაობის გარეშე. თუმცა, არსებობს გარკვეული შემთხვევები, როდესაც აღნიშნული ქმედებები კონკრეტულ მომენტში გარკვეული საფრთხის მატარებელია საზოგადოებისათვის, ასეთ ვითარებაში ჩვენ გვაქვს სსკ-ის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ცალკეული შემადგენლობები. მაგ: მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობის ძალადობით შეცვლისაკენ, ან სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისაკენ, ასევე ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდება და ტერორიზმისაკენ საჯაროდ მოწოდება და ა.შ. ამ შემთხვევებში როგორც ვხედავთ, კანონმდებელს კრიმინალიზებული აქვს ისეთი

³⁹თოდუა ნ.,ლეკვიშვილი მ., მამულაშვილი გ., მჭედლოშვილი-ჰედრიხი ქ., ნაჭყებია გ. ივანიძე მ. სისხლის სამართალი,ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „მერიდიანი“თბ., 2016..გვ 276
⁴⁰იხ.იქვე.გვ322

ხასიათისა თუ შინაარსის მატარებელი საჯარო მოწოდებები, რომლებიც საფრთხეს უქმნის სს წესით დაცულ მეტად მნიშვნელოვან სიკეთეებს, როგორებიცაა: საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება, ასევე კონსტიტუციური წყობილების საფუძვლები და ა.შ. სხვა შემთხვევებში, როდესაც საჯარო მოწოდება მიმართულია პირთა განუსაზღვრელ წრეზე და იგი საფრთხეს უქმნის უფრო ნაკლებად ღირებულ სამართლებრივ სიკეთეს, მაგალითად: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესს, მაშინ, იმისდა მიუხედავად რომელიმე პირი მართლაც დაყოლიებულ იქნა თუ არა რაიმე დანაშაულის ჩასადენად, ჩვენ „წამქეზებელს“ ვერ დავაკისრებთ სს-ივ პასუხისმგებლობას. ამასთანავე ზემოთ აღნიშნული მოსაზრება იმითაც უნდა გავამყაროთ, რომ რეალურ ცხოვრებაში ძნელად წარმოსადგენია ვინმეს საჯარო მოწოდება, მაგალითად: ხე-ბუჩქნარის უკანონოდ ჩეხვის შესახებ საზოგადოების ფართო მასებმა, ან თუნდაც ცალკეულმა ინდივიდებმა სერიოზულად აღიქვან და იგი გაიზიარონ;

გარდა ზემოთ განხილული ფაქტორებისა „წამქეზებლის ქმედებებში ვ.იოსკი გამოყოფს შემდეგ მოთხოვნებს: ა) ისინი უნდა წარმოშობდნენ ქმედების გადაწყვეტილებას; ბ) აუცილებელია წამქეზებლის მიერ ამსრულებლის კომუნიკაციური დარწმუნება; გ) წამქეზებელი უშუალოდ უნდა ზემოქმედებდეს ამსრულებლის ნებაზე.“⁴¹

როგორც უკვე ითქვა, დანაშაულში წაქეზების ერთ-ერთი ხერხია მუქარა, რომელიც შეიძლება იყოს სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების და ა.შ. წინააღმდეგ მიმართული და ასევე ზემოთ აღნიშნული მუქარა შეიძლება იყოს როგორც იმწუთიერი, ისევე სამომავლოც. როდესაც იმწუთიერი მუქარა მიმართულია პირის სიცოცხლის წინააღმდეგ, ამ შემთხვევაში „წაქეზებულის“ ნებელობითი ელემენტი პარალიზებულია, ბრალის კომპონენტი არ გვაქვს და შესაბამისად, ჩვენ უარი უნდა ვთქვათ წამქეზებლობაზე.

დანაშაულში დაყოლიება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მოქმედებით. ბუნებრივია, რომ განზრახი ქმედება, რომელიც სხვა პირში დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას წარმოშობს დაკავშირებულია აგიტაციასთან, თხოვნასთან, მუქარასთან და ა.შ. ნათელია ასევე ის, რომ აღნიშნული ქმედებები შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მოქმედებაში გამოიხატოს. არ არის გასაზიარებელი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც „დაყოლიება შესაძლებელია უმოქმედობითაც. მაგ: არასრულწლოვანს მამინაცვალმა ურჩია, დაეწყო მათხოვრობა“⁴². აღნიშნულ შემთხვევაში არასწორად მიმაჩნია მამინაცვლის მიერ განხორციელებული ქმედებების ხელოვნურად დანაწევრება, კერძოდ გერისადმი რჩევის მიცემისა და მის რჩენაზე ხელის აღების ეპიზოდების ერთმანეთისაგან განცალკევება. ასეთ შემთხვევაში ორივე აღნიშნული ეპიზოდი მიზეზობრივად და დაკავშირებული გერის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებასთან. თუ ჩვენ მოცემულ მაგალითს

⁴¹ გვენცაძე ე. თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე. ქ.თბილისი 2012. გვ. 36

⁴² თოდუა ნ., ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., ნაჭყებია გ. ივანიძე მ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2016. გვ. 382

ამოვაკლებთ გერისადმი რჩევის მიცემის ეპიზოდს, მაშნ ჩვენ ხელშილა შეგვრჩება მხოლოდ ანტისაზოგადოებრივი ქმედების, ან ასევე შესაძლებელია დანაშაულის ჩადენის სიტუაციის შექმნა, რაც არ არის ისეთი ინტენსივობისა და საშიშროების მატარებელი მოვლენა, რომ ჩვენ წაქეზების ერთ-ერთ გამოვლინებად,დაყოლიებად მივიჩნიოთ.ამიტომაც განსახილველ მაგალითში ორივე, როგრც მოქმედების, ასევე უმოქმედობის ეპიზოდი ერთმანეთთან ორგანულადაა დაკავშირებული და სწორედ მოქმედების ეპიზოდი გადააქცევს ხსენებულ შემთხვევას ისეთი ინტენსივობის მატარებელ შემოქმედებად, რომელიც მას დანაშაულის ჩადენის სიტუაციის შექმნიდან გარდაქმნის დაყოლიებად. გამომდინარე აქედან უნდა დავასკვნათ, რომ დაყოლიება შესაძლებელია მხოლოდ მოქმედებით. ასევე ვერ დავეთანხმებით უმოქმედობით წაქეზების შესაძლებლობას , რომელიც დაკავშირებულია ისეთ შემთხვევასთან, როდესაც პირი მოგვიანებით ამჩნევს, რომ მან საკუთარი ქმედებით უნებლიედ ვიღაც დაიყოლია დანაშაულის ჩადენაში. მოცემულ შემთხვევაში უნდა გამოირიცხოს დამყოლიებლის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, რადგან დანაშაულში წაქეზება განზრახი ქმედებაა, რომელიც მოითხოვს განზრახვის არსებობას ქმედების განხორციელებისას და არა შემდგომ ან თუნდაც წინმსწრებ განზრახვას. დოქტრინაში განმარტებულია, რომ „სოციალურად ადექვატური ქმედებით გამოწვეული საფრთხე მხოლოდ სოლიდარულ მოვალეობას აფუძნებს და არა გარანტიის მოვალეობას.“⁴³ ამიტომაც უნებლიე ქმედება, რომელმაც „წამქეზებლის“ განზრახვის არ არსებობის მიუხედავად სხვა პირის წაქეზება გამოიწვია, ჩვენ უნდა მივიჩნიოთ სწორედაც რომ სოციალურად ადექვატურ ისეთ ქმედებად, რომელიც გარანტიის მოვალეობას არ წარმოშობს. თუმცა უმოქმედოთ წამქეზებლობა არ არის გამორიცხული ისეთ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის ჩადენაში სხვა პირის დაყოლიება გადაჯაჭვულია შუალობით ამსრულებლობასთან. კერძოდ, შემდეგი მაგალითის თანახმად: როდესაც ზედამხედველი გარანტი ხედავს, რომ მისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი შეურაცხადი პირი ვიღაცას დანაშაულის ჩასადენად აქეზებს და გარანტი კი არ ერევა მის საქმეში.⁴⁴ მოცემული შემთხვევის სწორად გადასაწყვეტად უნდა გავერკვეთ ჩვენ ზედამხედველი გარანტის არსში, ასეთ შემთხვევებში ზედამხედველი გარანტი მის მეთვალყურეობაში მყოფი საფრთხის წყაროთი გამოწვეული შედეგებისათვის აგებს პასუხს.⁴⁵ ამ შინაარსის მოცემულობის არსებობისას ზედამხედველი გარანტის ქმედების შეფასება ანალოგიურია ფაქტობრივი „წამქეზებლის“ (იგულისხმება შეურაცხადი პირი) მიერ განხორციელებული ქმედების შეფასებისა, ამიტომაც მოცემულ კაზუსში ზედამხედველი გარანტის უმოქმედობა, რომელმაც არ შეაჩერა მის განკარგულებაში მყოფი შეურაცხადი პირი, შეფასდება, როგორც რომელიმე კონკრეტული დანაშაულის წაქეზება. თუმცა განსახილველ შემთხვევასთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია „ფაქტობრივად წაქეზებული ბრალუხარისანი პირი

⁴³მჭედლოშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები,გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2011. გვ 319-320

⁴⁴იხ.იქვე გვ 221

⁴⁵თოდუა ნ.,ლეკვიშვილი მ., მამულაშვილი გ., მჭედლოშვილი-ჰედრიხი ქ., ნაჭყებია გ. ივანიძე მ. სისხლის სამართალი,ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „მერიდიანი“თბ., 2016.გვ.138

იყოს, რადგან მოგვეხსენება, აქცესურობის თეორიის თანახმად, თანამონაწილის პასუხისმგებლობის საფუძველია ფაქტობრივი ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენა. ამდენად, მოცემულ მაგალითში, თუ ზედამხედველ გარანტს შეეძლო ხელი შეეშალა მისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი პირისათვის, რომ ამ უკანასკნელს არ წაექეზებინა სხვა ბრალუნარიანი პირი, მაშინ გარანტი დაისჯება შესაბამისი დანაშაულის შუალობითი წაქეზებისათვის, რომელიც მან უმოქმედობით განახორციელა. ხოლო იმ შემთხვევაში კი, როდესაც ფაქტობრივი წაქეზებულის ბრალუუნაროა, მაშინ ჩვენ საერთოდ უარი უნდა ვთქვათ წამქეზებლობაზე და ამ დროს სახეზე გვექნება ზედამხედველი გარანტის მიერ განხორციელებული შუალობითი ამსრულებლობა, რადა თქმა უნდა თუ ფაქტობრივად წაქეზებულმა რაიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედება განახორციელა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „წამქეზებლის მიერ განხორციელებული ქმედება, დანაშაულის ჩადენასთან მიზეზობრივად უნდა იყოს დაკავშირებული, მან ამსრულებელი დანაშაულის ჩადენაზე უნდა დაიყოლიოს,“⁴⁶ მოცემული თვალსაზრისით საინტერესოა, თუ რა ფორმით არის შესაძლებელი, რომ განხორციელდეს წაქეზება. ზემოთ ხსენებული წაქეზების ხერხებიდან გამომდინარე ნათელია, რომ არ უნდა იქნეს გაზიარებული შედეგის გამოწვევის თეორია, რომლის თანახმადაც მთავარია, ამსრულებელმა, ან სხვა თანამონაწილემ განახორციელოს დანაშაული და კომუნიკაცია წამქეზებელსა და დანაშაულის ჩამდენ პირს შორის საჭირო არ არის. „ქმედების წამქეზებლობად კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია არ აქვს, გააცნობიერა თუ არა ამსრულებელმა ის, რომ ვინმე დანაშაულის ჩადენის მიზნით მასზე ზემოქმედებას ახდენს.“⁴⁷ „წაქეზება მიზეზობრივად არის დაკავშირებული იმ შედეგთან, რომელსაც ამსრულებელი ახორციელებს. ამსრულებლის მოქმედებისაგან განსხვავებით, წაქეზება ფსიქიკურ მიზეზობრიობას წარმოადგენს.“⁴⁸ „წაქეზება აუცილებლობით გულისხმობს აქტიურ ზემოქმედებას ფსიქიკაზე, ამიტომ უმოქმედობით წაქეზება შეუძლებელია.“⁴⁹ შედეგის გამოწვევის თეორიის გაზიარების შემთხვევაში ჩვენ დანაშაულის ჩადენისათვის დაყოლიება ზედმეტად ფართოდ უნდა განვმარტოთ, რაც ეწინააღმდეგება კანონიერების პრინციპს. აღნიშნულის თანახმად ჩვენ დანაშაულად, კერძოდ კი წაქეზებად უნდა მივიჩნიოთ ისეთი შემთხვევა, როდესაც ადგილი აქვს არა დაყოლიებას, არამედ დანაშაულის ჩადენის სიტუაციის შექმნას. მაგალითად: თუ პირი საკუთარ ავტომობილს ყოველთვის ჩაუკეტავს ტოვებს ღამე ქუჩაში, თანაც ამას განსაკუთრებით გულმოდგინებით უსვავს ხაზს, ასეთ შემთხვევაში მოცემული პირის ქმედება, მიუხედავად მისი პროვოკაციული ხასიათისა, ვერ შეფასდება დანაშაულში დაყოლიებად, რადგანაც მოცემულ მაგალითში სახეზე არ გვაქვს ამსრულებელსა და წამქეზებელს შორის აუცილებელი ინტელექტუალური

⁴⁶მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011. გვ.219

⁴⁷იხ. იქვე. გვ. 221

⁴⁸გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი III, თბ., 2013. გვ. 277

⁴⁹იხ. იქვე. გვ. 279

კონტაქტი. გამომდინარე ზემოთ თქმულიდან, გასაზიარებელია კომუნიკაციის თეორია, რომელიც წაქეზების აუცილებელ კომპონენტად მოითხოვს წამქეზებელსა და წაქეზებულს შორის ინტელექტუალური კონტაქტის არსებობას.

პრაქტიკაში პრობლემატურია წამქეზებლობის განსხვავება სსკ-ის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული ქმედებებისაგან, რისი მაგალითიც არის აღნიშნული კანონის 171-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სს-ივ პასუხისმგებლობას არასრულწლოვანის ანტისაზოგადოებრივ ქმედებებში ჩაბმისათვის, ეს კი, თავის მხრივ, გამოიხატება არასრულწლოვანის დაყოლიებით მათხოვრობაზე, ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე, მაგალითად: ლოთობა, აზარტულ თამაშებში მონაწილეობა, „მაწანწალობა და ა.შ. ასევე ხსენებული ნორმით კრიმინალიზებულია არასრულწლოვანის ჩაბმა გამაბრუებელ და სამკურნალწამლო საშუალებათა არასამედიცინო მოხმარებაში. მოცემულ მაგალითში ზემოთ აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული შემთხვევები არ არის წაქეზების კერძო შემთხვევები, მათ შორის არსებობს პრინციპული განსხვავება, კერძოდ კი ის, რომ პირის წაქეზება შესაძლებელია დანაშაულის ჩადენაში, ხოლო სსკ-ის 171-ე მუხლში მოცემული არც ერთი ქმედება არ წარმოადგენს დანაშაულს, მაგალითად: დანაშაული არ არის ლოთობა, მაწანწალობა, კაზინოში თამაში, სამედიცინო პრეპარატთა დანიშნულების გარეშე მოხმარება, პროსტიტუცია და ა.შ. შესაბამისად, ხსენებულ შემთხვევებში, ჩვენ სახეზე არ გვაქვს არასრულწლოვანის დაყოლიება დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებაში, ხოლო იქ, სადაც არ არის დანაშაული, არ არსებობს დანაშაულში თანამონაწილეობაც. რაც შეეხება მუქარას, ეს უკანასკნელიც მოგვეხსენება, რომ წარმოადგენს დანაშაულში წაქეზების ერთ-ერთ ხერხს. სსკ-ის მიხედვით, მუქარას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ან ქონების ხელყოფის მუქარა, როდესაც პირს, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა აღნიშნული მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში. მოცემული შემთხვევების სწორად გადაწყვეტისათვის, ყურადღება უნდა მიექცეს სამართლებრივ სიკეთეთა რანგირებას, კერძოდ კი იმას, რომ თუ მუქარა განხორციელებულია უფრო ნაკლებად ღირებული სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ და ამის საფუძველზე ითხოვს მუქარის ავტორი უფრო მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას, მაშინ ჩვენ სახეზე გვაქვს დანაშაულში წამქეზებლობა. მაგალითად: მუქარის ავტორი პირს სახლის დაწვის შიშით აიძულებს, რომ მან მოკლას ან ჯანმრთელობა დაუზიანოს მისთვის არასასურველ პიროვნებას. ასეთ შემთხვევაში ის ფაქტი, რომ ამსრულებელში განზრახვის წარმოშობა დაკავშირებულია საცხოვრებელი სახლის განადგურების შიშთან, არ გამოორიცხავს მის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

რაც შეეხება შემდგომ შემთხვევას, აღნიშნულ ვითარებაში ჩვენ შეიძლება სახეზე გვქონდეს საპირისპირო მაგალითი, კერძოდ კი უფრო მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთის გადასარჩენად ხელყოფილი იქნეს უფრო ნაკლებად ღირებული სამართლებრივი სიკეთე. მაგალითად: პირი მისი შვილის ჯანმრთელობის დაზიანების მუქარის გამო გადაწვავს გარეშე პირის სახლს.

მოცემულ შემთხვევაში წამქეზებლის პასუხისმგებლობა პირდაპირაა დამოკიდებული ამსრულებლის პასუხისმგებლობაზე. იმ შემთხვევაში, თუ პირის ჯანმრთელობა იმყოფება იმწუთიერი და რეალური საფრთხის ქვეშ, მაგ: დამნაშავეს იარაღი აქვს მიბჯენილი პოტენციური მსხვერპლისადმი, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმ პირის პასუხისმგებლობა „რომელიც სხვის სახლს დაწვავს ადამიანის გადასარჩენად არ არის დანაშაული, კერძოდ, ამ შემთხვევაში სახეზეა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი ისეთი გარემოება, როგორცაა უკიდურესი აუცილებლობა.“⁵⁰ შესაბამისად, აღნიშნულ მაგალითში სახეზე არ გვექნება ჩვენ დანაშაულის წაქეზება, ასეთ შემთხვევაში ჩვენ შეიძლება ვისაუბროთ მხოლოდ შუალობით ამსრულებლობაზე. მაგრამ ისეთ ვითარებაში, როცა მუქარა არის სამომავლოდ მიმართული და იგი იმწუთიერ და რეალურ საფრთხეს არ ქმნის, ასეთ შემთხვევაში მუქარის განმახორციელებელს დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, როგორც წამქეზებელს, ხოლო წაქეზებული კი დაისჯება დანაშაულის ამსრულებლობისათვის, რაოდენ საფუძვლიანი შიშიც არ უნდა ჰქონოდა მას. ასევე შესაძლებელია ისეთი შემთხვევების არსებობა, როდესაც სსკ-ის კერძო ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე ქმედება თავისთავად ცალკე აღებული არ მიუთითებდეს პირის დანაშაულში დაყოლიებაზე, მაგრამ საკუთარი ბუნებიდან და სამართლებრივი არსიდან გამომდინარე მოიცავდეს კიდევაც რომელიმე დანაშაულში დაყოლიების შესაძლებლობას. სწორედ აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, შეიძლება კონკრეტულ შემთხვევაში აღარ იყოს საჭირო აღნიშნულ მუხლთან ერთად კონკრეტული დანაშაულის წაქეზებაზე მითითებაც. მოცემული შემთხვევის საილუსტრაციოდ გამოდგება სსკ-ის 339-ე მუხლი, რომელიც პასუხისმგებლობას ითვალისწინებს ქრთამის მიცემისათვის. ცნობილია, რომ ქრთამის მიცემა შესაძლებელია, როგორც კანონიერი, ასევე უკანონო ქმედების განსახორციელებლად. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ცხადია, რომ ფაქტობრივად ქრთამის მიცემის გარდა ჩვენ სახეზე გვაქვს ასევე, რომელიმე კონკრეტულ უკანონო და ხშირ შემთხვევაში დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისაკენ პირის დაყოლიება, ასეთ შემთხვევებში ქრთამის მიმცემი „პასუხს აგებს დამამძიმებელ გარემოებაში ქრთამის მიცემისათვის. აქვე უნდა ითქვას, რომ ქრთამის მიმცემი მოხელესთან ერთად პასუხს არ აგებს იმ დანაშაულში თანამონაწილეობისათვისაც, რაც მოხელემ ჩიდინა ქრთამის აღებიდან გამომდინარე შეთანხმების საფუძველზე. თუკი მოხელის ქმედება ამ დროს კვალიფიცირდება დანაშაულთა ერთბლიობით, ქრთამის მიმცემის ქმედება კვალიფიცირდება მხოლოდ სსკ-ის 339-ე მუხლის მე-2 ნაწილით.“⁵¹

წაქეზებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა გამოვრიცხოთ ისეთ შემთხვევაში, როდესაც სახეზე გვაქვს რისკის შემცირება, მაგ: პეტრე დაარწმუნებს პავლეს, რომ შურისძიებისათვის არაა საჭირო ივანეს მოკვლა ან მისი სხეულის მძიმე დაზიანება და მისი საცხოვრებელი სახლის განადგურება

⁵⁰ წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, მე-2 ტომი, თბ., 2007. გვ 161

⁵¹ თოდუა ნ., ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., ნაჭყებია გ. ივანიძე მ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2016. გვ 362

სრულიად საკმარისია. პეტრე ნივთის დაზიანებისათვის წაქეზებისათვის არ დაისჯება, რადგან მან უფრო მძიმე დანაშაული აიცილა თავიდან.

წამქეზებლის დახასიათების თვალსაზრისით ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით დანაშაულის პროვოკაციის საკითხს. სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე მუხლით კრიმინალიზებულია დანაშაულის პროვოკაცია, ანუ სხვა პირის დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად, მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის მიზნით. მოცემული დანაშაული დამთავრებულია მაშინ, როდესაც დაყოლიებული პირი დაიწყებს დანაშაულის დასჯადი სტადიის განხორციელებას, იგულისხმება მომზადება ან მცდელობა. აღნიშნული შემთხვევის სწორი გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია ითქვას, რომ თანამონაწილეობის დროს წამქეზებელიც და ამსრულებელიც სჩადიან ერთსა და იმავე სისხლის სამართლებრივ უმართლობას. მათ გააჩნიათ ერთი და იგივე სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის მიზანი, რაც არ გვხვდება ჩვენ დანაშაულის პროვოკაციის დროს. ასეთ შემთხვევაში პროვოკატორს სურს არა ის, რომ მესამე პირის რაიმე სამართლებრივი სიკეთე ხელყოს, არამედ მისი მიზანი გამოიხატება პროვოცირებულის სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემაში. გამომდინარე აქედან, ჩვენ სახეზე არ გვაქვს ის ერთიანი ქმედება, რომელსაც წამქეზებელი და ამსრულებელი ახორციელებენ, შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე მუხლის არსებობისას სახეზეა ორი სხვადასხვა უმართლობა: პირველი გამოიხატება პროვოკატორის მიერ პირის პროვოცირებით, ხოლო მეორე კი პროვოცირებულის მიერ შესაბამისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფით. კანონის თანახმად, „წამქეზებელმა შეიძლება შეაცდინოს ამსრულებელი მისი მხილებისა და დასჯის მიზნით. ასეთ დროს საქმე გვაქვს დანაშაულის პროვოკაციასთან.“⁵² „დანაშაულის პროვოკაცია დასჯადია, უპირველეს ყოვლისა მაშინ, როცა პროვოკატორმა წააქეზა და ჩაადენინა დანაშაული სრულიად ალაღ-მართალს, ვისაც დანაშაულის ჩადენა აზრადაც არ მოსვლია. არა აქვს მნიშვნელობა იმას, წაქეზებულმა დაასრულა დანაშაული, თუ მცდელობის სტადიაზე შეჩერდა“⁵³. აღნიშნულ შემთხვევასთან მიმართებაში აუცილებელია ითქვას, რომ „სრულიად ალაღ-მართალში“ ჩვენ უნდა მოვიაზროთ დანაშაულის ჩადენაში დაყოლიებამდე, მოცემული მომენტისათვის ალაღ-მართალი პირი და არა ზოგადად, რამეთუ დანაშაულის წაქეზებასა და პროვოკაციაში მნიშვნელობა არა აქვს წაქეზებულის მორალურ მხარეს. ის შეიძლება იყოს სანიმუშო ყოფაქცევის პიროვნებაც და ასევე გამოუსწორებელი რეციდივისტიც. მოცემულ ვითარებაში გადაწყვეტია ის ფაქტი, რომ პროვოკატორმა დანაშაულის ჩადენის განზრახვის არ მქონე პიროვნებაში საკუთარი ზემოქმედების (დაყოლიებისაკენ მიმართული ქმედებით) შედეგად აღმოაცენოს რომელიმე დანაშაულის ჩადენის განზრახვა მისივე სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით.“⁵⁴ პროვოკაციული საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი დანაშაულის ჩასადენად. ამასთანავე, ის პირი, ვისაც დაყოლიებენ დანაშაულის ჩასადენად, უნდა აკმაყოფილებდეს ამ

⁵² გამყრელიძე თ., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი III, თბ., 2013. გვ. 277

⁵³ იხ. იქვე. გვ. 278.

⁵⁴ წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, მე-2 ტომი, თბ., 2007

დანაშაულის სუბიექტის ყველა მოთხოვნას (ასაკი, შერაცხადობა და აშ.). თუ დაყოლიებული პირი არ აკმაყოფილებს საერთო სუბიექტის მოთხოვნებს, ადგილი ექნება არა პროვოკაციას, არამედ შუალობით ამსრულებლობას.⁵⁵ დანაშაულის პროვოკაცია დამთავრებულია, როდესაც დაყოლიებული პირი დაიწყებს დანაშაულის მომზადებას ან მცდელობას. სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე მუხლთან მიმართებაში პრობლემატურია ისეთი შემთხვევები, როდესაც წაქეზებულის მიერ განხორციელებული ქმედება გასცდა დანაშაულის მომზადების ან მცდელობის სტადიას და მან მოასწრო უკვე შესაბამისი დანაშაულის ბოლომდე მიყვანა. ასეთ შემთხვევაში ისმის კითხვა, როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს პროვოკატორის ქმედება, მხოლოდ როგორც პროვოკაცია, თუ კონკრეტული დანაშაულის წაქეზება, ან შესაძლებელია თუ არა სახეზე გვქონდეს ორივე აღნიშნული ნორმა, როგორც დანაშაულთა იდეალური ერთობლიობა? ზემოთ მოცემულ მიზეზთა გამო განსახილველ შემთხვევებში, პროვოკატორს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ დანაშაულის პროვოკაციისათვის და არა შესაბამისი დანაშაულის წაქეზებისათვის. ბუნებრივია, რომ ამ დროს სახეზე არ გვექნება არც დანაშაულთა ერთობლიობა, კონკრეტული დანაშაულის წაქეზება და დანაშაულის პროვოკაცია. რაც შეეხება პროვოცირებულის მიერ ჩადენილი ქმედების საკითხს, მასაც დაეკისრება სასჯელი იმ შესაბამისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისათვის, რომელიც მან განახორციელა. დღევანდელი საკანონმდებლო მოცემულობიდან გამომდინარე ცხადია, რომ განსახილველი ნორმა საჭიროებს შესწორებას, რადგან მოცემული შემადგენლობისათვის გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმალური ზომა წარმოადგენს სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთს, რაც შეუსაბამოდ მცირე სასჯელია ხსენებული ქმედების პოტენციური რისკების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, გასაზიარებელია დოქტრინაში გამოთქმული შეხედულება ამ საკითხთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც, სისხლის სამართლის 145-ე მუხლს უნდა დაემატოს ორი დამამძიმებელი გარემოება, რომლებიც გაითვალისწინებენ პასუხისმგებლობას მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის პროვოცირებისათვის.⁵⁶

პრაქტიკაში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს უშედეგო წაქეზებას, კერძოდ, შემთხვევას, როდესაც პირმა მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო ვერ შეძლო სხვა პირის დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად. ჩვენ აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, უკვე ვიმსჯელებთ უშედეგო ორგანიზების თვალსაზრისით. რაც შეეხება უშედეგო წაქეზებას, ეს უკანასკნელიც დღევანდელი საკანონმდებლო რეგულაციიდან გამომდინარე შეფასდება, როგორც დანაშაულის მომზადება. უნდა გავიზიაროთ დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრება რომელიც გვეუბნება, რომ უშედეგო წაქეზებად უნდა მივიჩნიოთ ისეთი შემთხვევა, როდესაც წაქეზება

⁵⁵ ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეექვსე გამოცემა, თბ.გამომცემლობა „მერიდიანი“, 2016, გვ.302

⁵⁶ იხ.იქვე გვ.305

ზედმეტი აღმოჩნდა, ვინაიდან წაქეზებულს ისედაც გადაწყვეტილი ჰქონდა.⁵⁷ ხსენებული მოსაზრების გაზიარებისას ჩვენ უნდა გამოვიდეთ პოტენციური წამქეზებლის მიერ განხორციელებული ქმედების ბუნებიდან და მისი საზოგადოებრივი საშიშროებიდან. უშედეგო წაქეზების დროს ჩვენ გვაქვს ისეთი შემთხვევა, როდესაც პირი პოტენციურ ამსრულებელს ვერ ჩამოუყალიბებს დანაშაულის ჩადენის ისეთ გადამწყვეტ ნებას, რომელიც ამ უკანასკნელს დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებამდე გაყვება. სწორედ ამიტომაც, ასეთ შემთხვევაში, წამქეზებლის მიერ განხორციელებული ქმედებით იქმნება პირობები დანაშაულის ჩასადენად, რაც შეესაბამება დანაშაულის მომზადების სტადიას. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც პირი მეორე პირზე მოახდენს ზემოქმედებას, თუმცა აღნიშნულს არანაირი ცვლილება არ გამოუწვევია ამსრულებლის ნებაში იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა დანაშაულის ჩადენა. ასეთი ქმედებაც მხოლოდ დანაშაულის ჩადენის პირობების შექმნას ემსახურება და მხოლოდ მომზადებად უნდა შეფასდეს. თუმცა შესაძლებელია გვქონდეს ვითარება, როდესაც, იმ პირზე ზემოქმედებას, რომელმაც დანაშაულის ჩადენის შესახებ გადაწყვეტილება უკვე მიიღო, ჰქონდეს განსაკუთრებულად ინტენსიური ხასიათი. მაგალითად: შეუჩერებელი ჩიჩინი, შეგონება, განუწყვეტლივ მოწოდება და ა.შ. ასეთ შემთხვევაში, რადგანაც ამსრულებელზე განხორციელებულ ზემოქმედებას განსაკუთრებული ინტენსიური ხასიათი აქვს, იგი ცდება ჩვეულებრივ წაქეზებას და მოცემულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს, როგორც უკვე წაქეზებული ამსრულებლის ფსიქიკურ დახმარებად, რადგანაც ბუნებრივია, რომ ამ შემთხვევაში განსაკუთრებულად ინტენსიური ხასიათის ზემოქმედება პირს განუმტკიცებს რომელიმე კონკრეტული დანაშაულის ჩადენის განზრახვას.

2.3 დამხმარე

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე მუხლის თანახმად, დამხმარეა ის, ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას. საკანონმდებლო დონეზე ერთმანეთისაგან გამიჯნულია ფიზიკური და ფსიქიკური დახმარება. უნდა აღინიშნოს, რომ დამხმარე თანამონაწილეთა შორის არის ყველაზე უფრო ნაკლებად საშიში ფიგურა. კანონმდებელი არ გვთავაზობს დამხმარისათვის დამახასიათებელ ქმედებათა თუნდაც სანიმუშო ჩამონათვალს. სისხლის სამართლის დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, „ფიზიკური დახმარება ორი ძირითადი სახით შეიძლება გამოვლინდეს: ა) ამსრულებლისათვის საშუალების მიცემა და ბ) დაბრკოლების თავიდან აცილება.“⁵⁸ დახმარების მეორე სახე არის ფსიქიკური დახმარება, რომელიც აღიარებულია საკანონმდებლო დონეზეც. ფსიქიკურ დამხმარეს ხშირად უტოლებენ ხოლმე ინტელექტუალურ დამხმარეს. „ფსიქიკური დახმარება გამოიხატება დანაშაულის ჩასადენად რჩევა-დარიგების მიცემაში, ამსრულებლის მიერ უკვე მიღებული დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების

⁵⁷ წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, მე-2 ტომი, თბ., 2007. გვ. 215

⁵⁸ გამყრელიძე თ., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი III, თბ., 2013. გვ. 280

განმტკიცებაში, დამნაშავის და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნების დაფარვის წინასწარ შეპირებაში,⁵⁹ თუმცა ზემოაღნიშნულთან მიმართებაში აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ არ არის მიზანშეწონილი და გამართლებული, რომ ჩვენ ერთმანეთს გავუტოლოთ ფსიქიკური და ინტელექტუალური დახმარება, რადგან, მართალია, მათ ახასიათებთ გარკვეული მსგავსება, მაგრამ მათ შორის არსებობს პრინციპული განსხვავებაც, რაც გამოიხატება შემდეგში: ფსიქიკური დახმარების დროს დამხმარე სხვა თანამონაწილეს, ან ამსრულებელს განუმტკიცებს უკვე მიღებულ გადაწყვეტილებას დანაშაულის ჩადენის შესახებ, ხოლო ინტელექტუალური დახმარების შემთხვევაში კი ჩვენ განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე, კერძოდ, ასეთ შემთხვევაში ინტელექტუალური დამხმარე ამსრულებელს აწვდის ისეთი შინაარსის მატარებელ ინფორმაციას, რომლის მემვეობითაც ამსრულებელი იადვილებს კონკრეტული დანაშაულის ჩადენას, შესაბამისი ინფორმაციის გამოყენებით სჩადის რომელიმე დანაშაულს. მაგალითად: „დამხმარე ამსრულებელს სეიფის ციფრთა კომბინაციას აძლევს, ურომლისოდაც ამსრულებელი სეიფს ვერ გახსნიდა.“⁶⁰ გამომდინარე აქედან ნათელია, რომ საკუთარი შინაარსის, ან თუნდაც საზოგადოებრივი საშიშროების მიხედვით, ფსიქიკური და ინტელექტუალური დახმარება იდენტურ ცნებებს არ წარმოადგენენ. პირველ შემთხვევაში ამსრულებელი უფრო მეტად არის შეგულიანებული დანაშაულის ჩასადენად, ვიდრე იგი მანამდე იყო, ხოლო მეორე შემთხვევაში, იგი უფრო მეტი მოცულობის გამოსაღებ ინფორმაციას ფლობს, რომელიც მას ეხმარება იმაში, რომ უფრო ეფექტურად, ზუსტად და ნაყოფიერად მოიყვანოს სისრულეში საკუთარი დანაშაულებრივი განზრახვა ან მიღებული ინფორმაცია შეიძლება მას გამოადგეს სამართალდამცავებისაგან თავის დასაღწევად და ა.შ. გამომდინარე ზემოთ თქმულიდან, უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროა ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ფსიქიკური და ინტელექტუალური დახმარება, როგორც არსობრივად განსხვავებული მოვლენები. მიზანშეწონილია, აღნიშნული გამოიჯვნა მოხდეს, როგორც დოქტრინალურ, ასევე საკანონმდებლო დონეზედაც, რაც სისხლის სამართლის პრაქტიკას მისცემს საშუალებას, უფრო სრულყოფილად შეაფასოს და აღწეროს დამხმარის მიერ განხორციელებული ქმედება, რომელიც საბოლოო ჯამში შესაძლებელია, რომ მოსამართლის მიერ გამოიხატოს სამართლიანი სასჯელის განსაზღვრასა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის უფრო ეფექტურ განხორციელებაში. გარდა ზემოთ აღნიშნული განსხვავებისა, ფსიქიკურ და ინტელექტუალურ დახმარებას ახასიათებთ ასევე მთელი რიგი საერთო გადაკვეთის წერტილები. ხსენებული იმაში გამოიხატება, რომ ინტელექტუალური დახმარება საკუთარ თავში მოიცავს ასევე ფსიქიკურ დახმარებასაც, რადგან ბუნებრივია, რომ როდესაც პირს აძლევ ისეთ ინფორმაციას, რომელიც მას დანაშაულის ჩადენას უადვილებს, ეს ავტომატურად მას ასევე განუმტკიცებს დანაშაულის ჩადენის განზრახვას. თუმცა საპირისპირო შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს უკვე მიღებული დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების განმტკიცებას, ჩვენ სახეზე

⁵⁹ მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2011. გვ 233

⁶⁰ იხ. იქვე

გვაქვს მხოლოდ ფსიქიკური დახმარება. „დახმარება ქმედებაში შეტანილ ყველა იმ წვლილში იმალება, რომელმაც ძირითადი ქმედების ჩადენა შესაძლებელი გახადა, მისი ჩადენა გააადვილა ან ამსრულებლის მიერ ჩადენილი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა გააძლიერა“, ⁶¹ როდესაც ადგილი აქვს მხოლოდ უკვე მიღებული დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების განმტკიცებას, ჩვენ სახეზე გვაქვს მხოლოდ ფსიქიკური დახმარება, რადგან ამ დროს პირს არ მიეწოდება ისეთი ინფორმაცია, რომელსაც იგი დანაშაულის გასაადვილებლად გამოიყენებდა.

საინიტერესოა საკითხი ასევე ფსიქიკური დამხმარისა და წამქეზებლის გამიჯვნის შესახებ. ერთი შეხედვით, ორივე ზემოთ აღნიშნული პირი ამსრულებელს უქმინს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას, თუმცაღა მათ შორის არსებობს ასევე პრინციპული განსხვავებაც. „წამქეზებელი ქმნის გადამწყვეტ მოტივს ამსრულებლის გადაწყვეტილების მიღებისათვის. ასე რომ, ამსრულებლის გადაწყვეტილება აღიძვრება სწორედ წამქეზებლის საქმიანობის გამო. ფსიქიკური დამხმარე მხოლოდ განამტკიცებს ამსრულებლის გადაწყვეტილებას, გაბედულებას მატებს მას, ან ასუსტებს იმ მოტივებს, რომელბიც ხელს უშლიდნენ დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების საბოლოოდ ჩამოყალიბებას და სიმტკიცეს.“ ⁶² აღნიშნულთან მიმართებაში მნიშვნელოვანია განიშარტოს, რომ ფსიქიკური დახმარება შეიძლება რჩევა-დარიგებისა თუ მითითებების მიცემაშიც გამოიხატოს. ასეთ შემთხვევაში, გასაზიარებელია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, თუ პირს არ ქონდა დანაშაულის ჩადენის განზრახვა და აღნიშნული მას აღმოუცენდა სწორედაც, რომ პირის რჩევა-დარიგებათა შედეგად, ასეთ შემთხვევაში ჩვენ სახეზე გვაქვს არა ფსიქიკური დახმარება, არამედ დანაშაულში წაქეზება. გამომდინარე აქედან, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ შემთხვევაში, მხედველობაშია მიღებული სწორედ საბოლოო შედეგი და ფაქტორი, რომ კონკრეტულად აღნიშნული პირის მიერ განხორციელებულ ზემოქმედებას მოჰყვა დანაშაულის ჩადენის შესახებ გადაწყვეტილების აღმოცენება, ამიტომაც, მოცემულ შემთხვევაში, უკანა პლანზეა გადატანილი თავად განხორციელებული ფსიქიკური ზემოქმედების ხარისხი და ინტენსივობა. საქართველოს სსკ-ის კერძო ნაწილით გათვალისწინებულია შემადგენლობები, რომლებიც მართალია არ წარმოადგენენ დანაშაულში დახმარების სპეციალურ შემთხვევებს, მაგრამ მათ დანაშაულში დახმარებასთან საკმაოდ ბევრი საერთო გადაკვეთის წერტილები გააჩნიათ. სსკ-ის 375-ე და 376-ე მუხლებით კრიმინალიზებულია დანაშაულის დაფარვა და მისი შეუტყობინებლობა, რომლებიც წარმოადგენენ დანაშაულის შემხებლობის ფორმებს. გარდა აღნიშნულისა, დანაშაულის შემხებლობის მესამე სახეს წარმოადგენს დანაშაულის მიმნებებლობა, „როდესაც ჩვეულებრივი მოქალაქე არ იღებს ზომებს, რათა აღიკვეთოს ის დანაშაული, რომლის ჩადენასაც ის შემთხვევით შეესწრო.“⁶³ პირველი ორი ქმედებისაგან განსხვავებით დანაშაულის მიმნებებლობა არ ითვლება

⁶¹ ველესი ი./ზოილკე ვ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი 2010. გვ 334

⁶² წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, მე-2 ტომი, თბ., 2007. გვ 178

⁶³ თოდუა ნ.,ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., ნაჭყებია გ. ივანიძე მ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2016. გვ 338

დანაშაულად და შესაბამისად დასჯად ქმედებად არ მიიჩნევა. რაც შეეხება დანაშაულის დაფარვას, მასში იგულისხმება დამნაშავისათვის თავშესაფრის მიცემა, გარეგნობის შეცვლა, ასევე დანაშაულის ჩადენის იარაღისა და საშუალების განადგურება ან დამალვა, ანდა დანაშაულის კვალის განადგურება და ა.შ. სსკ-ის 375-ე მუხლის „თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ იგი არ არის წინასწარ შეპირებული, ესე იგი, დამნაშავე არავის არ პირდება წინასწარ ზემოთ ჩამოთვლილ მოქმედებათა შესრულებას დანაშაულის ჩადენამდე, ან მისი ჩადენის პროცესში, და აქედან გამომდინარე, არც მიზეზობრივი კავშირი არსებობს ჩადენილ დანაშაულსა და დაფარვას შორის“⁶⁴ სწორედ აღნიშნული ფაქტორი განასხვავებს დანაშაულის დაფარვას დანაშაულში თანამონაწილეობისაგან, კერძოდ კი ფსიქიკური დახმარებისაგან. სსკ-ის 375-ე მუხლს თან ახლავს შენიშვნა, რომლის თანახმადაც, პირს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ იგი წინასწარ შეუპირებლად დაფარავს ახლო ნათესავის მიერ ჩადენილ დანაშაულს, გარდა ამისა, მოცემულ შენიშვნაში ჩამოთვლილია მთელი რიგი პირებისა, ვის მიერ განხორციელებულ წინასწარ შეუპირებელ დაფარვასაც კანონმდებელი ათავისუფლებს სს პასუხისმგებლობისაგან. თუმცა მოცემული შეღავათი ბუნებრივია, რომ არღარ იარსებებს იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს პირების მხრიდან უკვე წინასწარ შეპირებულ დაფარვას, მაშინ მათ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა დანაშაულში თანამონაწილეობისათვის - კერძოდ კი დახმარებისათვის.

დაახლოებით მსგავს ვითარებასთან გვაქვს ჩვენ საქმე დანაშაულის შეუტყობინებლობის შემთხვევაშიც. სსკ-ის 376-ე მუხლით კრიმინალიზებული ქმედება გამოიხატება „დამნაშავის პასიურ ქცევაში, უმოქმედობაში, კერძოდ კომპეტენტური ორგანოებისათვის შეუტყობინებლობაში, რომ მზადება ან ჩადენილია, ან განსაკუთრებით, ამ მუხლში ჩამოთვლილი რომელიმე ნაკლებად მძიმე დანაშაული.“⁶⁵ ასეთ შემთხვევაშიც, როდესაც ადგილი ექნება წინასწარ შეთანხმებას იმაზე, რომ პირმა არ შეატყობინოს სათანადო უწყებებს ჩადენილი დანაშაულის შესახებ, ესეც უნდა შეფასდეს, როგორც დანაშაულში თანამონაწილეობა, კერძოდ კი ფსიქიკური დახმარება. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს სსკ-ის 186-ე მუხლი, რომლითაც კრიმინალიზებულია წინასწარ შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა ან გასაღება, ასეთ შემთხვევებშიც, თუ ადგილი აქვს წინასწარ შეთანხმებას, რომ პირი შეიძენს დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მოპოვებულ ნივთს, მაშინ შემძენის ქმედებაში ჩვენ აღარ გვექნება სსკ-ის 186-ე მუხლის ნიშნები და იგი უნდა დაისაჯოს კონკრეტული საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის.⁶⁶

იმისათვის, რათა ჩვენ სახეზე გვქონდეს დანაშაულში დახმარება აუცილებელია, რომ „დამხმარის მოქმედება ამსრულებლის მიერ განხორციელებულ დანაშაულთან

⁶⁴ ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეხუთე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“თბ., 2017. გვ.510

⁶⁵ იხ.იქვე. გვ 513

⁶⁶ ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეექვსე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“თბ., 2016.გვ 470

მიზეზობრივ კავშირში იყოს.“⁶⁷ „ამასთან, მიზეზობრივ კავშირს დამხმარის ქმედებასა და შედეგს შორის ისე დიდი მოთხოვნები არ წაყენება, როგორც ამსრულებლის ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივ კავშირს.“⁶⁸ ამ უკანასკნელის შემთხვევაში აუცილებელია, რომ ამსრულებლის ქმედება დამდგარი შედეგის და კონკრეტული საფრთხის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, ურომლისოდაც შედეგი არ დადგებოდა, ან საფრთხე არ შეიქმნებოდა. აღნიშნულისაგან განსხვავებული ვითარებაა დამხმარესთან მიმართებაში. იგი მაშინაც აგებს პასუხს, როდესაც ამსრულებელი შესაბამის ქმედებას დამხმარის მიერ განხორციელებული ქმედების არ არსებობის პირობებშიც ჩაიდენდა. ასეთ შემთხვევებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ დამხმარის მიერ განხორციელებული ქმედება ამსრულებელს დანაშაულის ჩადენას უადვილებს და მისი განზრახვის რეალიზებასა და მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის ალბათობას ზრდის. სადავოა საკითხი, თუ რამდენად არის შესაძლებელი დანაშაულში დახმარება სოციალურად ადეკვატური, ანუ საყოფაცხოვრებო და პროფესიული მოქმედებებით. აღნიშნულში იგულისხმება სხვადასხვა ყოველდღიური მოქმედებები, რომლებიც ცალკე აღებული არ არის მართლსაწინააღმდეგო და დანაშაულებრივი. „მაგალითისათვის ასახელებენ ასლების გადასაღები მოწყობილობის მიყიდვას ფულის პოტენციური გამყალბებელებისათვის, დანის მიყიდვას იმ პირისათვის, ვინც შემდგომში ამ დანით კაცს მოკლავს, ბანკის თანამშრომლის მიერ ანგარიშის გახსნას, რომელზედაც შემდგომში ფულს გაათეთრებენ, ტაქსის მძღოლის მიერ პირის მიყვანას დანაშაულის ჩადენის ადგილას, რკინიგზის მალაზიის გამყიდველის მიერ ძალადობისაკენ მიდრეკილების მქონე ადამიანისათვის ცულის მიყიდვას.“⁶⁹ ჩემი აზრით, მოცემულ შემთხვევებში გადამწყვეტია სუბიექტის ცოდნის კომპონენტი. კერძოდ ის, თუ რამდენად იყო იგი დარწმუნებული, რომ მის მიერ განხორციელებული ქმედებით ამსრულებელი გაიადვილებდა შესაბამისი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენას. თუ აღნიშნული საფრთხე ჰიპოთეტურია, რაღა თქმა უნდა, პირს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა. მაგალითად, თუ ტაქსისტმა წინასწარი შეცნობით წარსულში ქურდობისათვის მრავალჯერ ნასამართლევი კონკრეტულ მისამართზე მიიყვანა, ეს არ უნდა ჩაითვალოს დასჯად ქმედებად, რადგან მიუხედავად პირის წარსულისა, ამ შემთხვევაში, ტაქსისტს არ გააჩნდა არავითარი დამატებითი საფუძველი იმისათვის, რომ მიხვედრილიყო, თუ რატომ მოითხოვა რეციდივისტმა მისგან კონკრეტულ მისამართზე მიყვანა. ნებისმიერ ადამიანს, მიუხედავად მისი წარსულისა, კონსტიტუციის თანახმად გააჩნია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მიმოსვლის უფლება, ამიტომაც ამ შემთხვევაში რეციდივისტმა კონკრეტულ მისამართზე ბინაც რომ გაქურდოს, ტაქსისტს ვერ მოვედავებით დანაშაულში დახმარებას, რადგან დახმარება არის განზრახი ქმედება, რა დროსაც პირს გაცნობიერებული უნდა ქონდეს, რომ იგი ნამდვილად

⁶⁷ მჭედლიშვილი-ჭედრიძე ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2011. გვ 233

⁶⁸ იხ. იქვე

⁶⁹ იხ. იქვე. გვ 239

დანაშაულის ჩასადენად ეხმარება კონკრეტულ ამსრულებელს. მოცემულ კაზუსში კი განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე. ტაქსისტს მისი მგზავრის წარსულიდან გამომდინარე გააჩნდა მხოლოდ ჰიპოთეტური ვარაუდის საფუძველი, რომ მის მგზავრს შეიძლება კიდევ ჩაედინა დანაშაული. განსხვავებული ვითარება გვაქვს იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს რაიმე დამატებითი მიმანიშნებელიც, რომელიც ცხადყოფს პირის დანაშაულებრივ მისწრაფებას ამ კონკრეტულ შემთხვევაში და არა ზოგადად. მაგალითად, თუ დანის გამყიდველს მალაზიის გარე ტერიტორიიდან ჯერ ხმამაღალი საუბრის ხმა შემოესმა, ხოლო მის კლიენტს აშკარად ეტყობა აღელვების ნიშნები, ეს უკვე ცხადად მიგვანიშნებს იმაზე, რომ მას დანა არ სჭირდება ყოველდღიური საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის. ამ შემთხვევაში, გამყიდველს საყოველთაო ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, ყოველგვარი წინდახედულობის კრიტერიუმების გათვალისწინებით გააჩნია იმის საკმარისი საფუძველი, რომ დაასკვნას კლიენტის მართლსაწინააღმდეგო მიზნების არსებობა. ასეთ ვითარებაში, ჩემი აზრით, მიზნაშეწონილია გამყიდველის ქმედება შეფასდეს, როგორც შესაბამისი დანაშაულის დახმარება, რადგან პირს გაცნობიერებული აქვს, რომ მის ქმედებას ამსრულებელი აუცილებლად დანაშაულის ჩასადენად გამოიყენებს. ასეთ შემთხვევებში პირს აქვს საკმარისი საფუძველი იმის გასაცნობიერებლად, თუ რაში სჭირდება მყიდველს შესაძენი ნივთი. ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ გამყიდველს გააჩნია მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვისათვის საკმარისი ფაქტობრივი და ინტელექტუალური საფუძველი. ამიტომაც იგი უნდა დაისაჯოს შესაბამისი დანაშაულის თანამონაწილეობისათვის, იმისდა მიუხედავად, რომ ერთი შეხედვით, მისი ქმედება ნეიტრალურ ხასიათს ატარებს. ყოველ მოცემულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს თითოეული ქმედება და დადგინდეს რეალურად ქონდა თუ არა პირს საკმარისი ფაქტობრივი და ინტელექტუალური საფუძველი იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ ამსრულებელი მისი ქმედების მეშვეობით რაიმე დანაშაულის ჩაიდენდა. თუ აღნიშნული საფუძველები სახეზეა, ეს ნიშნავს, რომ პირი არღვევს სამართლებრივ ვალდებულებას, უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას ავლენს ნორმატიული ვალდებულებისადმი, რაც მისი გაკიცხვის საფუძველია.

სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ცალკეული ნორმებით გათვალისწინებულია ისეთი ქმედებები, რომლებიც შესაძლებელია დროში გაწელილად ხორციელდება, ან შესაძლებელია იყოს ისეთი შემთხვევები, როდესაც ორი დამოუკიდებელი შინაარსის ქმედება გაერთიანებულია რომელიმე კონკრეტულ მესამე ქმედებაში, რომელიც განსხვავებულ უმართლობას წარმოადგენს. ასევე შესაძლებელია სახეზე იყოს ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით ჩადენილი ორი ან მეტი ქმედება, რომელიც ერთ დანაშაულს წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში შესაძლებელია, რომ დამხმარე მიზეზობრიობის ჯაჭვში დანაშაულის განხორციელების დაწყების შემდგომაც ჩაერთოს და მხოლოდ მთლიანი ქმედების ცალკეულ ეპიზოდებში მიიღოს მონაწილეობა. ლიტერატურაში ამგვარ დახმარებას სუქცესიური დახმარება ეწოდება. აღნიშნულ შემთხვევებში გადამწყვეტია

მიზეზობრივი კავშირის არსებობა დამხმარის ქმედებასა და ამსრულებლის მიერ განხორციელებულ დანაშაულს შორის. ისეთ ვითარებაში, როდესაც კონკრეტული ქმედების განხორციელებაში დამხმარეს საკუთარი წვლილი არ შეუტანია, ბუნებრივია, რომ არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი დამხმარის მიერ განხორციელებულ ქმედებასა და ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულის კონკრეტულ ეპიზოდში. ამიტომაც ასეთ დროს ჩვენ არ გვაქვს დამხმარის დასჯადობის საფუძველი.

რაც შეეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც ჩვენ საქმე გვაქვს შენადგენ დანაშაულთან. მოცემული საკითხის მაგალითად მოყვანილია ყაჩაღობის შემთხვევა, რომელშიც გაერთიანებულია სისხლის სამართლებრივი ხელყოფისაგან დაცვის ორი ობიექტი: პირველია საკუთრების უფლება, ხოლო მეორე კი პიროვნება - მისი სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ღირსება. შესაძლებელია პრაქტიკაში შევხვდეთ ისეთ ვითარებას, როდესაც ამსრულებელი ერთპიროვნულად, დახმარების გარეშე განხორციელებს ყაჩაღობის შემადგენლობის ნაწილს, კერძოდ კი თავდასხმას სხვისი მოძრავი ნივთის დასაუფლებლად სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით და, თუ ნივთის დაუფლებამდე აღნიშნულ ფაქტს შემთხვევით შესწრებული პირი მას აღნიშნული ქონებრივი სიკეთის დაუფლებაში დაეხმარება, ასეთ შემთხვევაში ჩვენ სახეზე გვაქვს ამსრულებლის მიერ ჩადენილი ყაჩაღობა, ხოლო დამხმარე კი პასუხს აგებს არა ყაჩაღობაში ფიზიკური დახმარებისათვის, არამედ უშუალოდ ქმედების იმ ნაწილში თანამონაწილეობისათვის, რაშიც მან ფაქტობრივად მიიღო მონაწილეობა. მოცემულ მაგალითში დამხმარეს არ მიუღია მონაწილეობა სიცოცხლისათვის საშიში ძალადობით განხორციელებულ თავდასხმაში. აღნიშნული კომპონენტის გამოკლებით კი ჩვენ სახეზე არ გვექნება ყაჩაღობა, არამედ დარჩება მხოლოდ ნივთის აშკარა დაუფლება, ამიტომაც დამხმარე დაისჯება ქმედების იმ ნაწილში თანამონაწილეობისათვის, რომელშიც მან ფაქტობრივად მიიღო მონაწილეობა, შესაბამისად იგი პასუხს აგებს მარცვაში დახმარებისათვის, მაგრამ შესაძლებელია ჩვენ სახეზე გვექონდეს წინასწარი შეთანხმება, რომ ამსრულებლის მიერ ყაჩაღობის ჩადენის შემთხვევაში დამხმარე მას სწორედაც, რომ ნივთის დაუფლების ეტაპზე აღმოუჩნეს მხარდაჭერას. ეს შემთხვევა არსობრივად განსხვავდება უკვე განხილული მაგალითისაგან. მოცემულ ვითარებაში დამხმარეს პასუხისმგებლობა დაეკისრება არა მხოლოდ იმ ნაწილში ფიზიკური დახმარებისათვის, რომელშიც მან მონაწილეობა მიიღო, არამედ ასევე წინასწარი შეპირების კომპონენტიც მოითხოვს ცალკე შეფასებას, რაც მოიცავს ძალადობის ელემენტსაც, რომელიც ასევე პირს ქონდა გაცნობიერებული. ამიტომაც, ასეთ შემთხვევაში, ყაჩაღობის დროს ნივთის დაუფლებაში დახმარების წინასწარი შეპირების ფაქტი უნდა შეფასდეს, როგორც ყაჩაღობის ფსიქიკური დახმარება. საპირისპირო შემთხვევაში, როდესაც პირი შენადგენი დანაშაულის პირველ სტადიაზე დაეხმარება ამსრულებელს, კერძოდ, როდესაც სახეზეა მხოლოდ სიცოცხლისათვის საშიში ძალადობით განხორციელებულ თავდასხმაში დახმარება და პირის განზრახვით ასევე მოცემულია სხვისი ნივთის დაუფლების მიზანიც, ასეთ ვითარებაშიც ბუნებრივია, რომ დამხმარის ქმედება უნდა შეფასდეს, როგორც

ყაჩაღობაში დახმარება.⁷⁰ მსგავსი პრინციპის გამოყენებით ხორციელდება ასევე დამხმარის ქმედების კვალიფიკაცია, როდესაც ჩვენ სახეზე გვაქვს ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით ჩადენილი ორი ან მეტი ქმედება და დამხმარე მონაწილეობას იღებს ზემოთ ხსენებული ქმედებებიდან მხოლოდ ერთ-ერთში. მას პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს მხოლოდ იმ კონკრეტულ ეპიზოდებში თანამონაწილეობისათვის, რომელშიაც მან ფაქტობრივად მიიღო მონაწილეობა. მაგალითად, ამსრულებელს სურს მოიპაროს 15 000 ლარი და აღნიშნული თანხა მან საცავიდან სამი დღის განმავლობაში ნაწილ-ნაწილ უნდა გამოიტანოს. თუ იგი აღნიშნული ქურდობის მეორე ეპიზოდის განსახორციელებლად ავტომობილის გადაცემას თხოვს საკუთარ მეგობარ პეტრეს და თანაც ეტყვის, რომ ამჯერად აღნიშნული ავტომობილის გამოყენებით მან 5000 ლარი უნდა გამოიტანოს, დამხმარე პეტრე პასუხს აგებს არა 15 000 ლარის ქურდობაში დახმარებისათვის, არამედ მხოლოდ მისი ერთი ეპიზოდის, 5000 ლარის ქურდობაში ფიზიკური დახმარებისათვის. სსკ-ის 25.177 მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, როგორც ქურდობა, რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და არა, როგორც დიდი ოდენობით ჩადენილი ქურდობის ფიზიკური დამხმარე.

როგორც წესი, სუქცესიური დახმარება შეიძლება ქმედების ფორმალურ დამთავრებამდე, თუმცა აღნიშნულისაგან განსხვავდება დენად დანაშაულში დახმარება, რომელიც როგორც ვიცით დროშია გაწეილი და შესაბამისად მასში სუქცესიური დახმარება შესაძლებელია მისი ფორმალურად დასრულების შემდეგაც მატერიალურ დამთავრებამდე. მაგალითად, მძევლად ხელში ჩაგდება სამართლებრივი თვალსაზრისით დამთავრებულია პირისათვის თავისუფალი გადაადგილების უფლების წართმევის მომენტიდან, თუმცა ბუნებრივია, რომ ასეთ დელიქტებში სუქცესიური დახმარება შესაძლებელია მის ფაქტობრივად დასრულებამდე, ანუ როდესაც მძევალი გათავისუფლდება, ან იგი გარდაიცვლება. აღნიშნულ მაგალითში, თუ პირის დატყვევების შემდეგ ამსრულებელს მისი მეგობარი, რომელიც ინფორმირებულია ამ შემთხვევის შესახებ, მისთვის საქმის გასაადვილებლად გადასცემს ავტომობილს, რის საშუალებითაც ამსრულებელი გადაიყვანს მძევალს ერთი დასახლებული პუნქტიდან მეორეში, ჩვენ სახეზე გვექნება ფიზიკური დახმარება, რომელიც ჩადენილია მძევლად ხელში ჩაგდების იურიდიულად დამთავრების შემდგომ.

რაც შეეხება უშედეგო დახმარებას, აღნიშნულს „ადგილი ექნება იმ შემთხვევაში, როდესაც დამხმარემ შეასრულა რაიმე მოქმედება, რომელიც თავისთავად წარმოადგენს ხელის შეწყობას დანაშაულის ჩადენისათვის, მაგრამ დანაშაული რაიმე მიზეზის გამო ჩადენილი არ ყოფილა.“⁷¹ აღნიშნულ შემთხვევებში ბუნებრივია არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი დამხმარის ქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის. ამიტომაც არ არსებობს საფუძველი პირის ქმედების

⁷⁰ მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2011. გვ 246

⁷¹ ⁷¹ თოდუა ნ., ლეკვიშვილი მ., მამულაშვილი გ., მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., ნაჭყებია გ. ივანიძე მ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2016. გვ 216

შესაბამის დანაშაულში დამხმარედ კვალიფიკაციისათვის. ამასთანავე, „დამხმარე“ ვერც დანაშაულის მომზადებისათვის აგებს პასუხს, რადგან სსკ-ის 25-ე მუხლის მეშვიდე ნაწილით, დანაშაულის მომზადებად ითვლება უშედეგო წაქეზება, შესაბამისად დასჯადია, როგორც უშედეგო წაქეზება, ასევე მასზე უფრო საშიში მოვლენა- უშედეგო ორგანიზება. თუმცა უშედეგო წაქეზებაზე ბევრად უფრო ნაკლებად საშიში ქმედება - უშედეგო დახმარება დანაშაულის მომზადებად ვერ შეფასდება, რადგან ჩვენ წინააღმდეგობაში მოვალთ კანონიერების პრინციპთან და ანალოგიას გამოვიყენებთ პირის საწინააღმდეგოდ, რაც დაუშვებელია.

2.4 ჯაჭვური თანამონაწილეობის საკითხი ქართულ სისხლის სამართალში

ჩვენ უკვე დავახასიათეთ თანამონაწილეთა თითოეული სახე, ასევე ვისაუბრეთ თანამონაწილეთა და თანამსრულებელთა გამიჯვნის საკითხის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ უმთავრესად ერთმანეთზე ზემოქმედებენ თანამონაწილე და ამსრულებელი; როგორც უკვე ითქვა, თანამონაწილის ქმედება შედეგის მიმართ გაშუალედებულია სწორედ ამსრულებლის ქმედებით, ამიტომაც, შეიძლება აღინიშნოს, რომ საგამომიებო თუ სასამართლო პრაქტიკა, ასევე სისხლის სამართლის დოგმატიკა თანამონაწილეობის საკითხთან მიმართებაში, ძირითადად მსჯელობს თანამონაწილისა და ამსრულებლის მიერ ერთმანეთზე განხორციელებული ზემოქმედების პრობლემატიკასთან მიმართებაში, თუმცა ყოველდღიური ცხოვრების სირთულიდან გამომდინარე, შეიძლება პრაქტიკაში შევხვდეთ ისეთ შემთხვევებს, როდესაც თანამონაწილენი მათი ფორმისა და როლისათვის დამახასიათებელ ქმედებებს ახორციელებენ არა ამსრულებელზე, არამედ სხვა თანამონაწილეზე (მაგ: წამქეზებელი დაყოლიებას ან დამხმარე დანაშაულის ჩადენის გაადვილებას). დანაშაულებრივი საქმიანობის ასეთ ფორმას ჯაჭვური თანამონაწილეობა ეწოდება. ზემოთ ხსენებული ჯაჭვური თანამონაწილეობა შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ისეთი ფორმით, როგორცაა: წაქეზება წაქეზებისაკენ, წაქეზება დახმარებისაკენ, დახმარება დახმარებაში, დახმარება დახმარებაში, წაქეზება ორგანიზებაში და დახმარება ორგანიზებაში. მოცემულ შემთხვევაში საინტერესოა თუ როგორ უნდა შეფასდეს იმ თანამონაწილის ქმედება, რომელიც ზემოქმედებს სხვა თანამონაწილეზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წამქეზებელმა ჯაჭვური თანამონაწილეობის ფარგლებში შესაძლოა დაიყოლიოს სხვა წამქეზებელი. მაგალითად: პეტრე პავლეს დაიყოლიებს, რომ ამ უკანასკნელმა თავის მხრივ დაიყოლიოს ამსრულებელი ივანე, რათა მან მკვლელობა ჩაიდინოს. ამ შემთხვევაში უდავოა, რომ პირველადი წაქეზების ავტორის ქმედება უნდა შეფასდეს სსკ-ის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის ფარგლებში; თუმცა აღნიშნულისაგან განსხვავდება ისეთი შემთხვევა, როდესაც ადგილი აქვს წაქეზებას დახმარებისაკენ, ასეთ ვითარებაში წამქეზებლის ქმედება უნდა შეფასდეს არა როგორც წაქეზება, არამედ მხოლოდ დახმარება. ეს უკანასკნელი შეხედულება, ერთი შეხედვით, შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, თუმცა ამ საკითხთან მიმართებაში მნიშვნელოვანია შეფასებული

იქნეს ის საშიშროება, რომელსაც დამხმარის წამქეზებელი (მაშასადამე დამხმარე) უქმნის სისხლის სამართლებრივი წესით დაცულ სიკეთეს. ამ მაგალითში, წამქეზებლის ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება შემოფარგლულია მხოლოდ და მხოლოდ დამხმარის ქმედების საშიშროებით. მაგალითად, პირმა პეტრემ წააქეზა პავლე, რომ ამ უკანასკნელს ცეცხლსასროლი იარაღი გადაეცა ამსრულებელი ივანესთვის, რომელმაც შემდგომ ამ იარაღით მოკლა თავისი მსხვერპლი. ამ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, წამქეზებლის ქმედებამ გამოიწვია ამსრულებლისათვის იარაღის გადაცემა, შესაბამისად მოცემული წამქეზებლის ქმედებამ ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენას შეუწყო ხელი. ხატოვნად რომ ითქვას, ფაქტობრივი თვალსაზრისით, იარაღის გადაცემაზე დაყოლიებით პეტრემ იმაზე დიდი ბოროტება არ ჩაიდინა, როგორც უკვე წაქეზებულმა პავლემ ამსრულებლისთვის იარაღის გადაცემით. სწორედაც, აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, სამართლიანია, რომ დამხმარის დამყოლიებლის ქმედება შეფასდეს არა წაქეზებად, არამედ დამხმარებად. ხოლო რაც შეეხება დახმარებას დახმარებაში, მოცემულ შემთხვევაში ბუნებრივია, რომ ორივე თანამონაწილის ქმედება უნდა შეფასდეს როგორც დახმარება. ანალოგიურ შედეგს მივიღებთ იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზე გვექნება წაქეზებაში დახმარების შემთხვევა. მაგალითად: პეტრე წამქეზებელი პავლეს წერილს გადასცემს ამსრულებელ ავთოს, რომელსაც სწორედ აღნიშნული წერილის მეშვეობით დაიყოლიებს დანაშაულის ჩასადენად. როგორც ვხედავთ, ხსენებულ მაგალითში ამსრულებლისათვის დანაშაულის ჩადენის განხორახვის აღმოცენების საფუძველი გახდა პეტრეს წერილის შინაარსი, შესაბამისად მის მიერ განხორციელებული გაშუალელებული ზემოქმედება, ამიტომაც ბუნებრივია, რომ პავლეს მიერ განხორციელებული ერთჯერადი ტექნიკური ოპერაცია არ არის ისეთი შინაარსისა და საშიშროების, რომ იგი წამქეზებლად გადაიქცეს და ამიტომაც იგი უნდა დაისაჯოს დახმარებისათვის. გარდა ამისა უნდა ითქვას, რომ ზემოთ განხილული შემთხვევები არ არის ჯაჭვური თანამონაწილეობის ამომწურავი ჩამონათვალი. გარდა აღნიშნულისა, ჩვენ შესაძლებელია შევხვდეთ ისეთ შემთხვევებს, როდესაც ადგილი აქვს ორგანიზატორის წაქეზებას, ან/და ორგანიზატორის დახმარებას. მოგვეხსენება, რომ ორგანიზატორი თუ ფიგურირებს დანაშაულის ჩადენაში, მაშინ „ასეთი დანაშაულის სუბიექტების იერარქიაში, ყველაზე მაღლა ორგანიზატორი დგას.“⁷² პირველ შემთხვევაში ორგანიზატორის წაქეზებას მაშინ შეიძლება ჰქონდეს ადგილი, როდესაც წამქეზებელი დაიყოლიებს ორგანიზატორს, რათა ამ უკანასკნელმა მოაწყოს დანაშაულის ჩადენა (გამონახოს „სათანადო“ ხალხი, მოიძიოს იარაღი და ა.შ). აღნიშნულ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ჯაჭვური თანამონაწილეობის ერთ-ერთ გამოვლინებასთან. მოცემულ ვითარებაში, საინტერესოა, თუ როგორ უნდა შეფასდეს წამქეზებელი პეტრეს ქმედება, როგორც წაქეზება, თუ როგორც ორგანიზება? რასაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად ჩვენ ვერ დავვერდნობით ზემოთ განხილულ დახმარებისაკენ

⁷² ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“. თბ., 2013, გვ.331.

წამქეზების შეფასებისას გამოყენებულ პრინციპს, როდესაც წამქეზებლის ქმედება შეფასდა დაყოლიებული სუბიექტის როლიდან და საშიშროებიდან გამომდინარე. თუ ჩვენ მოცემული ვითარების გადასაწყვეტად ხსენებულ მიდგომას გამოვიყენებთ გამოდის, რომ ორგანიზატორის, წამქეზებლის ქმედება ასევე ორგანიზებად უნდა შეფასდეს, რაც არ არის სამართლიანი. განსახილველი შემთხვევა ჩვენ უნდა შევფასოთ როგორც წამქეზება, რადგან დახმარებისაგან განსხვავებით, დანაშაულის ორგანიზება ბევრად უფრო მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროების შემცველი ქმედებაა და, თუ ჩვენ მოცემულ შემთხვევას მივიჩნევთ არა წამქეზებად, არამედ ორგანიზებად, გამოდის, რომ ჩვენ უარი უნდა ვთქვათ წამქეზებლის ფიგურაზე და ის პირი, ვინც არა თანამონაწილეს, არამედ ამსრულებელს დაიყოლიებს დანაშაულის ჩასადენად, უნდა დავსაჯოთ როგორც ამსრულებელი, რაც სამართლებრივი ნონსენსია. აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად უნდა ითქვას, რომ კანონმდებელმა წამქეზებლის, ორგანიზატორისა და ამსრულებლის ფიგურების შემოღებით ნათლად დააფიქსირა საკუთარი ნება, რომლის თანახმადაც, იგი წამქეზებელზე უფრო მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროების მატარებელი სუბიექტის დაყოლიებასაც წამქეზებლობად მიიჩნევს და არა ამსრულებლობად, ან ორგანიზებად. ხოლო, რაც შეეხება ორგანიზებაში დახმარებას, აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც დამხმარე ხელს უწყობს ორგანიზატორს დანაშაულის მოწყობაში. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია დახმარება გამოიხატოს ფიზიკური, ფსიქიკური და ასევე ინტელექტუალური თვალსაზრისითაც. მაგალითად: დამხმარე პეტრე ყოველ დღე საკუთარი მანქანით დაატარებს ორგანიზატორს, რათა ამ უკანასკნელმა სათანადოდ შეისწავლოს თავდასხმის ობიექტი. აღნიშნულ შემთხვევაშიც ბუნებრივია, რომ ორგანიზატორის დახმარება დამხმარეს ორგანიზატორად ვერ გადააქცევს და მისი ქმედება შეფასდება სსკ-ის 24-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, როგორც ფიზიკური დახმარება.

2.5 თანამონაწილის ფორმის დაუდგენლობა

შესაძლებელია პრაქტიკაში იყოს შემთხვევები, როდესაც საქმის ფაქტობრივი გარემოებების არასრული ცოდნის გამო ვერ დადგინდეს თუ პირმა რა ხასიათის „წვლილი“ შეიტანა დანაშაულის ჩადენაში. ასეთ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ „სიმძიმის ხარისხის თვალსაზრისით, ამსრულებლობა, წამქეზებლობა და დახმარება (ქართული კანონმდებლობიდან გამომდინარე, უნდა ვიგულისხმოთ ასევე ორგანიზებაც) დახრილობით გამოირჩევიან, რომელიც „უმაღლესიდან უმდაბლესისაკენ“ მიემართება და მას შეფასებითი განხილვისას ნორმატიული საფეხურებრივი დამოკიდებულება შეიძლება ეწოდოს.“⁷³ ამიტომაც, ზემოთ მოყვანილ შემთხვევებში, როდესაც არ ხერხდება იმ გარემოებათა გარკვევა, ქმედებაში მონაწილეობის მიმდებმა მონაწილეობა ამსრულებლის, ორგანიზატორის, წამქეზებლის თუ დამხმარის სახით მიიღო, მაგრამ დადასტურებულია, რომ პირის მხრიდან შესრულებულია ყველაზე უფრო ნაკლებად საშიში თანამონაწილეობის ფორმის დასჯადობის საფუძველი, პირს *in dubio pro reo*-ს პრინციპის თანახმად,

⁷³ ველესი ი./ზოილკე ვ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი 2010. გვ 339

პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს თანამონაწილეობის ყველაზე უფრო მსუბუქი ფორმის განხორციელებისათვის“.⁷⁴

თავი III.

ამსრულებლისა და თანამონაწილის ერთმანეთისაგან გამიჯვნა

3.1. დამხმარისა და თანამსრულებლის ერთმანეთისაგან გამიჯვნა

სსკ-ის თანახმად, ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული ან სხვასთან (თანამსრულებელთან) ერთად უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში, აგრეთვე ის, ვინც დანაშაული ჩაიდინა სხვა ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც ამ კოდექსის მიხედვით ასაკის, შეურაცხაობის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. გამომდინარე აქედან ვხედავთ, რომ კანონმდებელი გვადლევს სამი სახის ამსრულებლობას ესენია: 1) უშუალო ამსრულებლობა, 2) თანამსრულებლობა და 3) შუალობითი ამსრულებლობა. მოცემულ შემთხვევაში, ერთი შეხედვით, ადვილია თანამსრულებლისა და თანამონაწილის ერთმანეთისაგან გამიჯვნა, თუმცა პრაქტიკასა და დოქტრინაში გართულებულია თანამსრულებლისა და დამხმარის ურთიერთგამიჯვნის საკითხი. აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად არსებობს სუბიექტური თეორია, რომლის მიხედვითაც, ამსრულებელი არის ის, ვისაც ქმედება სურდა როგორც საკუთარი, ხოლო დამხმარეა ის პირი, ვისაც ქმედება სურდა როგორც სხვისი. ხსენებული თეორია ხარვეზებით ხასიათდება, რაც უმთავრესად გამოიხატება წამქეზებლის ფიგურის ერთგვარ უარყოფაში, აღნიშნული თეორიის არსიდან გამომდინარეობს რომ, წამქეზებელი ყოველთვის ამსრულებელია და არა თანამონაწილე, რადგან, ბუნებრივია, როდესაც სხვა პირს აქეზებ დანაშაულის ჩასადენად შენ აღნიშნული ქმედება გასურს როგორც საკუთარი. აღნიშნული თეორია ასევე „არ იძლევა საშუალებას, გათვალისწინებულ იქნეს სპეციალური სუბიექტის მიერ ჩადენილი დანაშაულის სპეციფიკა, რადგან „ამსრულებლის ნებით“ მოქმედი სპეციალური სუბიექტის ნიშნების არმქონე დამხმარე ან წამქეზებელი ამსრულებლად ჩაითვლებიან.“⁷⁵

გარდა ამისა დოქტრინაში არსებობს თანამონაწილისა და თანამსრულებლის გამიჯვნის ასევე ობიექტური თეორიები. ფორმალურ-ობიექტური თეორია ამსრულებლის უმთავრეს ნიშნად მის მიერ დანაშაულის შემადგენლობის მთლიანად ან ნაწილობრივ უშუალოდ განხორციელებას მიიჩნევს. შესაბამისად დამხმარე იქნება ის პირი, რომელიც არ ახორციელებს ქმედების ობიექტური შემადგენლობის არც ერთ ნაწილს, დანაშაულის მოსამზადებელ სტადიაზე მიიღებს

⁷⁴ ველესი ი./ზოილკე ვ, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი 2010. გვ 340

⁷⁵ მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2011. გვ 143

მონაწილეობას და სხვა გზებით უწყობს ხელს მის ჩადენას. აღნიშნულისაგან განსხვავდება მატერიალურ-ობიექტური თეორია, რომელიც ამსრულებელსა და დამხმარეს ერთმანეთისაგან დანაშაულის ჩადენაში მათ მიერ შეტანილი წვლილის მიხედვით გამოიჯნავს. ქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობის თეორიის მიხედვით - „თანამსრულებელია ის, ვინც დანაშაულის განხორციელებისას გადამწყვეტ როლს თამაშობს ანუ ის, ვინც დანაშაულის განხორციელება-არგანხორციელების საკითხს წყვეტს და დანაშაულის მსვლელობას განსაზღვრავს. თანამონაწილე ამ თეორიის მიხედვით არის ის, ვინც ქმედებაზე არ ბატონობს და შესაბამისად დანაშაულის განხორციელებისას არა ცენტრალური, არამედ გვერდითი ფიგურაა.“⁷⁶ „აღნიშნული თვალსაზრისით, ქმედებაზე ბატონობა განზრახვით მოცულ, ქმედების შემადგენლობის შესაბამისად მოვლენის განვითარების სადავეების საკუთარ ხელში პერობას ნიშნავს.“⁷⁷ აქედან გამომდინარე ამსრულებელი არის პირი, რომელიც ისეთი ინტენსივობით ფლობს ვითარებას, რომ საკუთარი ნების თანახმად შეუძლია ქმედების შემადგენლობის განხორციელების პროცესის შეჩერება ან გაგრძელება, ამისგან განსხვავებით კი თანამონაწილე ობიექტური თვალსაზრისით ნაკლებად საშიში ფიგურაა, რომელიც ქმედების ჩადენას გამოიწვევს ან რამენაირად ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. ქმედებაზე ბატონობის თეორიის მიხედვით ქმედებაზე ბატონობა ვლინდება სამი ფორმით ესენია: „1. უშუალო ამსრულებლობა, როცა პირი უშუალოდ ასრულებს ქმედების შემადგენლობის ყველა ნიშანს; 2. შუალობითი ამსრულებლობა, როცა პირი ქმედებას სჩადის სხვა პირის მეშვეობით. ამ დროს ეს სხვა პირი შესაძლოა მოქმედებდეს სრული დელიქტუარიალობით (მათ შორის განზრახვაც); 3. თანამსრულებელია ისიც, ვისაც, მართალია უშუალო მონაწილეობა არ მიუღია ქმედების შემადგენლობის განხორციელებაში, მაგრამ ფუნქციონალურად იყო დაკავშირებული ქმედების შემადგენლობის უშუალო პროცესთან.

სისხლის სამართლის ქართულ დოქტრინაში თანამონაწილისა და ამსრულებლის გამიჯვნის საკითხის გადაწყვეტის ერთ-ერთ გზად მიჩნეულია აღნიშნული პრობლემის გაანალიზება დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის ინსტიტუტთან მიმართებაში. რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ თანამონაწილისა და ამსრულებლის გამიჯვნის ერთ-ერთ უმთავრეს კრიტერიუმად აღიარებულია მათ მიერ ქმედების ობიექტური შემადგენლობის მთლიანი ან რაიმე ნაწილის შესრულება არ შესრულების ფაქტი. კანონის თანახმად მომზადება ნიშნავს დანაშაულის ჩასადენად პირობების განზრახ შექმნას. „მოსამზადებელი მოქმედება არ წარმოადგენს დანაშაულის აღსრულების დაწყებას. იგი მხოლოდ ქმნის პირობებს იმისთვის, რათა მომავალში შესაძლო გახდეს დანაშაულის განხორციელება ან გაადვილდეს მისი ჩადენა.“⁷⁸ დანაშაულის განხორციელების მოცემულ „სტადიაზე პირს ჯერ კიდევ არ დაუწყია დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის

⁷⁶ მჭედლიშვილი-ჭედრიძე ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2011. გვ 147

⁷⁷ ველესი ი./ზოილკე ვ, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი 2010. გვ 290.

⁷⁸ დონჯაშვილი თ. საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი თბილისი 2002. გვ 217

განხორციელება, არამედ მხოლოდ პირობები მოამზადა მისი ჩადენისათვის, რომელიც შეიძლება უკან წაიღოს ისე, რომ სამართლებრივ სიკეთეს არავითარი ზიანი არ მიადგეს.⁷⁹ ამ უკანასკნელისაგან განსხვავდება ისეთი ვითარება, როდესაც სახეზეა დანაშაულის მცდელობის სტადია, რომლის დროსაც, მომზადებისაგან განსხვავებით დაწყებულია კონკრეტული დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელება და დაცულ სამართლებრივ სიკეთესაც ამჯერად უკვე რეალური საფრთხე ემუქრება. რაც შეეხება შემდგომ მაგალითს: „პეტრე და პავლე გაემართნენ სხვისი ბინის გასაქურდად. პეტრემ ბინის ფანჯარას მიადგა კიბე, ხოლო პავლე ავიდა ამ კიბეზე, შეაღწია ბინაში და გაქურდა იგი.“⁸⁰ მოცემულ შემთხვევაში ამსრულებელია პავლე, რადგან მხოლოდ მან განახორციელა ბინაში შეღწევით ქურდობის ობიექტური შემადგენლობა, კერძოდ იგი შევიდა საცხოვრებლად განკუთვნილ ფართში და ფარულად დაეუფლა იქ არსებულ ნივთებს. რაც შეეხება პეტრეს, იგი ამ შემთხვევაში იქნება ამსრულებელი და არა თანამონაწილე, რადგან „მას ქურდობის ობიექტური შემადგენლობის არც ერთი ნიშანი არ განუხორციელებია, მან მხოლოდ პირობა შექმნა ქურდობისათვის ფანჯარაზე კიბის მიდგმით.“⁸¹ აღნიშნულ შემთხვევებში თანამონაწილისა და თანამსრულებლის სწორად გასამიჯნად მნიშვნელოვანია დადგინდეს, თუ რა მომენტიდან იწყება ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელება, რადგან იმავე ქურდობის მაგალითში შესაძლებელია, რომ პირი უშუალოდ არ დაეუფლოს ნივთს, მაგრამ მაინც იყოს ქურდობის თანამსრულებელი. აღნიშნულის მაგალითად გამოდგება შემდეგი: „პეტრე და პავლე ბინის გაქურდვის მიზნით შეიპარნენ სხვის ბინაში. პეტრემ გახსნა სეიფი, აიღო ფული, ჩადო ჩანთაში და ორივენი გამოვიდნენ ბინიდან.“⁸² მოცემულ ვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია იმ ფაქტს, რომ ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელება იწყება სწორედ ქურდობის მიზნით სხვის ბინაში შეღწევის მომენტიდან, შესაბამისად ის თუ კონკრეტულად რომელი პირი დაეუფლება სხვის ნივთს არ არის გადამწყვეტი, იმიტომ, რომ „ქურდობის მიზნით ბინაში შეღწევა არის ქურდობის არა მომზადება, არამედ მისი მცდელობა, რადგან ამ დროს სხვის ქონებრივ უფლებას უკვე უშუალო საფრთხე ექმნება.“⁸³

რაც შეეხება ძალადობით დანაშაულებს, მოცემულ შემთხვევებში გადამწყვეტია, ის ფაქტი, თუ რომელი პირები განახორციელებენ უშუალოდ ძალადობრივ აქტებს. აღნიშნულის მაგალითია მკვლელობა ისეთ დროს, როდესაც, მსხვერპლს ერთი პირი აკავებს, ხოლო მეორე პირი კი მას დანას ჩაართყავს და სიცოცხლეს გამოასალმებს. აღნიშნულ შემთხვევაში შესაძლებელია, ერთი შეხედვით, ვიფიქროთ, რომ ის პირი ვინც მსხვერპლს აკავებს არის დამხმარე და არა თანამსრულებელი, თუმცა საკითხის ამგვარი გადაწყვეტა სამართლიანი არ იქნება,

⁷⁹ თოდუა ნ. სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები(პრობლემები და ინოვაციები). გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2015. გვ 30

⁸⁰ იხ.იქვე. გვ34.

⁸¹ იხ.იქვე. გვ34.

⁸² იხ.იქვე. გვ35.

⁸³ იხ.იქვე. გვ35.

რადგანაც მსხვერპლის გაკავება წარმოადგენს მკვლელობის მცდელობის და არა მომზადების სტადიას, რა დროსაც მსხვერპლის სიცოცხლეს უკვე უშუალო საფრთხე ემუქრება. „ამედნად, მოკვლის მიზნით მსხვერპლის ხელის გაკავება მკვლელობის დაუმთავრებელი მცდელობაა და არა მომზადება. ე.ი. პირი უკვე იწყებს მკვლელობის ობიექტური შემადგენლობის ერთ-ერთი ნიშნის განხორციელებას, რაც მსხვერპლისადმი ძლადობის დაწყებაში გამოვლინდა.“⁸⁴

განხილული შემთხვევისაგან განსხვავდება, ისეთ ვითარება, როდესაც პეტრე და პავლე შეთანხმებული გეგმის შესაბამისად მინდორში წავლენ ივანეს მოსაკლავად, პეტრე ამოიღებს იარაღს და მოკლავს ივანეს. ამ დროს მკვლელობის ამსრულებელია პეტრე, ხოლო პავლეს კი სს პასუხისმგებლობა დაეკისრება ფსიქიკური დახმარებისათვის, რადგან ისინი მოქმედებდნენ შეთანხმებულად და პავლე თავისი იქ ყოფნით ამსრულებელს განუმტკიცებდა დანაშულის ჩადენის განზრახვას.

ზემოთ აღნიშნულისაგან განსხვავდება ისეთი შემთხვევები, როდესაც ჩვენ საქმე გვაქვს ფორმალურ დანაშაულებთან, რისი ნათელი მაგალითიც არის ყაჩაღობა, რომელიც დამთავრებულად ითვლება თავდასხმის განხორციელების მომენტიდან. ასეთ შემთხვევაში, როდესაც პირი, „ვინც თავს დაესხა მოქალაქეს და სიცოცხლისათვის საშიში მუქარით მოსთხოვა ნივთი. მეორე პირი, რომელიც მას გარეთ ელოდება, არის თანამონაწილე, კერძოდ ფიზიკური ან ფსიქიკური დამხმარე, რადგან მას ყაჩაღობის ობიექტური შემადგენლობის (თავდასხმის) არც ერთი ნიშანი არ განუხორციელებია და არც მუქარა, მსხვერპლმა არც კი იცოდა მისი იქ დგომის შესახებ.“⁸⁵

მოცემული შემთხვევისაგან განსხვავდება ვითარება, როდესაც სახეზეა ორი პირი, რომელთაგან მხოლოდ ერთი ახორციელებს ნივთის დასაუფლებლად სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ მუქარას, ხოლო მეორე კი ჩუმად დგას საკუთარი მეგობრის გვერდით. ასეთ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ ყაჩაღობა არის ფორმალური დანაშაული, რომლის დამთავრებულად ცნობისათვის საკმარისია მხოლოდ თავდასხმის განხორციელება სხვისი ნივთის დაუფლების მიზნით, მნიშვნელობა არ აქვს იმ ფაქტს პირი მოახერხებს თუ არა ნივთის დაუფლებას. მოცემულ შემთხვევაში ორივე პირი ახორციელებს თავდასხმას, პირველი მათგანის ქმედება გასაგებია, რომ უდავოდ ყაჩაღობაა, ხოლო რაც შეეხება მეორეს, მისი ქმედებაც ყაჩაღობის თანაამსრულებლობად უნდა შეფასდეს, რადგან მან მისი ადგილზე ყოფნით განახორციელა ყაჩაღობის ობიექტური შემადგენლობის ნაწილი - მუქარა, რაც გამოიხატა კონკლუდენტური მოქმედებით. მართლია, მას არაფერი უთქვამს, მაგრამ მისი დუმილი ნიშნავს, რომ იგი ეთანხმება მისი მეგობრის ქმედებას და საჭიროების

⁸⁴ თოდუა ნ., ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., ნაჭყებია გ. ივანიძე მ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2016. გვ 350

⁸⁵ თოდუა ნ. სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები). გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2015. გვ 36

შემთხვევაში მზადაა პასიური როლიდან აქტიურში გადავიდეს. აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით, დაზარალებულის ნების პარალიზების ხარისხი ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ერთპიროვნული ამსრულებლობისას, რადგან იგი ხედავს, რომ მის წინააღმდეგ ორი პირია გაერთიანებული და მისი მხრიდან აუცილებელი მოგერიების განხორციელებისა შანსი ნაკლებადაა. ამსრულებელთა მხარეს კი პირიქით, მოცემული ფაქტორი მათ უპირატესობაზე მეტყველებს, რადგან ამ დროს გაცილებით უფრო მეტია შანსი მათი დანაშაულებრივი მიზნის რეალიზაციისა, სწორედ ეს არის საფუძველი იმისა, რომ კანონმდებელი მთელ რიგ ნორმებში დანაშაულის ჯგუფურად, ორი ან მეტი ამსრულებლის მიერ ჩადენას, დამამძიმებელ გარემოებად გამოყოფს. მაშასადამე აღნიშნულ შემთხვევაში ორივე პირი არის ამსრულებელი და ისინი ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობისათვის დაისჯებიან.

დაახლოებით ანალოგიურად წყდება საკითხი გაუპატიურების შემთხვევაშიც. მოგვეხსენება, აღნიშნული დანაშაული არის ფორმალური შემადგენლობის, თუმცა ამავდროულად იგი არის ორაქტიანი და მისი დამთავრებულად ცნობისათვის აუცილებელია, რომ პირმა განახორციელოს დაზარალებულის სხეულში ნებისმიერი ფორმის სექსუალური ხასიათის შეღწევა. ის პირი, რომელიც მსხვერპლს დაათრობს და ისე მოიყვანს მას უმწეო მდგომარეობაში, რისი მეშვეობითაც ამსრულებელი დაამყარებს დაზარალებულთან სქესობრივ კავშირს, უნდა დაისაჯოს, როგორც დამხმარე და არა ამსრულებელი, იმიტომ, რომ მან განახორციელა მხოლოდ გაუპატიურების მოსამზადებელი სტადია, მსხვერპლი მოიყვანა უმწეო მდგომარეობაში ძალადობის ან ძალადობის მუქარის გარეშე, რადგანაც აღნიშნული ქმედება არ არის მოცული სსკ-ის 137-ე მუხლის ობიექტური შემადგენლობის ფარგლებში და შესაბამისად მოცემულ შემთხვევაში ჩვენ გვექნება მხოლოდ გაუპატიურებაში დახმარება. განხვავებულად გადაწყდება საკითხი, როდესაც ერთი პირი დანის გამოყენებით მსხვერპლის მიმართ ახორციელებს ძალადობის მუქარას, რითაც მეორეს უადვილებს დაზარალებულთან სქესობრივი კავშირის დამყარებას. ასეთ დროს სახეზეა ორი ამსრულებელი, რადგან მოცემულ ვითარებაში ორივე პირი ახორციელებს ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნაწილს, პირველი ამსრულებელი ახორციელებს ძალადობის მუქარას, რომლის გამოყენებითაც მეორე თანამსრულებელი მსხვერპლთან ამყარებს სქესობრივ კავშირს. შესაბამისად ჩვენ ვერ გავიზიარებთ დოქტრინაში გამოთქმულ მოსაზრებას მასზედ, რომ ის პირი ვინც ძალადობის გარეშე მოიყვანა მსხვერპლი უმწეო მდგომარეობაში არის თანამსრულებელი.⁸⁶ მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული მოსაზრება დასაბუთებულია იმით, რომ პირი, რომელიც მსხვერპლს უმწეო მდგომარეობაში აგდებს და ამგვარად დანაშაულის განხორციელება-არგანხორციელების საკითხს განსაზღვრავს, გადამწყვეტ როლს თამაშობს დანაშაულის ჩადენაში და შესაბამისად იგი უნდა დაისაჯოს, როგორც ამსრულებელი. აღნიშნულ შემთხვევაში გადამწყვეტია არა ის ფაქტი, რომ პირმა ფაქტობრივად დანაშაულის ჩადენა-

⁸⁶ მჭედლიშვილი-ჭედრიანი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2011. გვ.149

არჩადენის ბედი გადაწყვიტა, არამედ ის, რომ ფორმალურ-ობიექტური თეორიის მიხედვით, რომელსაც ქართული კანონმდებლობა ემხრობა, ამსრულებელია ის, პირი, ვინც უშუალოდ განახორციელებს ქმედების ობიექტურ შემადგენლობას. მოცემულ შემთხვევაში მსხვერპლის უმწეო მდგომარეობაში მოყვანა სსკ-ის 137-ე მუხლის შემადგენლობის გარეთაა პირს არ განუხორციელებს ობიექტური შემადგენლობის ნაწილიც კი და შესაბამისად მოცემულ მაგალითში ჩვენ სახეზე გვაქვს არა ამსრულებლობა არამედ თანამონაწილეობა, დახმარების სახით.

გამომდინარე ზემოთ აღნიშნულიდან, ჩვენ თანამონაწილისა და ამსრულებლის მთავარ გასამიჯნ კრიტერიუმად უნდა მივიჩნიოთ ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელება არ განხორციელების ფაქტი, რადგან, ობიექტური თვალსაზრისით, სწორედ ეს უკანასკნელი განაპირობებს ქმედების მომეტებულ საშიშროებას, ხოლო რაც შეეხება დამხმარის მიერ ჩადენილი ქმედების ინტენსივობის შეფასებას, აღნიშნული მთლიანად მინდობილია მოსამართლეზე და სწორედ მან უნდა გადაწყვიტოს, რამდენად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თანამონაწილემ დანაშაულის ჩადენაში. დღეს მოქმედი კანონმდებლობით რაიმე არსებითად განსხვავებული შინაარსის რეგულაცია არ არსებობს ორგანიზატორის, წამქეზებლისა, თუ დამხმარისათვის სასჯელის განსაზღვრისას. მათ სასჯელი განესაზღვრებათ სსკ-ის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილი სანქციის ფარგლებში.

სსკ-ის თანახმად, გვაქვს ისეთი შემთხვევები, როდესაც საკითხის ფაქტობრივი და იურიდიული მხარე ერთმანეთს არ ემთხვევა, შესაბამისად სახეზე გვაქვს ერთგვარი სამართლებრივი ფიქცია. აღნიშნული იმით გამოიხატება, რომ ფაქტობრივი თანამონაწილე იურიდიული თვალსაზრისით ითვლება ამსრულებლად. აღნიშნულის მაგალითია ბანდიტიზმი, სადაც ისჯება მყარი შეიარაღებული ჯგუფის შექმნა, ან ხელმძღვანელობა. ასეთ შემთხვევაში პირი, რომელიც ქმნის ან ხელმძღვანელობს ბანდიტურ ჯგუფს, არის ფაქტობრივი ორგანიზატორი, მაგრამ სამართლებრივი თვალსაზრისით იგი მიიჩნევა სსკ-ის ბანდიტიზმის ამსრულებლად. ბანდაში ან მის მიერ მოწყობილ თავდასხმაში მონაწილეობის დროს სახეზე გვყავს პირი, რომელიც არის ფაქტობრივი დამხმარე, მაგრამ სამართლებრივი თვალსაზრისით მისი ქმედებაც შეფასდება ამსრულებლობად, როგორც ბანდის მიერ მოწყობილ თავდასხმაში მონაწილეობა.

3.2 შუალობითი ამსრულებლობა

ნაშრომის მოცემულ ეტაპზე განხილული იქნება თანამონაწილეობისა და შუალობითი ამსრულებლობის გამიჯვნის საკითხი. კანონის თანახმად, შუალობითი ამსრულებლის ცნებაში მიაზრება ისეთი ადამიანი, ვინც დანაშაული ჩაიდინა სხვა ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც სსკ-ის მიხედვით ასაკის, შეურაცხაობის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. არსებობს შუალობითი ამსრულებლობის რამდენიმე ტიპური შემთხვევა. პირველი, რომელიც ყველაზე უფრო გავრცელებული მაგალითია, დაკავშირებულია ისეთ

ვითარებასთან, როდესაც შუალობითი ამსრულებელი დანაშაულის ჩასადენად დაიყოლიებს იმ პირს, რომელიც ბრალის გარეშე მოქმედებს, აღნიშნული შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ მას არ მიუღწევია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკისათვის ან იგი სხვადასხვა ფსიქიკური პრობლემების გამო ბრალუუნაროა. მოცემულ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს სამართლებრივ ფიქციასთან, რადგან საკითხის ფაქტობრივი და იურიდიული მხარე ერთმანეთს არ ემთხვევა, კერძოდ ფაქტობრივი წამქეზებელი ამ დროს არის შუალობითი ამსრულებელი, ხოლო ფაქტობრივ ამსრულებელს კი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება ზემოთ ხსენებულ მიზეზთა გამო. აღნიშნულ შემთხვევაში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს შეცდომას. შესაძლებელია, პირმა ვისაც ჰგონია, რომ დანაშაულის ჩასადენად დაიყოლიებს 13 წლის ბავშვს, ფაქტობრივად დაიყოლიოს სს პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული პირი. ან შესაძლებელია მოხდეს პირიქითაც, პირს ჰგონია, რომ ბრალუუნაროს დაიყოლიებს დანაშაულის ჩასადენად და მის მიერ წაქეზებული აღმოჩნდეს დელიქტუარიანი პირი. მოცემული შემთხვევები უნდა გადაწყდეს ფაქტობრივი მოცემულობის მიხედვით. კერძოდ თუ წაქეზებული ბრალუუნარიანი აღმოჩნდა მისი დამყოლიებელი დაისჯება როგორც წამქეზებელი. ხოლო საპირისპირო შემთხვევაში, თუ დაყოლიებული ბრალუუნარო აღმოჩნდა ფაქტობრივ წამქეზებელს სს პასუხისმგებლობა დაეკისრება კონკრეტული დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობისათვის. შუალობითი ამსრულებლობისა და დანაშაულის წაქეზების უმთავრესი გასამიჯნი კრიტერიუმი დაკავშირებულია ფაქტობრივი ამსრულებლის სს პასუხისმგებლობის საკითხთან, როდესაც ფაქტობრივ ამსრულებელს ეკისრება სს პასუხისმგებლობა განზრახი დანაშაულისათვის მაშინ უდავოა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში სახეზეა დანაშაულში თანამონაწილეობა, ხოლო საწინააღმდეგო შემთხვევაში კი, როდესაც გამოირიცხება უშუალოდ მოქმედის პასუხისმგებლობა განზრახი დანაშაულისათვის, მაშინ დგება საკითხი სწორედაც, რომ ფაქტობრივი წამქეზებლის ქმედების შუალობით ამსრულებლობად დაკვალიფიცირებისა. ის გარემოებები, თუ რა დროს არ ეკისრება ფაქტობრივ ამსრულებელს სს პასუხისმგებლობა შესაძლებელია სხვადასხვაგვარი იყოს. ამ დროს შესაძლებელია სახეზე გვქონდეს შემგევი შინაარსის შემთხვევები: „როდესაც „ცოცხალი იარაღი ნებელობითად არ მოქმედებს“⁸⁷ და მის მიმართ შუალობითი ამსრულებელი ახორციელებს ფიზიკურ ძალადობას და შესაბამისად სახეზეა vis absoluta; ასევე შუალობით ამსრულებლობასთან გვაქვს საქმე, როდესაც შუალობითი ამსრულებელი „ცოცხალ იარაღს“ მისატევებელ შეცდომას ჩაადენინებს; შუალობით ამსრულებლობად არის მიჩნეული ისეთი შემთხვევა, როდესაც პირი „ცოცხალ იარაღს“ საკუთარი თავის წინააღმდეგ იყენებს, ამ დროს შუალობითი ამსრულებლის ზემოქმედების შედეგად ბრალუუნარო პირი საკუთარ სამართლებრივ სიკეთეს აზიანებს, მაგალითად შეურაცხადის შეგულიანება, რომ მან თავი მოიკლას, ასეთ დროს ფაქტობრივი წამქეზებლის ქმედება მკველობის შუალობით ამსრულებლობად უნდა შეფასდეს; „შუალობით ამსრულებლობად

⁸⁷ მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2011. გვ 176.

დაკვალიფიცირდება ქმედება, როდესაც მსხვერპლი საკუთარი ქმედების ფაქტობრივ ხასიათში ცდება, ანუ როცა მან არ იცის, რომ პირის მიერ მითთებული მოქმედებით იგი თვითმკველობას ან თვითდაზიანებას ახორციელებს,⁸⁸ ამ უკანასკნელისაგან განსხვავდება შემთხვევა, როდესაც პირი მეორე შერაცხად პირს წააქეზებს თვითმკველობისაკენ. აღნიშნულ ვითარებაში გამორიცხულია, როგორც წამქეზებლობა, ასევე შუალობით ამსრულებლობაც; შუალობით ამსრულებლობასთან გვაქვს საქმე ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ფაქტობრივი ამსრულებელი ბრალის გამომრიცხავი ნებისმიერ გარემოების არსებობისას მოქმედებს. აზრთა სხვადასხვაობაა იმ შემთხვევასთან მიმართებაში, როდესაც ფაქტობრივი ამსრულებელი არღვევს წინდახედულობის ნორმას და გაუფრთხილებლობით დანაშაულს სჩადის, აღნიშნულ ვითარებაში ფაქტობრივი წამქეზებლის მხრიდან განხორციელებული ქმედება ვერ შეფასდეს, როგორც თანამონაწილეობა, რადგან ეს უკანასკნელი მხოლოდ განზრახ დანაშაულებში გვხვდება, ხოლო შუალობით ამსრულებლობის ცნება კი გვეუბნება, რომ ამ შემთხვევაში ფაქტობრივ ამსრულებელს არ უნდა ეკისრებოდეს პასუხისმგებლობა. კანონი არ აკონკრეტებს იმას, თუ როგორი დანაშაულის ჩადენაში არ უნდა ეკისრებოდეს „ცოცხალ იარაღს“ სს პასუხისმგებლობა, განზრახი თუ გაუფრთხილებლობითი დელიქტებისათვის. ამიტომაც ხშირ შემთხვევაში კანონი ფართოდ განიმარტება და შუალობით ამსრულებლობად მიჩნეულია ისეთი შემთხვევა, როდესაც ფაქტობრივი ამსრულებელი არღვევს წინდახედულობის ნორმას და მას სს პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობითი დანაშაულისათვის ეკისრება. აღნიშნული მიდგომა პირველ რიგში სამართლიანობის კრიტერიუმითაა გამოწვეული, რათა დაუსჯელი არ დარჩეს ის პირი, რომელმაც სხვა პირს წინდახედულობის ნორმა დაარღვევინა და ხსენებული გზით მოახერხა დანაშაულებრივი მიზნის მიღწევა. აღნიშნულთან ერთად გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში ძალიან მყიფეა ზღვარი წინდახედულობის ნორმის დარღვევასა და არადასჯად ქმედებას შორის. ამიტომაც მოცემული ფაქტორების გათვალისწინებით უმჯობესია კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილება და დაკონკრეტდეს, რომ შუალობით ამსრულებლობას ადგილი ექნება მაშინაც, როდესაც ფაქტობრივ ამსრულებელს შეურაცხაობის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განზრახი დანაშაულისათვის.

რაც შეეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც „ქმედების შემადგენლობის განხორციელებისას სპეციალური სუბიექტის ნიშნებია საჭირო, ირ პირი, რომელსაც ეს თვისებები არ ახასიათებს, არ ჩაითვლება დანაშაულის ამსრულებლად მაშინაც კი, თუ მან ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარე განახორციელა.“⁸⁹ მოცემულ შემთხვევაში, ჩემი აზრით, ადგილი არ აქვს შუალობით ამსრულებლობას, რადგან აღნიშნულ შემთხვევაში კანონმდებელი გვაძლევს მკაფიო კრიტერიუმს, რომლის

⁸⁸ მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2011. გვ 176

⁸⁹ იხ.იქვე გვ 181

თანახმად, შუალობითი ამსრულებლობისას ფაქტობრივ ამსრულებელს არ უნდა დაეკისროს სს პასუხისმგებლობა. გამომდინარე აქედან იმ ვითარებაში, როდესაც არათანამდებობის პირი მოხელის მითთებით ოფიციალურ ფოკუმენტში ყალბ ცნობას შეიტანს ამ დროს ჩვენ სახეზე არ გვაქვს შუალობით ამსრულებლობა, არამედ ასეთ დროს მოხელე უნდა დაისაჯოს როგორც სამსახურეობრივი სიყალბის ამსრულებელი, ხოლო ტექნიკური მუშაკი კი სსკ-ის 25-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ მან განახორციელა ქმედების შემადგენლობა, უნდა დაისაჯოს როგორც დამხმარე.

თავი IV.

1 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება თანამონაწილის მიერ

საქართველოს სსკ-ის 21-ე მუხლი არეგულირებს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხებს. აღნიშნული ნორმის თანახმად, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეუძლია როგორც ამსრულებელს, ასევე თანამონაწილეს. საქართველოს სსკ-ის 21-ე მუხლი არეგულირებს თანამონაწილის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხს, თუმცა ამ უკანასკნელს კანონმდებელი საკმაოდ სერიოზულ კრიტერიუმებს უწესებს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გასათავისუფლებლად, ვიდრე ამსრულებელს. „დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების წინაპირობები თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულისას უფრო მკაცრია, ვიდრე ერთი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის დროს. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამკაცრებული წინაპირობების არსებობა დასაბუთებულია იმით, რომ კანონმდებელი რამდენიმე პირის მიერ დანაშაულის ჩადენას უფრო საშიშად თვლის, ვიდრე ერთი პირის მიერ ჩადენილს.“⁹⁰ სსკ-ის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, დანაშაულის ორგანიზატორს, წამქეზებელსა და დამხმარეს არ დაეკისრებათ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მათ გადაარწმუნეს ამსრულებელი. ამ შემთხვევაში ზემოთ ჩამოთვლილ პირთა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისათვის აუცილებელია, რომ თანამონაწილეებმა შეძლონ ამსრულებლის რეალური გადარწმუნება, რათა ამ უკანასკნელმა აღარ განახორციელოს დანაშაული. იმ შემთხვევაში, თუ ამსრულებელი სიტყვიერად შეპირდება თანამონაწილეს, რომ იგი აღარ ჩაიდენს დანაშაულს და სინამდვილეში იგი მაინც განახორციელებს საკუთარ დანაშაულეობრივ განზრახვას, ეს ნიშნავს, რომ თანამონაწილემ რეალურად ვერ შეძლო დანაშაულის რეალურად თავიდან აცილება/ვერ გადაარწმუნა ამსრულებელი და იგი არ უნდა გათავისუფლდეს სს პასუხისმგებლობისაგან.

⁹⁰მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2011. გვ 114

რაც შეეხება შემდგომ ნიშანს, თანამონაწილეები გათავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ მათ დროულად შაატყობინეს აღნიშნულის შესახებ ხელისუფლების ორგანოს. მოცემულ ვითრებაში ხელის ალების საკმარის პირობად ჩაითვლება, თუ თანამონაწილეთა მიერ ხელისუფლების ორგანოთ ინფორმირება მოხდა შესაბამისი ქმედების განხორციელებამდე გონივრული ვადით ადრე, რათა მათ გააჩნდეთ საკმარისი საშუალება, რომ აღკვეთონ შესაბამისი დანაშაულებრივი ქმედება. მოცემული ფაქტორი შეფასების საგანს წარმოადგენს და იგი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამოუკიდებლად უნდა გადაწყდეს და თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ხელისუფლების ორგანოთათვის შეტყობინების მომენტისათვის მათ აღარ გააჩნდათ რეალური შანსი ამსრულებლის შეჩერებისა, მაშინ ეს არ უნდა ჩითვალოს დანაშაულზე ხელის ალების საკმარის პირობად. ჩემი აზრით, პირი სს პასუხისმგებლობისაგან არ უნდა გავათავისუფლოთ იმ შემთხვევაში, როდესაც მან შეატყობინა ხელისუფლების ორგანოს მოსალოდნელი დანაშაულის შესახებ, თუმცა ამ უკანასკნელთა დაუდევარი და არაკომპეტენტური ან თუნდაც შეგნებული უმოქმედობის გამო ვერ მოხერხდა ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება.⁹¹ მოცემულ შემთხვევებში თანამონაწილის დასჯადობის საფუძველია ის ფაქტი, რომ ამ ვითარებაში მოქმედებას აგრძელებს მის მიერ დაფუძნებული მიზეზობრიობა და ის გარემოება, რომ სამართალდამცავები საკუთარი არაკომპეტენტური ქმედებების გამო არ აღკვეთენ შესაბამის დანაშაულს, ეს არ ათავისუფლებს მას პასუხისმგებლობისაგან. კანონის მიხედვით, სს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ის პირი, ვინც სხვაგვარად შეუშლის ხელს სხვა ამსრულებელს და თანამონაწიეს და არ მისცემს დანაშაულის დამთავრების შესაძლებლობას. როგორც კანონის ტექსტიდან ირკვევა, მოცემულ შემთხვევაში უმთავრესია ის, რომ შესაძლებელი გახდეს დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება და არ აქვს მნიშვნელობა, თუ რა ფორმით მოხდება ეს. დანაშაულის ჩადენაში ხელშეშლა შეიძლება გამოიხატოს ამსრულებლის ან სხვა თანამონაწილისათვის იარაღის წართმევით, ურომლისოდაც შეუძლებელია დანაშაულის ბოლომდე მიყვანა. ასევე შესაძლებელია, რომ მათ მიმართ განხორციელდეს სხვადასხვა ზემოქმედება. მაგალითად ამსრულებლისადმი შესაძლებელია განხორციელდეს მუქარა, რომ თუ ის ნებეყოფლობით ხელს არ აიღებს მკვლელობის განზრახვაზე მას მოკლავენ, ასევე შესაძლებელია განხორციელდეს ამსრულებლის რომელიმე ოთხში ჩაკეტვა და ამით მის მიერ დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება და სხვაგვარი „საბოტაჟი“. მოცემულ შემთხვევაში ჩვენ მართალია სახეზე გვაქვს დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილება, თუმცა განხორციელებული ქმედებები, ერთი შეხედვით, შეიძლება მიგვითითებდეს სხვა დანაშაულის არსებობაზე. ზემოთ მოცემული მაგალითებიდან გამომდინარე - მუქარისათვის, თავისუფლების უკანონო აღკვეთისათვის და ა.შ. თუმცა ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია მართლწინაღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებები და პირი უნდა გათავისუფლდეს

⁹¹ მჭედლიშვილი-ჭედრიძე ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2011. გვ 114

პასუხისმგებლობისაგან. კანონის ანალიზიდან გამომდინარე ნათელია, რომ თანამონაწილის სს-ვი პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების აუცილებელი პირობა არის ის, რომ არ მიეცეს ამსრულებელს დანაშაულის დამთავრების შესაძლებლობა. ზემოთ ჩამოთვლილი პირობები ვრცელდება ასევე ჯაჭვური თანამონაწილეობის შემთხვევებზედაც. მაგალითად: წამქეზების წამქეზებელი ვალდებულია, გადაარწმუნოს არა მის მიერ წაქეზებული, არამედ უშუალო ამსრულებელი, რათა მან არ განახორციელოს დანაშაულებრივი ქმედება.

ზემოთ განხილული შემთხვევები და მათთვის დამახასიათებელი კრიტერიუმები ერთიანია თანამონაწილის ყველა სახისათვის, თუმცა კანონმდებელი ცალკე გამოყოფს ასევე ფიზიკურ დამხმარეს, რომელსაც დანაშაულზე ხელის აღების ბევრად უფრო ღმობიერ კრიტერიუმს უწევს. კანონის თანახმად, დამხმარეს აგრეთვე არ დაეკისრება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან ამსრულებლის მიერ დანაშაულის დაწყებამდე უარი თქვა შეესრულებინა შეპირებული ქმედება, ანდა ამსრულებლის მიერ დანაშაულის დამთავრებამდე უკან დაიბრუნა დანაშაულის ჩასადენად გადაცემული იარაღი ან საშუალება. მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება ერთი შემთხვევა, როდესაც დამხმარე უარს ამბობს უკვე შეპირებულ დახმარებაზე და ამით ახორციელებს ამსრულებლის ინფორმირებას, რომ ამ უკანასკნელის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მისი იმედი არ უნდა ქონდეს. რაღა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში დახმარებაზე უარი გამოთქმული უნდა იყოს ამსრულებლის მიერ დანაშაულს დაწყებამდე. რაც შეეხება განსახილველი ნორმის ბოლო ჩანაწერს, ეს არის ის შემთხვევა, როდესაც ფიზიკურმა დამხმარემ დანაშაულის დამთავრებამდე უკან დაიბრუნა გადაცემული იარაღი ან საშუალება. გასაზიარებელია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, კანონის არსებული რედაქცია ხარვეზიანია და იგი დღეის მდგომარეობით ქმნის პირისათვის უსამართლო შეღავათის გაწევის შესაძლებლობას. კერძოდ, დღეს არსებული მდგომარეობით შეიძლება პირი გათავისუფლდეს სს-ვი პასუხისმგებლობისაგან იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამსრულებელმა უკვე გამოიყენა მის მიერ გადაცემული იარაღი ან საშუალება, მას იგი აღარ სჭირდება და ამ დანაშაულის დამთავრებამდე დამხმარე უკან იბრუნებს შესაბამის ობიექტს. მოცემულ შემთხვევაში, ცხადია, რომ გადაცემულმა იარაღმა უკვე ამოწურა საკუთარი ფუნქცია და ფორმალურად დანაშაულის დამთავრებამდე მას უკან დაიბრუნებს თუ არა დამხმარე აღნიშნულ ფაქტს უკვე აღარ გააჩნია არავითარი ფაქტობრივი მნიშვნელობა. ზემოთ აღნიშნული ხარვეზი თავს იჩენს განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ საქმე გვაქვს დენად ან განგრძობად დანაშაულთან. დენადი დანაშაული, მოგვეხსენება, რომ დამთავრებულია ქმედების შეწყვეტის მომენტიდან, ხოლო განგრძობადი კი უკანასკნელი ქმედების განხორციელების მომენტიდან. მასასაადმე, იმ შემთხვევაში, როდესაც მძევლად ხელში ჩაგდების დროს პირმა მეორე პირს გადასცა სატრანსპორტო საშუალება და მძევლის გათავისუფლებამდე უკან დაიბრუნა ეს ავტომობილი, მაშინ ეს დამხმარე უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან, ან შეიძლება განგრძობადი დანაშაულის დროს პირმა ქურდობის ოთხი ეპიზოდის დროს გამოიყენა მორგებული გასაღები და მხოლოდ მეხუთე ეპიზოდის წინ

დაიბრუნა იგი უკან, მოცემული ფაქტი მაინც უნდა ჩაითვალოს ნებაყოფლობით ხელის აღებად, რაც არ არის სწორი, რადგან მოცემულ შემთხვევაში, როგორც ავტომობილმა, ასევე მორგებულმა გასაღებმა უკვე შეასრულა საკუთრი დანიშნულება და აღარავითარი მნიშვნელობა არ აქვს დამხმარე უკან დაიბრუნებს თუ არა მოცემულ საგანს ან იარაღს. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილია, რომ შეიცვალოს კანონის დღეს არსებული რედაქცია და სიტყვების „დანაშაულის დამთავრების“ მაგივრად ჩაიწეროს „დანაშაულის დაწყებამდე“, ხოლო ისეთ შემთხვევებში კი, როდესაც ამსრულებელი თანამონაწილეთა ძალისხმევით მიუხედავად მაინც მოახერხებს დანაშაულის ბოლომდე მიყვანას, ეს არ გამორიცხავს მათ პასუხისმგებლობას და სსკ-ის 21-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, აღნიშნული გარემოება მხოლოდ სასჯელის დანიშნისას მიიღება მხედველობაში, როგორც შემამსუბუქებელი გარემოება. ლიტერატურაში სადავოა საკითხი იმ პირის დასჯადობის შესახებ, რომელმაც ამსრულებელს გადასცა მორგებული გასაღები ქურდობის ჩასადენად, შემდეგ, მართალია, უკან დაიბრუნა აღნიშნული გასაღები, თუმცა ამსრულებელმა მოასწრო დუბლიკატის გაკეთება და სწორედ მისი მეშვეობით შეძლო ქურდობის ჩადენა. ასეთ შემთხვევაში, მართალია, დამხმარემ დანაშაულის დაწყებამდე დაიბრუნა დანაშაულის იარაღი, თუმცა საბოლოო ჯამში მან მის მიერვე დაფუძნებული მიზეზობრიობის გაწყვეტა ვეღარ მოახერხა და ვერ აიცილა თავიდან მართლსაწინააღმდეგო შედეგი, ამიტომაც იგი არ უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან და მოცემული გარემოება მხოლოდ სასჯელის დანიშნისას, ანალოგიურადვე უნდა გადაწყდეს საკითხი ზემოთ მოცემული არაკომპეტენტური სამართალდამცავების მაგალითის შემთხვევაშიც, როდესაც თანამონაწილემ მათ შეატყობინა მოსალოდნელი ქმედების შესახებ, თუმცა საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო, მათ არ მიიღეს ზომები დანაშაულის თავიდან ასაცილებლად. იმ დროს, როდესაც თანამონაწილემ შეძლო და ამსრულებელი შეაჩერა დანაშაულის მომზადების ან მცდელობის სტადიაზე, ამსრულებელი დაისჯება დაუმთავრებელი დანაშაულის შესაბამისი სტადიის განხორციელებისათვის, ხოლო ბუნებრივია რომ თანამონაწილე ამ შემთხვევაში გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან და მასზე გავრცელდება სსკ-ის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილი. ხოლო საპირისპირო სიტუაციაში, როდესაც თანამონაწილეებს არაფერი გაუკეთებიათ დანაშაულის დამთავრების თავიდან ასაცილებლად და ამსრულებელმა თავად აიღო ხელი დანაშაულზე, ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ამსრულებელი გათავისუფლდება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ხოლო თანამონაწილეები კი დაისჯებიან დაუმთავრებელი დანაშაულის იმ სტადიაზე თანამონაწილეობისათვის, რომელზედაც შეჩერდა ამსრულებელი. ფიზიკურ დამხმარესთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს, რომ დამხმარემ მთავარია დანაშაულის დაწყებამდე უარი თქვას შეპირებულ ქმედებაზე და იგი გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, მნიშვნელობა არა აქვს მან აიცილა თუ არა თავიდან შესაბამისი დანაშაული. „მას დანაშაულის თავიდან აცილება არ ევალება.“⁹² მაგალითად: „მოსამსახურე ამსრულებელს სახლის კარის

⁹² მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების

გახსნას შეპირდება. დანაშაულის დაწყებამდე იგი უარს ეტყვის მას კარის გახსნაზე. ამსრულებელი კარს შეანგრევს და სახლს მაინც გაქურდავს. მოსამსახურე დანაშაულზე ნაბაყოფლობით იღებს ხელს“⁹³.

გასაზიარებელია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც „დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება თანამონაწილეობისას მაშინაც გვაქვს, როდესაც ერთ-ერთი თანამონაწილე დანაშაულებრივ შედეგს აქტიურად იცილებს თავიდან, დანარჩენები კი მის მოქმედებას ეთანხმებიან. ამ შემთხვევაში თანამონაწილეთა მხოლოდ თანხმობა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესახებ, მათი აქტიური მოქმედების ტოლფასია“.⁹⁴ მოცემული მსჯელობა ჩვენ უნდა გავამყაროთ კიდევ ერთი არგუმენტით, - შესაძლოა ობიექტურად არც იდგეს საჭიროება, რომ რამდენიმე თანამონაწილემ გადაარწმუნოს ან სხვაგვარად ხელი შეუშალოს ამსრულებელს დანაშაულის განხორციელებაში, ამიტომ სავსებით საკმარისია დანარჩენი ამსრულებლის მიერ იმის ცოდნა და სურვილი, რომ ერთ-ერთი თანამონაწილე ამსრულებელს გადაარწმუნებს. ასევე, არ არის აუცილებელი, ყველა თანამონაწილემ ერთდროულად შეატყობინოს ხელისუფლების ორგანოს ამსრულებლის მოსალოდნელი დანაშაულის შესახებ, ხოლო დანარჩენებმა კი გამოავლინონ აღნიშნული თანამონაწილის კონკლუდენტური მოქმედება. ასევე, როდესაც ამსრულებლის გადარწმუნებას შეეხება საკითხი, ხშირ შემთხვევაში უმჯობესია თუ მხოლოდ ერთი პირი განახორციელებს აღნიშნულ მოქმედებას, რადგან პირთა სიმრავლემ შესაძლებელია გადარწმუნების საპირისპირო ეფექტი მოგვცეს.

თავი V. თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაციის სხვადასხვა პრობმელატური საკითხები

5.1. თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაცია ობიექტური და სუბიექტური ნიშნით დამძიმებული ან პრივილეგიური შემადგენლობის არსებობისას

დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი ერთმანეთისაგან განასხვავებს კერძო ნაწილის მარტივ, პრივილეგიურ და კვალიფიციურ შემადგენლობებს. მარტივ შემადგენლობასთან გვაქვს საქმე, როდესაც სახეზეა უმართლობა მისი დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების გარეშე. პრივილეგიური შემადგენლობაა მაშინ, როცა კოდექსში მოცემულია ძირითადი უმართლობისაგან განსხვავებული შემადგენლობა, რომელიც აუცილებელ ნიშნად შეიცავს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას, ხოლო დამამძიმებელი გარემოებების არსებობის შემთხვევაში კი ჩვენ გვაქვს უკვე კვალიფიციური შემადგენლობა. ზემოთ ჩამოთვლილი შემადგენლობის ტიპებში მოიაზრება ერთი სს-ვი უმართლობის სხვადასხვა გამოვლინება. აღნიშნულის ნათელი მაგალითია მკვლელობა, რომლის მარტივი შემადგენლობაც არის სსკ-ის 108-ე მუხლი,

ცალკეული ფორმები, თბ., 2011. გვ 115

⁹³ იხ. იქვე

⁹⁴ იხ. იქვე. გვ 116

მკვლევლობის რამდენიმე პრივილეგიური შემადგენლობაა გათვალისწინებული კანონით, ერთ-ერთ მათგანი კი არის მკვლევლობა მსხვერპლის თხოვნით სსკ-ის 110-ე მუხლი; ხოლო რაც შეეხება კვალიფიციურ შემადგენლობას აღნიშნულის მაგალითია სსკ-ის 109-ე მუხლი განზრახ მკვლევლობა დამამძიმებელ გარემოებებში. უნდა ითქვას, რომ აუცილებელი არ არის კვალიფიციური და მარტივი შემადგენლობები კოდექსის სხვადასხვა მუხლში იყოს გათვალისწინებული, ეს წმინდა საკანონმდებლო ტექნიკის საკითხია: მაგალითად ქურდობისას სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილი არის აღნიშნული უმართლობის მარტივი შემადგენლობა, ხოლო მეორე და შემდგომ ნაწილებში არსებული დამამძიმებელი გარემოებები წარმოადგენს ზემოხსენებული უმართლობის კვალიფიციურ შემადგენლობებს. ბუნებრივია შესაძლებელია, რომ კოდექსში გათვალისწინებული იყოს კონკრეტული უმართლობის მხოლოდ მარტივი შემადგენლობა, ან შესაძლოა მარტივ შემადგენლობასთან ერთად იყოს სახეზე კვალიფიციურიც და ასევე შესაძლებელია სახეზე იყოს ერთი უმართლობის სამივე ფორმა: პრივილეგიურიც, მარტივიც და კვალიფიციურიც. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინების გამო განზრახ დანაშაულებში დგება საკითხი ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს სუბიექტური და ობიექტური ნიშნები, რადგან მათი არსებობის პირობებში თანამონაწილის და თანამსრულებლის ქმედების კვალიფიკაციისათვის კანონმდებელი განსხვავებულ მიდგომებს აწესებს. აღნიშნული საკითხი არ დგება გაუფრთხილებლობითი დანაშაულის არსებობის დროს, რადგან მოგვეხსენება, რომ გაუფრთხილებლობის შემთხვევაში ადგილი აქვს პარალელურ ამსრულებლობას და აღნიშნული დანაშაულების ჩადენა არ შეიძლება თანამონაწილეობით. კანონი განზრახ დანაშაულად მიიჩნევს თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებს, თუმცა მათი ბუნებიდან გამომდინარე ბუნებრივია, რომ შეუძლებელია ასევე მათი თანამონაწილეობით ჩადენა.

კანონის ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სსკ ერთმანეთისაგან განასხვავებს სუბიექტური და ობიექტური ნიშნით დამძიმებულ გარემოებებს. ობიექტური ნიშნით დამძიმებული გარემოების არსებობისას ჩვენ სახეზე გვაქვს ქმედების ობიექტურ მხარეში არსებული რომელიმე ნიშანი, რომელიც კონკრეტულ შემადგენლობაში კანონმდებელს გამოტანილი აქვს დამამძიმებელ გარემოებად. ეს ნიშნები შესაძლებელია იყოს ამსრულებელთა და მსხვერპლთა რაოდენობა, მსხვერპლისათვის დამახასიათებელი რაიმე ნიშანი (მაგ: მისი ორსულობა, არასრულწლოვანება), მიყენებული ზიანის ოდენობა, დანაშაულის ჩადენის ხერხი, საშუალება და ა.შ. მოცემულ შემთხვევებში ჩადენილი მომეტებული ხარისხის უმართლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ მოცემული ნიშნებით დამძიმებული შემადგენლობის განხორციელებისას ქმედებას ფაქტობრივი თვალსაზრისით შეუძლია ობიექტურ რეალობაში უფრო დიდი ზიანი გამოიწვიოს და სისხლის სამართლებრივი წესით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს უფრო მეტი ხარისხის ზიანი მიაყენოს. მაგალითად: ორი ან მეტი პირის მკვლევლობა ობიექტური თვალსაზრისით უფრო მეტი ხარისხის უმართლობაა ვიდრე მარტივი მკვლევლობა, რადგანაც პირველ შემთხვევაში ხელყოფილია უფრო მეტი რაოდენობის

სამართლებრივი სიკეთე, ვიდრე მეორე შემთხვევაში და შესაბამისად სახეზეა უფრო დიდი ბოროტება. „მართალია, ობიექტური ნიშნით დამძიმებულ შემადგენლობაში ბრალის ხარისხიც მომატებულია, მაგრამ ეს ამ შემთხვევას დანაშაულის სუბიექტური ნიშნით დამძიმებულ შემადგენლობად ვერ გადააქცევს, რადგან სუბიექტური ნიშნით დამძიმებული შემადგენლობა არ გულისხმობს უმართლობის ხარისხის გაზრდას, არამედ გულისხმობს მხოლოდ ბრალის ხარისხის გაზრდას.“⁹⁵ სსკ-ის კერძო ნაწილის ნორმების ანალიზიდან გამომდინარე ობიექტური ნიშნით დამძიმებული მაკვალიფიცირებელი გარემოებებია: ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, დამნაშავეისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა, დამნაშავეისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნისა ან უმწეო მდგომარეობაში მყოფისა, ჯგუფურად, ოჯახის წევრის მიმართ, ორი ან მეტი პირისა, განსაკუთრებული სისასტიკით, შეკვეთით, წინასწარი შეცნობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ და ა.შ. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა კანონი განსხვავებულ მიდგომას აწესებთ სუბიექტური და ობიექტური ნიშნით დამძიმებული გარემოებით კვალიფიცირებული შემადგენლობების განხორციელებაში თანამონაწილეობის მიმართ. სსკ-ის 25-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, როცა ამსრულებლის ან თანამონაწილის მხარეს არის ისეთი ნიშანი, რომელიც ახასიათებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, მაშინ ეს ნიშანი შეერაცხება სხვა ამსრულებელს ან თანამონაწილეს, რომლის მხარესაც იგი არ არსებობდა, თუ მას ეს ნიშანი შეცნობილი ჰქონდა. გამომდინარე აქედან მოცემული ნორმის თანახმად, თუ სახეზეა ობიექტური ნიშნით დამძიმებული გარემოება, ანუ ისეთი ნიშანი, რომელიც ახასიათებს ქმედებას და აღნიშნული ნიშანი არსებობს ერთ-ერთი თანამონაწილის მხარეს, მაშინ ეს ნიშანი, მოცემული დამამძიმებელი გარემოება შეერაცხება სხვა თანამონაწილეს ან ამსრულებელს თუ მას ეს ნიშანი შეცნობილი ჰქონდა. ობიექტური ნიშნით დამძიმებული გარემოების არსებობის მაგალითია შემდეგი: ოჯახური ვალდებულებისაგან თავის არიდების გამო პეტრეს სურს მოკლავ მისი მეგობარი ქალი, რომელიც მისგან ბავშვს ელოდება, ამიტომაც მან აღნიშნული დანაშაულის განსახორციელებლად მიაკითხა საკუთარ პავლეს, მოახსენა არსებული მდგომარეობა, და სთხოვა მისთვის ძღერმოქმედი შხამის გადაცემა, რაც მიიღო და შემდგომ საკუთარი განზრახვა სისრულეში მოიყვანა. მოცემულ მაგალითში პეტრე არის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მკვლელობის ამსრულებელი სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა ქვ. პუნქტი. საინტერესოა, როგორ შეფასდება ფიზიკური დამხმარის პავლეს ქმედება. მოცემულ შემთხვევაში ჩვენ სახეზე გვაქვს ობიექტური ნიშნით დამძიმებული გარემოება, რომელიც ობიექტურად უფრო დიდი ბოროტებაა, ვიდრე ცალკე აღებული ერთი ადამიანის მკვლელობა, რადგან აღნიშნული დამამძიმებელი გარემოების არსებობისას ხელყოფილია როგორც დედის, ასევე ფეტუსის სიცოცხლეც. ვინაიდან ჩვენ სახეზე გვაქვს ობიექტური ნიშნით კვალიფიცირებული მკვლელობა, ამიტომაც მოცემული დამამძიმებელი გარემოება არის არა ბრალის არამედ ქმედების ნიშანი, მაშასადამე მოცემულ შემთხვევაში ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ სსკ-ის 25-ე

⁹⁵ თოდუა ნ., გურამ ნაჭყებია - 75 საიუბილეო კრებული, თბ., 2016. გვ.24.

მუხლის მე-4 ნაწილით და თანამონაწილე პავლეს ქმედება უნდა შეფასდეს 25. 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა ქვ.პუნქტით, რადგან ის ფაქტი, რომ მსხვერპლი ორსულად იყო მასაც შეცნობილი ჰქონდა; საწინააღმდეგო შემთხვევაში, როდესაც დამხმარეს არ ქონდა შეცნობილი, რომ ის პირი ვის მოსაკლავადაც მან საწამლავი გადასცა ამსრულებელს, იყო თუ არა ორსულად, მაშინ მას ვერ შეერაცხება მოცემული დამამძიმებელი გარემოება და იგი დაისჯება მხოლოდ მკვლელობის მარტივ უმართლობაში სსკ-ის 25.108-ე მუხლში, თანამონაწილეობისათვის, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ ამით შეიცვლება ამსრულებლის ქმედების კვალიფიკაცია, იგი კვლავინდებურად დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობის ამსრულებელია.

რაც შეეხება მეორე კატეგორიის შემთხვევებს, ეს უკანასკნელი დაკავშირებულია სუბიექტური ნიშნით კვალიფიცირებულ და ამავე ნიშნით პრივილეგიურ შემადგენლობებში თანამონაწილეობის საკითხთან. სუბიექტური ნიშნით კვალიფიცირებული ან პრივილეგიური შემადგენლობები ჩვენ სახეზე გვაქვს მაშინ, როდესაც ქმედების სუბიექტური მხარის ნიშნები - მოტივი და მიზანი ქმნის რომელიმე უმართლობის დამამძიმებელ გარემოებას, ან მიზანი არის რომელიმე უმართლობის შემამსუბუქებელი გარემოება. ამ უკანასკნელთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს, რომ „სწორადაა მითითებული იურიდიულ ლიტერატურაში, - მიზნისაგან განსხვავებით, მოტივი არ ქმნის დანაშაულის პრივილეგიურ შემადგენლობას. მისი შექმნა შეუძლია მხოლოდ მიზანს.“⁹⁶ ასეთ დროს განსხვავებით ობიექტური ნიშნით კვალიფიცირებული დელიქტებისაგან, მომატებულია არა უმართლობის, არამედ ბრალის ხარისხი. მაგალითად: როდესაც ანგარების მოტივით ხდება პირის მკვლელობა, ობიექტური თვალსაზრისით ჩადენილია ისეთივე საზოგადოებრივი საშიშროების მატარებელი ქმედება, როგორც ჩვენ გვაქვს შურისძიების მოტივით ჩედენილი მკვლელობის შემთხვევაში, თუმცა ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, კანონმდებელი ანგარების მოტივს დამამძიმებელ გარემოებად გამოყოფს და მას მომეტებულად გაკიცხავს. კანონმდებლობაში არ არის გაწერილი მოტივისა და მიზნის ცნებები, აღნიშნული მინდობილი აქვს დოქტრინას. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, „მოტივი არის ადამიანის მოთხოვნილებით გამოწვეული ბიძგი, ანუ იგი არის ღრმად ინდივიდუალური, ფსიქოლოგიური მოვლენა“⁹⁷ ხოლო რაც შეეხება მიზანს იგი განმარტებულია შემდეგნაირად: „მიზანი არის ადამიანის შეფასებითი მსჯელობის შედეგად ჩამოყალიბებული მისაღწევი აზრობრივი, იდეალური შედეგი, რომელმაც მოტივის დაკმაყოფილება უნდა გამოიწვიოს.“⁹⁸ მიზნისა და მოტივის, როგორც ქმედების მაპრივილეგიურებელ, ასევე მაკვალიფიცირებელ გარემოებად არსებობის შემთხვევაში ჩვენ სახეზე გვაქვს ბრალის და არა ქმედების ნიშანი. ასეთ დროს, როგორც უკვე ითქვა მომეტებულია არა უმართლობის საშიშროების, არამედ ბრალის ხარისხი. „იგი ბრალის ნიშანია იმდენად, რამდენადაც ამგვარი მიზნით ან მოტივით დანაშაულის ჩადენა მეტყველებს იმაზე, რომ პირი მეტი, ან პირიქით, ნაკლები ხარისხის უპასუხისმგებლობას ამჟღავნებს ნორმატიული ვალდებულების (საზოგადოებრივი

⁹⁶ თოდუა ნ., გურამ ნაჭყებია - 75 საიუბილეო კრებული, თბ., 2016.გვ24.

⁹⁷ დვალაძე, ი.,სადისერტაციო ნაშრომი „მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციაზე და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე“, 2008:გვ 55

⁹⁸ იხ.იქვე გვ 30

მოთხოვნების) მიმართ.“⁹⁹ თუმცა სუბიექტური ნიშნით დამძიმებული ან მოცემული ნიშნით პრივილეგიური შემადგენლობებისაგან უნდა განვასხვავოთ ჩვენ ისეთი ვითარება, როდესაც მოტივი ან მიზანი, კი არ ქმნის უმართლობის დამამძიმებელ ამ შემამსუბუქებელ გარემოებას, არამედ უშუალოდ აფუძნებს რომელიმე კონკრეტულ უმართლობას. აღნიშნულის ნათელი მაგალითა სსკ-ის 177-ე მუხლი, რომლის მარტივი შემადგენლობა გამოიხატება შემდეგნაირად: სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. მოცემულ შემადგენლობაში, ერთი შეხედვით, ჩვენ შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი არის ბრალის ნიშანი, რამეთუ მიზანი ქმედების სუბიექტური მხარის ნიშანია, რომელიც მეტყველებს პირის ნაკლებ ან მომეტებულ გასაკიცხაობაზე, თუმცა ამ შემთხვევაში განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე, რადგან ზემოთ მოცემული მიზანი წარმოადგენს ქმედების მარტივი შემადგენლობის, მასასადამე უმართლობის დამაფუძნებელ ნიშანს, ურომლისოდაც საერთოდ არ არსებობს ქურდობის უმართლობა. „მიზნით დაფუძნებულ დელიქტები არის ისეთი დელიქტები, რომლებსაც განსაკუთრებული სუბიექტური წინაპირობები ესაჭიროებათ, განსაკუთრებით ქურდობა, ვისაც არ გააჩნია ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზანი, იგი ვერ იქნება მისი ამსრულებელი.“¹⁰⁰ აღნიშნულ გარემოებას დიდი მნიშვნელობა გააჩნია თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაციისათვის, კერძოდ მიზნითა და მოტივით დაფუძნებულ დელიქტებში არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმას თანამონაწილის მხარეს არსებობს თუ არა აღნიშნული ნიშნები, მთავარია მას გაცნობიერებული ქონდეს, რომ იგი ამსრულებელს ეხმარება კონკრეტული უმართლობის განხორციელებაში. ამდენად მოცემული შემთხვევების გადასაწყვეტად ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ სსკ-ის 25-ე მუხლის არა მე-5, არამედ კვლავინდებურად მე-4 ნაწილის შესაბამისად, რომლის თანახმადაც, როცა ამსრულებლის ან თანამონაწილის მხარეს არის ისეთი ნიშანი, რომელიც ახასიათებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, მაშინ ეს ნიშანი შეერაცხება სხვა ამსრულებელს ან თანამონაწილს, რომლის მხარესაც იგი არ არსებობდა, თუ მას ეს ნიშანი შეცნობილი ჰქონდა.

აღნიშნული ტიპის შემთხვევებისაგან განსხვავდება ისეთი ვითარება, როდესაც მოტივი ან მიზანი ქმნის დანაშაულის კვალიფიციურ შემადგენლობას, ან მიზანი არის მაპრივილეგირებელი გარემოება. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ „მოტივისაგან განსხვავებით, მიზანს უნდა მივაწეროთ პრივილეგიური შემადგენლობის შექმნის შესაძლებლობა.“¹⁰¹ ასეთ შემთხვევებში აღნიშნული ნიშნები ბრალის ნიშნებად მიაზრება იმდენად, რამდენადაც „ამგვარი მიზნით ან მოტივით დანაშაულის ჩადენა მეტყველებს იმაზე, რომ პირი მეტი, ან პირიქით, ნაკლები ხარისხს უპასუხისმგებლობას ამჟღავნებს ნორმატიული ვალდებულების (საზოგადოებრივი მოთხოვნების) მიმართ.“¹⁰² აღნიშნულის ნათელი მაგალითია, მკვლელობა ჩადენილი სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით, ასეთ დროს პირის მომეტებული გაკიცხვის საფუძველი არის ის, რომ იგი

⁹⁹ თოდუა ნ., გურამ ნაჭყებია - 75 საიუბილეო კრებული, თბ., 2016გვ 30.

¹⁰⁰ Heinrich, AT II (2010) Rn. 1198

¹⁰¹ დვალიძე, ი.,სადისერტაციო ნაშრომი „მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე“, 2008;გვ 55

¹⁰² თოდუა ნ., გურამ ნაჭყებია - 75 საიუბილეო კრებული, თბ., 2016. გვ 30.

აღნიშნული ამორალური მიზნით, დამნაშავეს გადასარჩენად უდანაშულო ადამიანს იმეტებს სასიკვდილოდ. რაც შეეხება მიზნით პრივილეგირებულ შემადგენლობებს, აღნიშნულის ქრესტომათიული მაგალითია სსკ-ის 110-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სს პასუხისმგებლობას მსხვერპლის თხოვნით ჩადენილი მკვლელობისათვის. ასეთ შემთხვევებში ამსრულებლის ბრალის ხარისხი ნაკლებია, რადგან იგი მსხვერპლის დაჟინებული თხოვნით და მისი ნამდვილი ნების შესაბამისად კლავს მას ისეთი ადამიანური მიზნით, როგორცაა მომკვდავის ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან გათავისუფლების მიზანი. სწორედ აღნიშნულისდა გამო კანონმდებლის მიერ მოცემული ნორმა გატანილია ცალკე, როგორც მკვლელობის უმართლობის პრივილეგიური შემადგენლობა. მოცემულ შემთხვევებში, როდესაც სახეზეა არა ქმედების არამედ ბრალის ნიშნები, თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაციისას ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ სსკ-ის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილით, რომლის თანახმადაც პერსონალური ნიშანი, რომელიც ბრალისთვის ანდა ერთ-ერთი ამსრულებლის ან თანამონაწილის პიროვნებისათვის არის დამახასიათებელი, შეერაცხება იმ ამსრულებელს ან თანამონაწილეს, რომელსაც იგი ახასიათებს. როგორც ვხედავთ მოცემულ ნორმაში საუბარია პერსონალურ ნიშანზე, რომელიც არის ორი სახის: 1) ბრალის ნიშანი და 2) ამსრულებლის ან თანამონაწილის პიროვნებისათვის დამახასიათებელი ნიშანი. ეს უკანასკნელი შესაძლებელია იყოს ისეთი ნიშანი, რომელიც მხოლოდ მის მატარებელ პირს ახასიათებს, რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა მკაცრად პერსონალურ ფაქტორებთან, მაგალითად: მკვლელობაში გაუქარწყლებელი ნასამართლობის ფაქტი, აღნიშნული დანაშაულის არაერთგზის ჩადენისას, სქესობრივ დანაშაულთა თავში არსებული ქმედებების ადრე ჩამდენის მიერ გაუპატიურების შემადგენლობის განხორციელება, სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობაზე ყოფნა ქრთამის აღებისას და ა.შ. ზემოთ მოცემულ ნორმაში კანონმდებელი აცხადებს, რომ ასეთი ნიშნები შეერაცხება მხოლოდ იმ ამსრულებელს ან თანამონაწილეს, რომელსაც იგი ახასიათებს და არ გადავა სხვა პირზე, შესაბამისად იმ შემთხვევაში, როდესაც დამხმარე პეტრე ამსრულებელ პავლეს გადასცემს საწამლავს ივანეს მოსაკლავად, რათა ამსრულებელმა თავიდან აიცილოს ივანეს მხრიდან წარსულში ჩადენილი ქურდობის გამო მისი პოლიციაში დასმენის ფაქტი, ჩვენ ამსრულებლის ქმედება უნდა შევაფასოთ სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გ. ქვ.პუნქტით, როგორც მკვლელობა ჩადენილი სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით. მოგვეხსენება, რომ აღნიშნული მიზანი წარმოადგენს არა ქმედების არამედ ბრალის ნიშანს, რომელიც მიუთითებს პირის მომეტებულ გასაკიცხაობაზე, თუმცა სსკ-ის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის დანაწესებიდან გამომდინარე დამხმარე პეტრე პასუხს აგებს მარტივ მკვლელობაში დახმარებისათვის, რადგან ზემოთ აღნიშნული მიზანი მას არ ახასიათებს, მიუხედავად იმისა, რომ მას შეცნობილი ქონდა ის ფაქტი, თუ რისთვის სჭირდებოდა პავლეს მის მიერ გადაცემული საწამლავი. ანალოგიურადვე გადაწყდება საკითხი, როდესაც ჩვენ სახეზე გვაქვს პერსონალური ნიშანი. მაგალითად ქურდობისათვის გაუქარწყლებელი ნასამართლობის მქონდე პავლე ჩაიდენს ყაჩაღობას, რისთვისაც იგი გამოიყენებს სუფთა წარსულის მქონე ივანეს მიერ წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი საქმიანობის გასაადვილებლად

გადაცემულ ცეცხლსასროლ იარაღს. ამ შემთხვევაშიც ამსრულებელი დაისჯება არაერთგზისი ყაჩაღობის ჩადენისათვის, ხოლო დამხმარე კი ყაჩაღობის ნაწილში დაისჯება მხოლოდ სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილისათვის, რადგან პერსონალური ნიშანი, რომელიც ამსრულებელს ახასიათებდა მასზე არ გადავა მიუხედავად იმისა, რომ მას ეს ნიშნი შეცნობილი ჰქონდა.

ხოლო რაც შეეხება ისეთ შემთხვევას როდესაც ამსრულებლის მხარეს არსებობს შემამსუბუქებელი, ხოლო თანამონაწილეს კი ახასიათებს რომელიმე დამამძიმებელი გარემოება, აღნიშნულის მაგალითად გამოდგება ისეთი ვითარება, როცა ამსრულებელი კლავს უკურნებელი სენით დაავადებულ პირს მისივე თხოვნით მომაკვდავის ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან გათავისუფლების მიზნით, ხოლო აღნიშნული მკვლელობის წამქეზებელი კი არის პირი, რომელსაც მომაკვდავის ვალი აქვს და სწორედ მოცემული ვალდებულებისაგან გათავისუფლების მიზნით დაიყოლიებს იგი ამსრულებელს¹⁰³. მოცემულ შემთხვევაში ორივე პირს ახასიათებს ბრალის ნიშნები. ამსრულებლის ქმედება ამ შემთხვევაში შეფასდება სსკ-ის 110-ე მუხლით, თანამონაწილე პასუხს აგებს არა ამგარების მოტივით ჩადენილ მკვლელობაში თანამონაწილეობისათვის (სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვ.პუნქტი), არამედ მარტივი მკვლელობის წაქეზებისათვის (სსკ-ის 108-ე მუხლი). აღნიშნული გამოწვეულია იმიტომ, რომ „როცა ამსრულებლის ქმედება კვალიფიცირდება დანაშაულის ძირითადი შემადგენლობის მუხლით (ამ შემთხვევაში სსკ 108-ე მუხლით), შეუძლებელია თანამონაწილის ქმედება დაკვალიფიცირდეს დამამძიმებელი გარემოებით (ამ შემთხვევაში სსკ 109-ე მუხლით), რადგანაც სსკ-ის კერძო ნაწილის მუხლები იწერება არა თანამონაწილეზე არამედ ამსრულებელზე.“¹⁰⁴ აღნიშნული აზრი პირდაპირ გამომდინარეობს სსკ-ის 25-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან, რომლის თანახმადაც ორგანიზატორის, წამქეზებლისა და დამხმარის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით, ამ მუხლზე მითითებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი იმავდროულად დანაშაულის თანამსრულებლები იყვნენ. მოცემული ჩანაწერი ნიშნავს, რომ სსკ-ის კერძო ნაწილის მუხლებში მოიაზრება მხოლოდ ამსრულებელი და სწორედ ამიტომ არის საჭირო თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაციისას კერძო ნაწილის შესაბამის მუხლთან ერთად ზოგადი ნაწილის მუხლის მითითებაც. „ამიტომ ანგარებით მკვლელობაში თანამონაწილეობა სახეზე შეიძლება იყოს მაშინ, თუ თავად ამსრულებელი მოქმედებდა ანგარებით და მასთან ერთად თანამონაწილესაც იგივე მოტივი ამომრავებდა.“¹⁰⁵ ამდენად ამ შემთხვევაში თანამონაწილეს არ შეეცლება მხოლოდ ამსრულებლის მხარეს არსებული ბრალის ნიშანი - მსხვერპლის ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან გათავისუფლების მიზანი, რომელიც ამსრულებლის მხარეს არსებობს და ბრალს ამსუბუქებს, თანამონაწილეს ასევე არ შეეცლება

¹⁰³ თოდუა ნ., გურამ ნაჭყებია - 75 საიუბილეო კრებული, თბ., 2016. გვ 30.. გვ 35

¹⁰⁴ იხ.იქვე. გვ 34

¹⁰⁵ იხ.იქვე. გვ 37

მკვლევლობის კვალიფიციური შემადგენლობაც, რადგან ამსრულებლის ქმედება დაკვალიფიცირდა არა დამამძიმებელი გარემოებით, არამედ მკვლევლობის უმართლობის პრივილეგიური შემადგენლობით, ამიტომაც თანამონაწილე დაისჯება მარტივი მკვლევლობის წაქეზებისათვის სსკ-ის 108-ე მუხლი, ხოლო ანგარების მოტივი კი გაითვალისწინება სასჯელის განსაზღვრისას.

5.2. კვალიფიკაციის პრობლემა სპეციალური სუბიექტის მიერ ჩადენილ დანაშაულში თანამონაწილეობისას

სსკ-ის კერძო ნაწილის მთელი რიგი მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების ამსრულებელი შესაძლებელია, რომ იყოს მხოლოდ სპეციალური სუბიექტი, ანუ სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილი. მაგალითად სამოხელეო დანაშაულთა თავით გათვალისწინებულ ქმედებათა ამსრულებელი შესაძლებელია იყოს მხოლოდ მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი, მითვისების ან გაფლანგვის ამსრულებელი შესაძლებელია იყოს მხოლოდ ის პირი ვისაც მართლზომიერ მფლობელობაში აქვს გადაცემული შესაბამისი ქონებრივი სიკეთე და ა.შ. აღნიშნულ საკითხს არეგულირებს სსკ-ის 25-ე მუხლის მე-6 ნაწილი, რომლის თანახმადაც: ისეთ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, რომლის ამსრულებელი შეიძლება იყოს ამ კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი დანაშაულის სპეციალური სუბიექტი, პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება როგორც ორგანიზატორს, წამქეზებელს ან დამხმარეს. „კანონი ლაპარაკობს იმ დანაშაულის თანამონაწილეობაზე, რომლის ამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ „სპეციალური სუბიექტი“. ტერმინი „სპეციალური სუბიექტი“ უთუოდ გულისხმობს „სპეციალურ ამსრულებელს“, რომელსაც ის თვისებები გააჩნია, რაც ამ დანაშაულის ამსრულებლობისათვის არის საჭირო.“¹⁰⁶ „თავისებურება ახლავს თანამსრულებლობას სპეციალურ დელიქტებში. სპეციალური დელიქტია ისეთი შემადგენლობა, რომლის ამსრულებლობა შეუძლია მხოლოდ სპეციალური მოვალეობით აღჭურვილს.“¹⁰⁷ ზემოთ თქმულიდან დამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ კანონი დაუშვებლად მიიჩნევს ისეთი დანაშაულის ამსრულებლობას საერთო სუბიექტის მიერ, რომლის ამსრულებელიც სსკ-ის კერძო ნაწილის შესაბამისად შეიძლება, რომ იყოს მხოლოდ სპეციალური სუბიექტი. საერთო სუბიექტის მიერ შესაძლებელია აღნიშნული დელიქტების ორგანიზება, მის ჩასადენად სპეციალური სუბიექტის წაქეზება და მოცემულ დანაშაულთა ჩასადენად სპეციალური სუბიექტის დახმარება.

პრაქტიკაში შესაძლებელია გვექონდეს შემთხვევა, როდესაც მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული დანაშაულის ჩადენა შეუძლია მხოლოდ სპეციალურ ამსრულებელს, საერთო სუბიექტი მაინც ახერხებს, რომ განახორციელოს ქმედების მთლიანი ობიექტური შემადგენლობა ან მისი ნაწილი. აღნიშნული შემთხვევის მაგალითად ხშირად არის ხოლმე მოყვანილი მითვისების ან გაფლანგვის შემთხვევა, როდესაც მითვისების სუბიექტი, შესაბამისი საწარმოს საწყობის გამგე, რომელსაც მინდობილი

¹⁰⁶ გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი III, თბ., 2013. გვ 284

¹⁰⁷ იხ. იქვე გვ 264

აქვს ქონება მართლზომიერ მფლობელობაში, იხელთებს დროს და შეატყობინებს საკუთარ ცოლს, რათა მათ ერთად ამოიღონ ქონება და ეს უკანასკნელი მიუერთონ საკუთარ ქონებრივ ფონდებს. ასეთ შემთხვევაში, თუ ქმარმა საკუთარ ცოლთან ერთად ამოიღო საწყობიდან ქონება და თავის ქონებრივ ფონდებს მიუერთა, ქმრის მხრიდან სახეზეა მითვისება, მის მიერ ჩადენილია მითვისების ობიექტური შემადგენლობა, კერძოდ ორგანიზაციის ქონებრივი ფონდებიდან მის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ნივთის ამოღება და მოცემული ნივთის საკუთარი ქონების მიერთება. მოცემულ შემთხვევაში ფაქტობრივი თვალსაზრისით ცოლიც ახორციელებს მითვისების ობიექტურ შემადგენლობას, კერძოდ ცოლმაც ამოიღო საწყობიდან ქონებრივი სიკეთე და ეს უკანასკნელი მათი ოჯახის ქონებას მიუერთა. აღნიშნულის მიუხედავად ჩვენ მაინც არ გვაქვს სახეზე ჯგუფურად ჩადენილი მითვისება, რადგან ცოლი, ქმრისაგან განსხვავებით, სპეციალური სუბიექტი არ არის, მას კანონიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში არ აქვს მინდობილი შესაბამისი ქონება. ამიტომაც აღნიშნული ქმედების გადასაწყვეტად ჩვენ უნდა მოვიშველიოთ სსკ-ის 25-ე მუხლის მე-6 ნაწილი, რომელიც გვეუბნება რომ ისეთ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, რომლის ამსრულებელი შეიძლება იყოს ამ კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი დანაშაულის სპეციალური სუბიექტი, პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება როგორც ორგანიზატორს, წამქეზებელს ან დამხმარეს. ამიტომაც ასეთ შემთხვევაში ცოლის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც მითვისებაში ფიზიკური დახმარება. „თანამსრულებლობა გამორიცხულია, როდესაც ერთი ამსრულებელი სპეციალური სუბიექტია და მეორე არა. ასევე არ შეიძლება საკუთარი ხელით ჩასადენი დანაშაულის (მაგ.საქ.სსკ. 389-ე მუხლი - დეზერტირობა) თანამსრულებლობა. შესაბამის დანაშაულებში მონაწილე ყველა დანაჩენი პირები იყვნენ - ორგანიზატორი, წამქეზებელი ან დამხმარე, ე.ი. ამ დროს შესაძლებელია მხოლოდ ვიწრო გაგებით თანამონაწილეობა.“¹⁰⁸ მოცემულ ვითარებაში ჩვენ სახეზე გვაქვს ერთგვარი სამართლებრივი ფიქცია, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ცოლმა ფაქტობრივი თვალსაზრისით განახორციელა ქმედების ობიექტური შემადგენლობა რაც ამსრულებლობისათვის არის დამახასიათებელი, მაგრამ სამართლებრივი თვალსაზრისით მისი ქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც მითვისებაში დახმარება და არა აღნიშნული დანაშაულის ამსრულებლობა. „იმ შემთხვევაში, როდესაც, კანონი დანაშაულის შემადგენლობაში ითვალისწინებს სპეციალური სუბიექტის არსებობას, შესაბამისად ამ დანაშაულთა თანამსრულებლებიც მხოლოდ სპეციალური სუბიექტები უნდა იყვნენ.“¹⁰⁹ მოცემულ შემთხვევაში სსკ-ის 25-ე მუხლის მე-6 ნაწილში არსებულ სიტყვებში „ისეთ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის“ იგულისხმება არა მხოლოდ თანამონაწილეობა ვიწრო გაგებით კერძოდ არა მხოლოდ ორგანიზატორი, წამქეზებელი ან დამხმარე, არამედ მოცემულ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია ვიგულისხმოთ თანამონაწილეობა ფართო გაგებითაც, რომლის თანახმადაც, ზემოთ ჩამოთვლილ ფიგურებთან ერთად

¹⁰⁸ გვენცაძე ე.სადისერტაციო ნაშრომი, თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე.თბილისი 2012 გვ 85

¹⁰⁹ იხ.იქვე. გვ 85

თანამონაწილეებში მოიაზრება ასევე ფაქტობრივი ამსრულებელიც. გამომდინარე აღნიშნულიდან ასეთ შემთხვევაში ცოლის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც მითვისებაში დახმარება. „თანაბრალეულობის ძირითად მახასიათებლად ითვლება ის, რომ ყველა ამსრულებელი მთლიანად ან ნაწილობრივ უშუალოდ ასრულებს დანაშულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს. ამიტომაც კანონის მოთხოვნა, რომელიც ეხება ამსრულებელს, ვრცელდება ვრცელდება ყველა თანაბრალეუზე გამონაკლისის გარეშე (თანამონაწილეობა სპეციალური სუბიექტის შემთხვევაში), თუ თანაბრალეულთა შორის არიან ისეთი პირები, რომელთაც არ აქვთ სპეციალური სუბიექტისათვის დამახასიათებელი ნიშნები, მაშინ ისინი უნდა განვიხილოთ, როგორც დამხმარეები.“¹¹⁰

5.3 ამსრულებლის ექსცესი

სსკ-ის თანახმად, ამსრულებლის ექსცესი ნიშნავს ამსრულებლის მიერ ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას, რომელსაც არ მოიცავდა სხვა თანაამსრულებლის ან თანამონაწილის განზრახვა. მოცემული ნორმიდან გამომდინარე ვხედავთ, რომ ექსცესის ჩადენა შეუძლია მხოლოდ ამსრულებელს, მისი ჩადენა არ შეუძლია თანამონაწილეს. აღნიშნულ შემთხვევაში ამსრულებელი სჩადის ისეთ ქმედებას, რომელიც თანამონაწილესთან ან თანაამსრულებელთან არ იყო შეთანხმებული და შესაბამისად მათი განზრახვით არ იყო მოცული ამსრულებლის აღნიშნული ქმედება. არსებობს ორი სახის ექსცესი: რაოდენობრივი და თვისობრივი. რაოდენობრივი ექსცესის დროს პირი სჩადის უფრო საშიშ დანაშაულს ვიდრე ეს თანამონაწილესთან ან თანაამსრულებელთან იყო შეთანხმებული, მაგრამ ამ დროს იგი კვლავინდებუად აზიანებს იმავე სახეობის სამართლებრივ სიკეთეს, რაც მათ ერთმანეთთან ჰქონდათ შეთანხმებული. აღნიშნულის მაგალითია ისეთი ვითარება, როდესაც პირი მეორე პირს ცემისათვის წააქეზებს და ეს უკანასკნელი კი დაზარალებულს ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას მიაყენებს, ორივე შემთხვევაში ხელყოფილია ერთი და იგივე სახეობითი სამართლებრივი სიკეთე, ადამიანის ჯანმრთელობა.

რაც შეეხება თვისობრივ ექსცესს, ამ დროს ამსრულებელი სჩადის უფრო საშიშ დანაშაულს, რომელიც ხელყოფს არა იმავე გვარეობით სამართლებრივ სიკეთეს, არამედ თვისობრივად განსხვავებულ სამართლებრივ სიკეთეს. მაგალითად: პირი ქურდობისათვის შევიდა საცავში და იქ შემთხვევით შემოსწრებული მესაკუთრე მოკლა და ა.შ.

„ამსრულებლის ექსცესად არ ითვლება წამქეზებლის ალტერნატიული წაქეზების დროს (მაგ: ქურდობის, ძარცვის ან ყაჩაღობის ჩასადენად) ამსრულებლის მიერ წამქეზებლის განზრახვით მოცული ერთ-ერთი დანაშაულის განხორციელება.“¹¹¹

¹¹⁰ გვენცაძე ე., სადისერტაციო ნაშრომი, თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე. თბილისი 2012გვ 72

¹¹¹ მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2011. გვ 250.

ამსრულებლის ექსცესის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, სხვა თანამსრულებელსა და თანამონაწილეს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ ქმედებისათვის რაც ამსრულებელმა მათთან შეთანხმების გარეშე ჩაიდინა. ეს თანამონაწილე პასუხს აგებს მხოლოდ იმ დანაშაულისათვის, რაც ამსრულებელმა არსებული შეთანხმების ფარგლებში ფაქტობრივად განახორციელა. მაგალითად: წამქეზებელმა წააქეზა ამსრულებელი ქურდობის ჩასადენად, მაგრამ ამსრულებელს, ვიდრე იგი ნივთს დაეუფლებოდა, თავზე დაადგა ნივთის მესაკუთრე, ამიტომაც იგი იძულებული გახდა ნივთის დასაუფლებლად გამოეყენებინა სიცოცხლისათვის საშიშ ძალადობის მუქარა. ამ დროს ამსრულებლის მიერ ჩადენილი ქურდობა მცდელობის სტადიაზე გადაიზარდა ყაჩაღობაში და იგი სწორედ ამ უკანასკნელი დანაშაულისათვის დაისჯება. ხოლო რაც შეეხება წამქეზებელს, იგი დაისჯება მხოლოდ ქურდობის მცდელობაში თანამონაწილეობისათვის, რადგან მისი განზრახვით მოცული იყო ქურდობა, რომელიც შეჩერდა მცდელობის სტადიაზე. ანალოგიურადვე წყდება საკითხი, როდესაც სახეზე გვაქვს შუალობითი ამსრულებლობა. თუ „ცოცხალმა იარაღმა“ უფრო მძიმე დანაშაული ჩაიდინა, შუალობითი ამსრულებელი დაისჯება იმ დანაშაულისათვის, რომლის ჩასადენადაც მან დაიყოლია ის პირი, ვისაც არ დაეკისრება სს პასუხისმგებლობა. მაგალითად შუალობითმა ამსრულებელმა პავლემ 13 წლის პეტრე დაიყოლია ივანეს მძევლად ხელში ჩაგდებისათვის. თუ ცოცხალმა იარაღმა ასეთ დროს მძევლად ხელში ჩაგდებასთან ერთად, განახორციელა დაზარალებულის წამება და შემდგომ ის მოკლა, მაშინ ბუნებრივია, რომ შუალობითმა ამსრულებელმა პასუხი უნდა აგოს მხოლოდ მძევლად ხელში ჩაგდებისათვის, რადგან სხვა მართლსაწინააღმდეგო შედეგი მისი განზრახვით არ იყო მოცული.

თავი VI.

1. თანამონაწილეობა უმოქმედობით

საკუთარი სამართლებრივი და ფაქტობრივი ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია დანაშაულის უმოქმედობით ორგანიზება და წაქეზება, თუმცა დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, შესაძლებელია დანაშაულში უმოქმედობით დახმარება. ეს დაკავშირებულია ისეთ შემთხვევასთან, როდესაც გარანტი ხელს არ უშლის მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის მიმართ სხვა პირის დანაშაულებრივ ქმედებას. მაგალითად: „ბავშვს მეზობელი სცემს, მშობელი კი მას არ ეხმარება, თუმცა მას ეს შეეძლო, რადგან ფიქრობს რომ ერთი მაგარი გატყუპა მის შვილს არ აწყენდა.“¹¹² თუმცა, ვიდრე აღნიშნულ საკითხს ჩავუღრმავებოდეთ, ჩვენ უნდა ვიმსჯელოთ უმოქმედობის არსზე და მისი მიზეზობრიობის კომპონენტებზე. სისხლის სამართლებრივად რელევანტური ქმედება ვიცით რომ შესაძლებელია გამოიხატოს, როგორც მოქმედებაში, ასევე უმოქმედობაშიც. ეს უკანასკნელი არ

¹¹² მჭედლიშვილი-ჭედრიძე ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2011. გვ 354

წარმოადგენს მიზეზობრიობის წარმართველს და ამიტომაც, კანონმდებელმა შემოიღო უმოქმედობის მიზეზობრიობის სპეციალური ნორმა. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უმოქმედობა იმ შემთხვევაში ჩაითვლება მართლსაწინააღმდეგო შედეგის ან კონკრეტული საფრთხის შექმნის აუცილებელ პირობად, როდესაც პირს ეკისრებოდა 1) მოქმედების სამართლებრივი მოვალეობა; 2) ჰქონდა ასეთი მოქმედების შესაძლებლობა; 3) სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედებით შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული. გარანტის მოვალეობას ძირითად შემთხვევებში აფუძნებს: ნათესაური ან სხვა მჭიდრო ურთიერთობა, პირის წინარე მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მოველეობის ნებაყოფლობით აღება საკუთარ თავზე, სამსახურებრივი პროფესიული საქმიანობა, პასუხიემგებლობა მომეტებული საფრთხის წყაროსათვის, რაც პირის კომპეტენციაში შედის, ასევე სოციალური ჯგუფის შექმნა, რომლის წევრებიც ურთიერთთანხმობის საფუძველზე ერთმანეთს თანადგომის იმედით ნებაყოფლობით დგანან ერთნაირი საფრთხის წინაშე და კანონი.¹¹³ გარანტი მასზე დაკისრებული მოვალეობის არსიდან გამომდინარე შეიძლება იყოს ორი სახის: დამცავი და ზედამხედველი. მათი ფუნქციები და შინაარსი განსხვავდება ერთმანეთისაგან. ზედამხედველი გარანტის მოვალეობა გულისხმობს „საფრთხის წყაროს მხრიდან მომდინარე საფრთხის აღკვეთის მოვალეობას იმ პირის მხრიდან, ვისაც ევალება ამ საფრთხის თავიდან აცილება“¹¹⁴. რაც შეეხება დამცავ გარანტს, მას გააჩნია „განსაცდელში მყოფი პირის დაცვის მოვალეობა იმ პირის მხრიდან, ვისაც აქვს ასეთი დაცვის მოვალეობა“¹¹⁵. შესაძლებელია იყოს ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთმანეთს ემთხვევა, როგორც დამცავი, ასევე ზედამხედველი გარანტის მოვალეობები. მაგალითად: მამა ათი წლის შვილის მიმართ არის დამცავი და ზედამხედველი გარანტიც, მას ევალება დაიცვას საკუთარი შვილი სხვა გარეშე პირთა მხრიდან მომავალი საფრთხისაგან და ასევე, იგი ვალდებულია დაიცვას გარეშე პირები მისი შვილიდან მომდინარე საფრთხისაგან. უნდა აღინიშნოს, რომ პირს/გარანტს, დამცავი გარანტის მოვალეობა ყოველთვის ადამიანის მიმართ გააჩნია, ხოლო ზედამხედველი გარანტის ვალდებულება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს, როგორც ადამიანთან, ასევე ცხოველთან. მაგალითად: პირი საკუთარი ძაღლის ზედამხედველი გარანტია, იგი ვალდებულია, დაიცვას გარშემო მყოფები მისი შინაური ცხოველისაგან გამომდინარე საფრთხისაგან. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ იმისათვის, რათა პირს უმოქმედობისათვის დაეკისროს პასუხისმგებლობა, როგორც ამსრულებელს, ან როგორც დამხმარეს, აუცილებელია რომ სახეზე იყოს უმოქმედობის სამივე პირობა. ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, უმოქმედობის დროს კვალიფიკაცია დამოკიდებულია გარანტის მოვალეობის ხასიათზე. „დამცავი გარანტი, რომელიც თავიდან არ იცილებს მესამე პირს მიერ დანაშაულის ჩადენას, მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის მიმართ ყოველთვის ამსრულებელია, ზედამხედველი გარანტი კი ყოველთვის

¹¹³ ლევკვიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეხუთე გამოცემა, თბ., 2017. გვ.138

¹¹⁴ ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 278

¹¹⁵ იხ. იქვე

დამხმარე“.¹¹⁶ ამსრულებლის თეორიის თანახმად, როდესაც გარნტი მიუხედავად მისი სახისა, დანაშაულებრივ შედეგს თავიდან არ იცილებს, მიჩნეულ უნდა იქნეს ამსრულებლად. აღნიშნული თეორიიდან გამომდინარე, უმოქმედობით დახმარება შესაძლებელია მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში, მაშინ როდესაც, სსკ-ის კერძო ნაწილის შესაბამისი ნორმა ამსრულებლად მხოლოდ სპეციალურ სუბიექტს მოიცავს. ქმედებაზე ბატონობის თეორიის თანახმად, უმოქმედობისას პირი მაშინაა სხვის მიერ განხორციელებული ქმედების თანამსრულებელი, როდესაც იგი ქმედებაზე ბატონობს, ე.ი. როდესაც მას დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობა აქვს და ამის მიუხედავად მაინც არ მოქმედებს და დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევის გადაწყვეტილებას იღებს.¹¹⁷

თანამონაწილეობის თეორია გადაწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ გარანტს ქმედებაზე სრულფასოვანი და რეალური ბატონობის განხორციელება მაშინ შეუძლია, როდესაც ამსრულებელი აქტიური ქმედების განხორციელებას წყვეტს. ასეთ შემთხვევებში, გარანტის უმოქმედობა არ არის შესაბამისი მიზეზობრიობის დამაფუძნებელი და არც აღნიშნული მიზეზობრიობის წარმმართველი ძალა, რომელიც შესაბამის მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში გადაიზრდება, ამიტომაც იგი უმოქმედობისას დამდგარი შედეგის გამოწვევაში თამაშობს მეორე ხარისხოვან როლს, რაც ჩვენ არ გვადლევს იმის საშუალებას, რომ მოცემული ქმედების საშიშროებიდან და ობიექტური თვალსაზრისით დანაშაულში შეტანილი წვლილიდან გამომდინარე, გარანტი მივიჩნიოთ ამსრულებლად, ამიტომაც აღნიშნული თეორიის მიხედვით, გარანტს პასუხისმგებლობა დაეკისრება შესაბამის დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, კერძოდ კი დახმარებისათვის. საბოლოო ჯამში გასაზიარებელია მოსაზრება, რომლის თანახმადაც დამცავი გარანტი, რომელიც არ ასრულებს საკუთარ მოვალეობას ყოველთვის „დამხმარეა და არა ამსრულებელი, რადგან ქმედებაზე სწორედ ის ბატონობს, ვინც დანაშაულის შემადგენლობას ახორციელებს და არა ის, ვინც ამ ქმედებას ხელს არ უშლის“.¹¹⁸ მოცემული საკითხის ასეთნაირად გადაწყვეტა სამართლიანია და იძლევა იმის საშუალებას, რომ გარანტის ქმედება შეფასდეს როგორც მისი საშიშროების, ასევე შესაბამის დანაშაულში მის მიერ შეტანილი „წვლილის“ მიხედვით. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტია ის ფაქტი, რომ კანონით დაცულ სამართლებრივ სიკეთეზე საფრთხე მომდინარეობს არა გარანტის, არამედ მესამე პირის ქმედებისაგან, ხოლო გარანტის უმოქმედობა იმის ექვივალენტურია, რომ გარანტს ამსრულებლისათვის შესაბამისი ქმედების ჩასადენად რაიმე დაბრკოლება მოეხსნა და ამით გაეადვილებინა მისთვის დანაშაულის ჩადენა, ამიტომაც აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია, რომ გარანტის ქმედება შეფასდეს, როგორც შესაბამის დანაშაულში დახმარება.

¹¹⁶ მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2011. გვ 335

¹¹⁷ იხ.იქვე. გვ 356

¹¹⁸ იხ.იქვე. გვ 358

დამცავ გარანტს გაუპატიურებაში დახმარებისათვის დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუ იგი საკუთარი დაცვის ქვეშ მყოფი პირის გაუპატიურების ფაქტს შეესწრება და უმოქმედობას გამოიჩენს, არ აღკვეთავს მოძალადისაგან მომდინარე საფრთხეს იმ პირობებში. მოცემულ მაგალითში გარანტი საკუთარი პასუხისმგებლობით ხელს არ უშლის ამსრულებელს ძალადობრივი დანაშაულის განხორციელებაში, არამედ „თავისი უმოქმედობით ქმნის მავნე შედეგის ხელშემწყობ პირობებს და ამ გზით უადვილებს მას გაუპატიურების ჩადენას, რაც საბოლოოდ ზრდის შედეგის დადგომის შანსს“.¹¹⁹

უმოქმედობის დროს სამართლებრივი გარანტიც და ამსრულებელიც ერთსა და იმავე სამართლებრივ სიკეთეს ხელყოფენ, ამიტომაც ასეთ შემთხვევებში თანამონაწილეობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, ამსრულებელიცა და დამხმარეც ერთსა და იმავე უმართლობის განხორციელებისათვის უნდა დაისაჯოს. „ამგვარი კანონზომიერებიდან გამომდინარე, ამსრულებელი არის მთავარი ფიგურა, რომლის მოქმედება ობიექტური უმართლობის თვალსაზრისით, დამხმარის პასუხისმგებლობის ფარგლებს განსაზღვრავს.“¹²⁰

აღნიშნულ ნაშრომში ერთხელ უკვე გაიჟღერა, რომ, მართალია, დამხმარის ქმედება შედეგთან მიმართებაში მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს, მაგრამ მას მაინც დაეკისრება პასუხისმგებლობა, თუ დადგინდა, რომ ამსრულებელი მისი დახმარების გარეშე განხორციელებდა შესაბამის უმართლობას. აღნიშნული მოსაზრება ჩვენ უნდა განვაგრძოთ ასევე განსახილველ საკითხზედაც, რამეთუ მოგვეხსენება, რომ უმოქმედობა მიზეზობრიობის წარმმართველი არ არის და თუ დანაშაულში მოქმედებით განხორციელებული დახმარებისას არ მოეთხოვება დამხმარის მიზეზობრიობას, რომ იგი დანაშაულის ჩადენის აუცილებელი პირობა ანუ *Conditio sine qua non* იყოს, აღნიშნული არც მაშინ არის აუცილებელი, როდესაც ჩვენ საქმე გვაქვს გარანტის მიერ გამოჩენილ უმოქმედობასთან მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის დროს. „ზედამხედველის ქმედების დახმარებად კვალიფიცირებისათვის მთავარი არის იმის დადგენა, რომ მისი, როგორც დამხმარის უმოქმედობა არის თუ არა ჩართული კონკრეტულ შედეგის გამომწვევ მიზეზობრიობაში და უსწრებდა თუ არა დროის მიხედვით წინ მისი, ¹²¹როგორც დამხმარის უმოქმედობა ამსრულებლის ქმედებას და, ზოგადად, დამდგარ შედეგს“.

რაც შეეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც ზედამხედველი გარანტი იჩენს უმოქმედობას და იგი არ აღკვეთს მისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი შეურაცხადი პირის მიერ მართლსაწინააღმდეგო შედეგის გამოწვევას, აღნიშნულ შემთხვევაში ჩვენ სახეზე არ გვაქვს დახმარება, არამედ ზედამხედველი გარანტი უნდა დაისაჯოს შუალობითი ამსრულებლობისათვის. როგორც უკვე აღინიშნა, ქართული სისხლის

¹¹⁹ გაბარაევი, ი. პასუხისმგებლობა გაუპატიურების უმოქმედობით ჩადენისათვის სამართლის ჟურნალი, თბ 2017, N2, გვ 257.

¹²⁰ იხ.იქვე.

¹²¹ იხ.იქვე.

სამართალი იზიარებს დანაშაულში ლოგიკური აქცესიონის პრინციპს, რომლის თანახმადაც, თანამონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ დანაშაულში და არა სს უმართლობაში. გამომდინარე აქედან, ასეთ შემთხვევაში თანამონაწილეობა გამორიცხულია, რადგან ფაქტობრივი ამსრულებელი არ არის ბრალუნარიანი. გავრცელებული მოსაზრების თანახმად, შუალობითი ამსრულებლობა შესაძლებელია წამქეზებლობის ფორმით, თუმცა დოქტრინაში არსებული მართებული მოსაზრების თანახმად, როდესაც ზედამხედველი გარანტი თავისი დაცვის ქვეშ მყოფი შეურაცხადი პირის საქმიანობაში არ ერევა, თუმცა მას ეს შეეძლო, იგი შეურაცხადი ამსრულებლის მოქმედების მოტივს განამტკიცებს და გარეგნულად ფსიქიკური დამხმარის როლში გამოდის.¹²²

დოქტრინაში აზრთა სხვადასხვაობაა იმ შემთხვევასთან მიმართებაში, როდესაც ერთი სამართლებრივი გარანტი მოქმედებით ასრულებს ქმედების შემადგენლობას, ხოლო მეორე გარანტი კი ასეთ დროს უმოქმედობას იჩენს და არ ეხმარება მის დაცვის ქვეშ მყოფ პირს. ჩემი აზრით, ასეთ შემთხვევაში პასიური გარანტის უმოქმედობა უნდა შეფასდეს, არა როგორც ამსრულებლობა, არამედ უმოქმედობით დახმარება. აღნიშნულ შემთხვევაში გასაზიარებელია ლიტერატურაში გამოთქმული არგუმენტები, რომლის თანახმადაც „როდესაც დანაშაულს მოქმედებით უშუალო ამსრულებელი ჰყავს, სამართლებრივი გარანტის უმოქმედობა დახმარებად კვალიფიცირდება და არა ამსრულებლობად.“¹²³ ასეთ შემთხვევებში, ჩემი აზრით, უნდა გამოვიდეთ ქმედების შინაარსიდან, კერძოდ მოცემული მაგალითიდან გამომდინარე ფაქტობრივი თვალსაზრისით, არანაირი განსხვავება არ არის ისეთი შემთხვევისაგან როდესაც უშუალოდ ძალადობის ფაქტს ახორციელებს არა რომელიმე გარანტი, არამედ სრულიად უცხო გარეშე პირი, ორივე ვითარებაში პასიური გარანტი ვალდებულია გამოიჩინოს აქტიურობა და დაეხმაროს მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს, მაშასადამე თუ ამ უკანასკნელ შემთხვევასთან მიმართებაში პასიური გარანტის ქმედება დახმარებად ფასდება, გაუგებარია რატომ უნდა შეფასდეს მისი ქმედება ამსრულებლობად, როდესაც დანაშაულებრივ მოქმედებას მეორე გარანტი ასრულებს, რადგან მსხვერპლი ორივე შემთხვევაში სრულიად იდენტური საფრთხის წინაშე დგას და მეორე გარანტი ორივე შემთხვევის დროს ანალოგიური შინაარსისა და საშიშროების ქმედებას სჩადის. ასევე გასაზიარებელია აღნიშნულ მაგალითთან მიმართებაში არსებული შეხედულება, კერძოდ კი ის, რომ „როდესაც პირი აქტიურ მოქმედებას ახორციელებს, იგი ქმედებაზე ბატონობს და ამიტომაც ამსრულებელია. გარანტის უმოქმედობა არაა ქმედებაზე ბატონობა და აქედან გამომდინარე - ამსრულებლობა.“¹²⁴ ამიტომაც აღნიშნულ შემთხვევაში პასიური გარანტის ქმედება უნდა შეფასდეს, როგორც შესაბამის დანაშაულში დახმარება, ხოლო მას შემდგომ კი როდესაც აქტიური გარანტი დაასრულებს საკუთარ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, ეს ნიშნავს, რომ

¹²² მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2011. გვ. 358

¹²³ იხ. იქვე გვ. 360

¹²⁴ იხ. იქვე გვ. 360

ქმედებაზე უკვე აღარავინ ბატონობს და პასიურ გარანტს უნარჩუნდება მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის დაცვის ვალდებულება. თუ მოცემულ ვითარებაში პასიურმა გარანტმა კიდევ არ გამოიჩინა დახმარება, რითაც მისი დაცვის ქვეშ მყოფის მდგომარეობა არსებითად გაუარესდა იგი უკვე შესაბამისი დამდგარი შედეგის ამსრულებლობისათვის აგებს პასუხს, რადგანაც ამ დროს უკვე სხვა პირი აღარ ბატონობს ქმედებაზე და მას კვლავინდებურად გააჩნია დამცავი გარანტის მოვალეობა.¹²⁵

ისეთ შემთხვევაში, როდესაც სამართლებრივი გარანტი უმოქმედობას იჩენს და თავიდან არ იცილებს მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, მისი ქმედება უნდა შეფასდეს როგორც დახმარება, მაგრამ ამ დროს შესაძლებელია სახეზე იყოს ორი შემთხვევა: 1) როდესაც გარანტი და ამსრულებელი აღნიშნულის შესახებ შეთანხმებულები არიან და 2) როდესაც გარანტი იჩენს უმოქმედობას, თუმცა აღნიშნული ფაქტის შესახებ ინფორმაცია არ გააჩნია ამსრულებელს. პირველი შემთხვევის სამართლებრივი შეფასება არ არის სადავო, თუმცა აზრთა სხვადასხვაობაა დაკავშირებული მეორე შემთხვევასთან მიმართებაში, რის საფუძველსაც ქმნის სსკ-ის 23-ე მუხლი, რომლის თანახმადაც დანაშაულში თანამონაწილეობა არის ორი ან მეტი პირის განზრახ ერთბლივი მონაწილეობა განზრახი დანაშაულის ჩადენაში. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ობიექტური თვალსაზრისით სამართლიანობის კრიტერიუმის გათვალისწინებით, პასიური გარანტის ქმედება უნდა შეფასდეს დანაშაულში დახმარებად, გამომდინარე აქედან, იმისათვის რათა აცილებულ იქნეს აზრთა სხვადასხვაობა და სასამართლო პრაქტიკის არაერთგვაროვნად განვითარების პოტენციური საფრთხე, მიზანშეწონილია, რომ კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილება და დაკონკრეტდეს გარანტის პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ შემთხვევასთან მიმართებაში, როდესაც იგი არ ამსრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას იმისდა მიუხედავად ეს ფაქტი გაცნობიერებული ჰქონდა თუ არა ამსრულებელს. აღნიშნული მოსაზრება უნდა გავამყაროთ შემდეგი არგუმენტითაც, რომ ობიექტური თვალსაზრისით არ აქვს მნიშვნელობა ამსრულებელს შეცნობილი აქვს თუ არა გარანტის უმოქმედობის ფაქტი. ეს უადვილებს ამსრულებელს დანაშაულის ჩადენას, რადგან გარანტის სახით არსებული დაბრკოლება მას ეხსნება, ამოტომაც ასეთ შემთხვევაში გადამწყვეტია საკითხის ობიექტური კრიტერიუმი, ის რომ ამსრულებელს გარანტის სახით არ ექმნება დაბრკოლება. ასეთ დროს გარანტის მომეტებული პასუხისმგებლობის დაწესების მიზანშეწონილობაზე მეტყველებს ის, რომ იგი არა მხოლოდ უადვილებს ამსრულებელს დანაშაულის ჩადენას, რაც ნებისმიერ სუბიექტს ხელეწიფება, არამედ ისიც, რომ ასეთ დროს გარანტი არ არსულებს საკუთარ მოვალეობას და მის დაცვის ქვეშ მყოფს არ ეხმარება და მას ამსრულებლის მიერ განხორციელებული დანაშაულის წინაშე პირისპირ ტოვებს.

დასკვნა

¹²⁵ მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2011. გვ 360

მოცემულ ნაშრომში განხილულ იქნა სხვადასხვა მნიშვნელოვანი მატერიალურ სამართლებრივი საკითხები, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაციის პრობლემასთან.

პირველ რიგში თანამონაწილეობის ცნებიდან გამომდინარე გაივლო მიჯნა თანამონაწილეობასა და პარალელურ ამსრულებლობას შორის. გაიმიჯნა ერთმანეთისაგან თანამონაწილეობის ვიწრო და ფართო გაგება. გარდა ამისა მოცემულ ნაშრომში მნიშვნელოვანია ის, რომ გამოიკვეთა თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის სუბიექტური და ობიექტური საფუძვლები.

ამასთან ერთად მოცემულ ნაშრომში ფართოდ იქნა განხილული განსხვავებული შეხედულებები დანაშაულში თანამონაწილეობის იურიდიულ ბუნებასთან მიმართებაში. გამოიკვეთა პრინციპული განსხვავება ლოგიკურ და ლიმიტირებულ აქცესობასთან მიმართებაში, რის შემდგომაც არგუმენტირებული მსჯელობით დადგინდა თითოეული მათგანის მიმართება დღეს არსებულ ქართულ საკანონმდებლო რეალობასთან.

მნიშვნელოვანია თანამონაწილეთა თითოეული სახის დახასიათება, რომლის დროსაც გამოიკვეთა თითოეული მათგანის ძირითადი მახასიათებლები და განხილულ იქნა სხვადასხვა პრობლემატური შემთხვევები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს თანამონაწილეთა ქმედების კვალიფიკაციაზე. თანამონაწილეთა სახეებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ ნაშრომში განხილულია ჯაჭვური თანამონაწილეობის ყველა შემთხვევა და გაანალიზებულ იქნა მათი სამართლიანი გადაწყვეტის გზები.

ნაშრომში ასევე საუბარია თანამონაწილეთა ცალკეული სახის მიმართებაზე დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტთან დაკავშირებით, დახასიათებულია ყველა ის აუცილებელი პირობა, რომელიც სახეზე უნდა იყოს, რათა თანამონაწილეებზე გავრცელდეს კანონმდებლის მიერ გათვალისწინებული აღნიშნული შედეგატი. მოცემულ საკითხთან მიმართებაში გაანალიზებულია საკანონმდებლო ხარვეზის პრობლემაც, რომელიც დღეს არსებობს და საკითხის სამართლიანი გადაწყვეტისათვის აუცილებელია იგი აღმოიხვრას.

ზემოაღნიშნულ საკითხებთან ერთად მოცემულ ნაშრომში სათანადო მაგალითების მოშველიებით განხილულია, ასევე ისეთი დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის მატარებელი პრობლემა, რომელიც უკავშირდება ობიექტური და სუბიექტური ნიშნით დამძიმებული ან პრივილეგიური შემადგენლობის გამიჯვნის მნიშვნელობას ამსრულებლისა და თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაციისას. გარდა ამისა იმავე თავში განხილული და გადაწყვეტილია, კვალიფიკაციის პრობლემა სპეციალური სუბიექტის მიერ ჩადენილ დანაშაულში თანამონაწილეობისას.

ნაშრომში ყურადღება არის გამახვილებული ასევე თანამონაწილეობისა და ამსრულებლობისა გამიჯვნის საკითხთან მიმართებაში, რომელიც სათანადო თეორიების ანალიზის საფუძველზე განხილულია როგორც დამხმარისა და

თანამსრულებლის ასევე შუალობითი ამსრულებლისა და წამქეზებლობის ურთიერთმიმართების დადგენით. გამოკვლეული საკითხების საფუძველზე გაანალიზებულია ფორმალურ-ობიექტური და მატერიალურ-ობიექტური თეორიის ცალკეული გამოვლინებები და მათი შესაბამისობა ქართულ კანონმდებლობასთან მიმართებაში. შუალობითი ამსრულებლობის საკითხის კვლევისას გამოიკვეთა საკანონმდებლო პრობლემა, რომელიც გამოსწორებას საჭიროებს, რათა თავიდან აცილებულ იქნას ერთგარი საკანონმდებლო „შავი ხვრელი“.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში განხილულია უმოქმედობით ჩადენილი თანამონაწილეობის არსი და მისი ბუნება, სამართლებრივი გარანტიის წარმოშობის საფუძვლები და ასევე თანამონაწილეობის სათანადო ფორმის მიმართება ისეთ ვითარებასთან, როდესაც სამართლებრივი გარანტი არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას და სათანადო საფუძვლის არსებობის მიუხედავად უმოქმედობას იჩენს მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ განხორციელებულ თავდასხმაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მოცემულ ნაშრომში განხილულია თანამონაწილის მიერ ჩადენილ ქმედებათა სამართლებრივი შეფასების პრობლემატური შემთხვევები, რის საფუძველზედაც მოძიებულია თითოეული მათგანის გადაწყვეტის სამართლიანი და არგუმენტირებული ვარიანტები.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 15/07/2019 მდგომარეობით
2. საქართველოს კონსტიტუცია 15/07/2019 მდგომარეობით

სამეცნიერო ლიტერატურა:

1. გამყრელიძე ო. სისხლის სამართლის პრობლემები მე-3 ტომი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2013;
2. გვენცაძე ე., თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე. სადისერტაციო ნაშრომი., თბილისი 2012
3. დვალაძე, ი., სადისერტაციო ნაშრომი, „მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე“, თბილისი 2008;
4. დონჯაშვილი თ. საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი 2002.
5. ველესი ი./ზოილკე ვ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი 2010.
6. თოდუა ნ., გურამ ნაჭყებია - 75 საიუბილეო კრებული, თბ., 2016.
7. თოდუა ნ., ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., ნაჭყებია გ. ივანიძე მ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2016
8. თოდუა ნ. სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები). გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2015
9. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეექვსე გამოცემა, თბ. გამომცემლობა „მერიდიანი“, 2016
10. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეხუთე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2017.
11. მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ. კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში. გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2010.
12. მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2011. გვ

13. მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ძირითადი საკითხები კითხვა-პასუხებით, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ. 2014
14. ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2013
15. წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, მე-2 ტომი , თბ., 2007
16. Heinrich, AT II (2010)

სამეცნიერო სტატიები:

გაბარაევი, ი. პასუხისმგებლობა გაუპატიურების უმოქმედობით ჩადენისათვის, სამართლის ჟურნალი, თბ 2017, N2,

დადასტურება ნაშრომის ორიგინალობის შესახებ

აღნიშნული ნაშრომი შესრულებულია ჩემ მიერ. არ გამოიყენებია ლიტერატურა სათანადო მითითებების გარეშე და ვაცნობიერებ, სიყალბის გამოვლენის შემთხვევაში ჩემი შედეგის ბათილად ცნობისა და შესაბამისი პროგრამიდან აღდგენის უფლების გარეშე გარიცხვის რეალობას.

თარიღი:

ხელმოწერა: